გიორგი მჭედლიძე

# ქართლის ცხოვრების მოჭირნახულე


თბილისი
1975

901 (с41)
90(47—922) (092 ყაუხჩიშვილი)
მ 984

გამომცემლობა „განათლება“ წინამდებარე ნარკვევს უძღვნის საბელოვანი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ სიმონ გიორგის ძე ყაუხჩიშვილის დაბადების 80 წლისთავს.

М 70202—067
М—602(08)75 ბრძ. 75

© გამომცემლობა „განათლება“, 1975.



„ღიდ არს ძალი სიყუარულისაჲ,
რომელი მორჩილ ყოფს ბრძებასა
უეკადრებად უეუკადრებელსაცა“
არსენ ამარტოლი.

„ამ ტიპის სპეციალისტი ხშირად არ გვხვდება არც ჩვენს, საბჭოურს, არც საზღვარგარეთულ სინამდვილეში“...—ასე ახასიათებდა დიდი ქართველი მეცნიერი კორნელი კეკელიძე აკადემიკოს ს. ყაუხჩიშვილს. კარგა ხნის წინათ ნათქვამმა ამ გულწრფელმა სიტყვებმა შესანიშნავი დადასტურება ჰპოვეს გამოჩენილი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის სიმოხ ყაუხჩიშვილის 50—70-იანი წლების ნაშრომებში, გამოცემებსა და პუბლიკაციებში, რომლებიც სწორედ ციტირებული დახასიათების შემდეგ გამოქვეყნდა.

მართლაც იოლი არ არის, ენციკლოპედიურობით გამორჩეულ ქართული მეცნიერების ძველ გვარდიაში მოინახოს მეორე ისეთი მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწე, როგორიც აკად. სიმონ ყაუხჩიშვილია. მას ხელეწიფება ფილოლოგიისა და ისტორიის მრავალი დარგი, გამოქვეყნებული აქვს ფუნდამენტური შრომები ანტიკურ ლიტერატურასა და საქართველოს ისტორიაში, კლასიკურ ენათმეცნიერებასა და ქართულ ფილოლოგიაში, ბიზანტიის ლიტერატურასა და ქართულ ისტორიოგრაფიაში, პალეოგრაფიასა და ბიზანტიის ისტორიაში, წყაროთმცოდნეობაში, ისტორიულ გეოგრაფიაში, ეპიგრაფიკაში, კლასიკურ და რუსულ ლექსიკოლოგიაში, მხარეთმცოდნეობაში, მეცნიერების ისტორიაში, ლიტერატურულ

კრიტიკაში, არის მთარგმნელი და დიდი ქართველი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის შრომების პირველი პუბლიკატორი.

ს. ყაუხჩიშვილი ჩვენი ხალხის იმ დამამშვენებელ მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც ქართველი საზოგადოება დიდი სიყვარულით და მოწიწებით ეპყრობა. მიმდინარე წელს მას დაბადებიდან 80 წელი უსრულდება. წინამდებარე ნარკვევი მცირე მიძღვნაა ბატონი სიმონის ცხოვრების ამ მნიშვნელოვანი თარიღისადმი.

## 1. ბავშვობა და ყრმობა

შუა საუკუნეებში საქართველოს სამხრეთულმა რეგიონმა — მესხეთმა ჩვენს ხალხს რიცხობრივადაც და თვისებრივადაც დიდი მოღვაწენი მისცა, ხოლო მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეთა მიჯნაზე, როცა ეროვნულ ინტელიგენციას ახალი კადრებით შევსება დასჭირდა, ასეთთა ერთ-ერთ მძლავრ სამჭედლოდ ქუთაისი იქცა. სიმონ ყაუხჩიშვილი მკვიდრადაა დაკავშირებული ორივე ამ კულტურულ კერასთან. მისი წინაპრები წარმოშობით მესხები იყვნენ, მამის ოჯახი კი ქუთაისში ცხოვრობდა.

სიმონ ყაუხჩიშვილის მამა გიორგი (გუგული, 1856—1919) ხელმოკლე ქუთათური მოქალაქე იყო, დედა მარიამი (1865—1939) კი — ხელმარჯვე დიასახლისი. მათ ხუთი შვილი — ორი ვაჟი და სამი ქალი — გაზარდეს. უფროსი ვაჟი, მიხეილი საკმაოდ ცნობილი ინჟინერი გახდა. (მაგალითად, მისი პროექტითაა აგებული ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა). მიხეილის ორი შვილი ამჟამად იტალიაში ცხოვრობს. ისინი საქართველოსთან კავშირს არ წყვეტენ, ნაყოფიერად მოღვაწეობენ საზღვარგარეთ ქართული კულტურის პროპაგანდისათვის. აი ერთი მაგალითიც: 1974 წლის 28—30 ივნისს ჩრდ. იტალიის ქალაქ ბერგამოში მოეწყო ქართული ხელოვნების პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი. მისი ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო მილანისა და ბერგამოს უნივერსიტეტების პროფესორი ნინო მიხეილის ასული ყაუხჩიშვილი. მან საქართველოდან ჩასულ მეცნიერთა დელეგაციას, რომელსაც აკად. ვ. ბერიძე ხელმძღვანელობდა, შთამბეჭდავი მასპინძლობა გაუწია. სიმპოზიუმი შესავალი სიტყვით მან გახსნა და თვითონვე წაიკითხა მოხსენება „იტალია-საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა შესახებ".

გიორგი და მარიამ ყაუხჩიშვილების ოჯახში 1895 წლის 14 ოქტომბერს მესამე შვილი, ვაჟი, დაიბადა. მას ბაბუის პატივსაცემად სიმონი დაარქვეს. პატარა სიმონი ჯანმრთელი და ცნობისმოყვარე ბავშვი იყო. მშობლებმა გადაწყვიტეს იგი ადრე მიებარებინათ სკოლაში.

მე-20 ს-ის დასაწყისის ქუთაისი პატარა საგუბერნიო ქალაქი იყო. რუსეთის ვეებერთელა იმპერიის კულტურულ რუკაზე იგი უმნიშვნელო წერტილს წარმოადგენდა, მაგრამ ქართული ეროვნული კულტურისათვის საქართველოს ფეოდალური მონარქიის აღზევების დროს ქუთაის-გელათის მიერ მოპოვებული სახელი და დიდება ჯერაც არ გამქრალიყო. ქართული ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი ამ ქალაქს იმედის თვალით შესცქეროდა. ეს იმედი მხოლოდ ძველ, ისტორიულ ტრადიციას როდი ეფუძნებოდა. მისი წარმოშობის საყრდენი პატარა ქალაქის შედარებით მრავალრიცხოვან სკოლებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოფუსფუსე ახალგაზრდობა იყო.

პირველდაწყებითი განათლების მიღება ქუთაისში მაშინ საეკლესიო-სამრევლო და კერძო სკოლებში შეიძლებოდა. ერთ-ერთი ასეთი ორწლიანი მოსამზადებელი სკოლა დააარსა გამოჩენილმა ქართველმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ იოსებ ოცხელმა. სწორედ ამ სკოლაში მიაბარეს 6 წლის სიმონ ყაუხჩიშვილი.

იოსებ ოცხელზე, როგორც ქართული (სათავადაზნაურო) გიმნაზიის დირექტორსა და მასწავლებელზე, ახლაც უამრავ ლეგენდას ჰყვებიან მისი უმცროსი თანამედროვენი. ნიშანდობლივია, რომ იგი მოსამზადებელი სკოლის მუშაობას განსაკუთრებული ყურადღებით ექცეოდა. მოწვეული ჰყავდა თვალსაჩინო მასწავლებლები თ. მაჭავარიანი და ნ. ხარაზიშვილი. ისინი ბავშვებს მათემატიკის ელემენტებს, რუსულ და ქართულ ენებს ასწავლიდნენ. სკოლადამთავრებული მოწაფე მომზადებული იყო გიმნაზიასა თუ რეალურ სასწავლებელში შესასვლელად.

იოსებ ოცხელის მზრუნველობა მოსამზადებელი ჯგუფის მოსწავლე ს. ყაუხჩიშვილსაც არ დაჰკლებია. დირექტორმა შეამჩნია, რომ მოწაფე მარცხენა ხელით წერდა, და მანამდე არ მოეშვა, სანამ მარჯვენა ხელით წერას არ მიაჩვია. ორი წლის შემდეგ, როცა მოსამზადებელ სკოლაში სწავლა დასრულდა, ი. ოცხელი მოსწავლეთა

ჯგუფს თვითონ გაუძღვა კლასიკური გიმნაზიისაკენ და იქვე უცდიდა, სანამ მათ გამოცდების ჩაბარება არ დაამთავრეს.

ეს მოხდა 1903 წლის მაისში. იმ წლის სექტემბრიდან კი სიმონ ყაუხჩიშვილი ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის უმცროსი განყოფილების მოწაფეა. რევოლუციამდელ კლასიკურ გიმნაზიებს ეროვნულ რაიონებში მეფის მთავრობა ადგილობრივი მოსახლეობის რუსიფიკაციისათვის იყენებდა. მათი მთავარი დანიშნულება სახელმწიფო მოხელეთა აღზრდა იყო. ქუთაისის გიმნაზიაც ამ მხრივ განსხვავებულს არ წარმოადგენდა, თუმცა დამკვიდრებული ტრადიციიდან გამონაკლისს აქ უფრო ხშირად ჰქონდა ადგილი და მეფის მთავრობა გიმნაზიის კურსდამთავრებულთაგან ერთგული ჩინოვნიკების ნაცვლად ქართული კულტურის ბუმბერაზ მოღვაწეებს იღებდა. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ასეთ „პროდუქციულ წუნს“ განეკუთვნებიან: აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო მარი... და სიმონ ყაუხჩიშვილი.

1902 წლიდან ქუთაისის კლასიკური გიმნაზია ძირითადად ახალ შენობაში მუშაობდა (ახლა პირველი საშუალო სკოლა). იქ ყველა განყოფილებაზე 689 მოწაფე ირიცხებოდა, დირექტორი იყო ეროვნებით ჩეხი ო. ო. ჩებიში (1907—1912 წწ. მ. გლუშაკოვი, 1912 წლიდან ფ. ე. კოტილევსკი). მოსწავლეების უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ (მაგ., 1902 წ. 682 მოსწავლიდან 498 ქართველი იყო, 109—რუსი; 1910 წ. 672 მოწაფიდან 499 ქართველი, 101 რუსი, დანარჩენი კი — სხვა ეროვნებისა), მასწავლებლებად უპირატესად იყვნენ რუსები (ყველაზე მეტი ქართველი მასწავლებელი გიმნაზიაში მიწვეული ჰყავდათ 1910 წელს. მაშინ 31-დან 12 მასწავლებელი იყო ქართველი), მაგრამ ქართველი მასწავლებლებიც უფლებააყრილნი იყვნენ, მათ არ შეეძლოთ გაკვეთილებზე ქართულად ელაპარაკნათ. გიმნაზიაში ქართულის გაგონება შეიძლებოდა უმცროსი განყოფილების მეექვსე გაკვეთილზე და დასვენების დროს.

სიმონ ყაუხჩიშვილის მოწაფეობის დროს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის სხვადასხვა კლასებში სწავლობდნენ ვლ. მაიაკოვსკი, ვ. კიკვიძე, ვლ. ფუთურიძე, აკ. ხორავა, გ. კოკოჩაშვილი, გ. ჯაკობია, ბ. ლომინაძე და სხვები.

ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიას მასწავლებელთა კარგი კადრი ჰყავდა. ზოგიერთი მათგანი სახელმძღვანელოთა ავტორი და მკვლევარი-მეცნიერი იყო (მაგ., ბუნებისმეტყველების მასწ. ა. მ. შუგუ-

რ ო ვ ი, რომელიც კავკასიის ფაუნის ცნობილ მკვლევრად არის მიჩნეული).

1900-იან წლებში გიმნაზიაში კლასიკური ენებიდან ასწავლიდნენ მხოლოდ ლათინურს, რომლისადმიც მოსწავლეთა დიდი ნაწილი ნაკლებ ინტერესს იჩენდა. ახალგაზრდობას ეს „მკვდარი ენა," მიუხედავად იმისა, რომ მას საუკეთესო მასწავლებლები ასწავლიდნენ, არ იზიდავდა. ს. ყაუხჩიშვილმა კი არა თუ ამ ენის, არამედ არასავალდებულო ბერძნულის შესწავლისადმიც დიდი ინტერესი გამოამჟღავნა. არსებული წესის მიხედვით მან განცხადებით მიმართა გიმნაზიის დირექტორს და ბერძნულ ენაში საგანგებოდ გამოუყვეს მასწავლებელი.

ლათინურ ენას III—IV კლასებში სიმონ ყაუხჩიშვილს ასწავლიდნენ ა. ს ვ ა ნ ი ძ ე და ა. ვ ე ი ბ ე რ ტ ი, V—VIII კლასებში კი ს ი მ ო ნ ზ ა ქ ა რ ი ა ს ძ ე ჭ ე ი შ ვ ი ლ ი.

გარდა კლასიკური ენებისა, სიმონ ყაუხჩიშვილი გულისყურით ეუფლებოდა ისტორიას, მსოფლიო ლიტერატურას, რუსულ ენას და მათემატიკას. მონაწილეობდა გიმნაზიის ლიტერატურის წრის მუშაობასა და ხელნაწერი ჟურნალების გამოშვებაში.

სიმონ ყაუხჩიშვილის გიმნაზიის უფროს კლასებში სწავლის წლები დაემთხვა რუსეთის პირველი სახალხო რევოლუციის დამარცხების შემდეგ დამყარებულ რეაქციის პერიოდს. ამ დროს გიმნაზიაში განსაკუთრებით იგრძნობოდა შავრაზმული რეჟიმი. ამიტომ ახალგაზრდა სიმონის პიროვნების ჩამოყალიბებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქუთათელ პროგრესულ ინტელიგენტთა ოჯახებთან სიახლოვეს. ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია იურისტ ვ ა ს ი ლ ქ ო ქ ო ჩ ა შ ვ ი ლ ი ს და ექიმ ვ ა ს ი ლ წ ე რ ე თ ლ ი ს (აკად. გიორგი და პროფ. თინათინ წერეთლების მამა) ოჯახები.

1913 წ. სიმონ ყაუხჩიშვილმა წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და გადაწყვიტა სწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტში გაეგრძელებინა. იმავე წლის სექტემბრიდან იგი დასახელებული უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის განყოფილების სტუდენტია. არჩევანი პეტერბურგის უნივერსიტეტზე შემთხვევით არ შეჩერებულა. სიმონ ყაუხჩიშვილი მოწაფეობის წლებიდანვე იყო დაინტერესებული

ისტორიით და განსაკუთრებით კლასიკური ფილოლოგიით. ამ დარგებში კი ეპოქის შემქმნელი მეცნიერები სწორედ პეტერბურგში მოღვაწეობდნენ. ასეთები იყვნენ: ა. ნ. ვ ე ს ე ლ ო ვ ს კ ი (1838—1906), ვ. მ. ვ ა ს ი ლ ე ვ ს კ ი (1838—1899), თ. ი. უ ს პ ე ნ ს კ ი (1845—1928), ვ. რ. რ ო ზ ე ნ ი (1849—1908), ვ. კ. ე რ ნ შ ტ ე დ ტ ი (1854—1902), ვ. ვ. ლ ა ტ ი შ ე ვ ი (1855—1921), ფ. ფ. ზ ე ლ ი ნ ს კ ი (1859—1944), ს. ა. ჟ ე ბ ე ლ ი ო ვ ი (1867—1941), ბ. ა. ტ უ რ ა ე ვ ი (1868—1920) და ვ. ვ. ბ ა რ ტ ო ლ დ ი (1869—1930).

მეცნიერულ ქართველოლოგიურ კვლევას ტრადიცია ფაქტიურად მხოლოდ პეტერბურგის უნივერსიტეტში ჰქონდა. აქ 1845 წლიდან აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე არსებობდა ქართული სიტყვიერების კათედრა. ამ კათედრაზე სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ მ ა რ ი ბ რ ო ს ე (1802—1880), დ ა ვ ი თ ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი (1814—1891), ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ც ა გ ა რ ე ლ ი (1844—1929), ნ ი კ ო მ ა რ ი (1864—1934) და ი ვ ა ნ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი (1876—1940). პეტერბურგში ს. ყაუხჩიშვილის ყოფნის დროს ამ კათედრას ალ. ცაგარელი განაგებდა. ნ. მარი აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დეკანი იყო, ხოლო პრივატ-დოცენტი ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის „ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეს“ ხელმძღვანელობდა. წრე, რომელიც 1907 წლიდან არსებობდა, განსაკუთრებით იმით იყო აღსანიშნავი, — იგონებდა ივ. ჯავახიშვილი, — რომ „ამ სამეცნიერო წრეში სტუდენტები თავს როცა იყრიდნენ, მსჯელობა წარმოებდა ქართულად. მოხსენებები იწერებოდა ქართულად სხვადასხვა დარგის შესახებ, კამათი, მსჯელობა ქართულად სწარმოებდა და ვარჯიშობა დაიწყო, ენა გაიკვეთა ახალგაზრდობამ და მოიპოვა უნარი მეტყველებისა, რომელიც მანამდე არ ჰქონდა“. ივ. ჯავახიშვილი იმედოვნებდა, რომ წრის მუშაობის შედეგად შეიქმნებოდა პირობები ქართველოლოგიაში მეცნიერული მუშაობის ცენტრის პეტერბურგიდან თბილისში გადმონაცვლებისათვის. ამ მიზნით მოეწყო სააღრიცხვო ბარათების შევსება, რომელსაც უნდა გამოერკვია რუსეთსა და საზღვარგარეთ მყოფ ქართველ მეცნიერთა და სტუდენტთა ვინაობა და რაოდენობა.

სიმონ ყაუხჩიშვილი უნივერსიტეტის სტუდენტად გახდომისთანავე აქტიურად ჩაება ამ წრის მუშაობაში. მისი პეტერბურგში ჩასვლა დაემთხვა წრის გამგეობის ხელმძღვანელობის შეცვლას. გამგეობის ძველმა თავმჯდომარემ ა. შ ა ნ ი ძ ე მ 1913 წელს

დაამთავრა უნივერსიტეტი. ამ პოსტზე კი აუცილებლად სტუდენტი უნდა ყოფილიყო. ახალ თავმჯდომარედ ვლ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, მის მოადგილედ კი ს. ყაუხჩიშვილი აირჩიეს. სამეცნიერო წრის მუშაობის თავისებურ შეჯამებას წარმოადგენდა ქართველ სტუდენტთა შრომების კრებულის გამოცემა 1915 წ.

მთავარი მიზანი სიმონ ყაუხჩიშვილის პეტერბურგში ყოფნისა ელინური ფილოლოგიის შესწავლა იყო. ამ დარგში ინტენსიური მუშაობის საშუალება მას მიეცა 1914 წლის შემდეგ, როცა პეტერბურგის უნივერსიტეტში ორდინალურ პროფესორად და კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგედ გ რ ი გ ო ლ ფ ი ლ ი მ ო ნ ი ს ძ ე წ ე რ ე თ ე ლ ი (1870—1938) მოიწვიეს. გრიგოლ წერეთელი პეტერბურგის უნივერსიტეტის აღზრდილი იყო. სტუდენტობის წლებში იგი პ. ე. ნ ი კ ი ტ ი ნ ი ს (1849—1916), ვ. კ. ე რ ნ შ ტ ე დ ტ ი ს, ი. პ ო მ ი ა ლ ო ვ ს კ ი ს ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ მოწაფედ ითვლებოდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (1893 წ.) კლასიკური ენების მასწავლებლობას ეწევა. 1897 წ. სამი წლით მიემგზავრება საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ასამაღლებლად. 1902—1905 წწ. პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტია, 1905—1913 წწ. კი—იურიევის (ტარტუს) უნივერსიტეტის ექსტრაორდინალური პროფესორი. პეტერბურგის უნივერსიტეტის კათედრის გამგედ დაბრუნების დროისათვის გრიგოლ წერეთელი უკვე საყოველთაოდ ცნობილი ელინისტი და პაპიროლოგი იყო. მალე (1917 წ) იგი აკადემიკოსების ვ. ვ. ლ ა ტ ი შ ე ვ ი ს ა და მ. ი. რ ო ს ტ ო ვ ც ე ვ ი ს (1870—1952) რეკომენდაციით რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს.

გრიგოლ წერეთლის მიერ სადოქტორო დისერტაციის დაცვა და მისი მეცნიერული მოღვაწეობა ქართულ საზოგადოებას სტუდენტმა ს. ყაუხჩიშვილმა ამცნო. გაზეთ „ერის“ 1914 წ. 11 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა მისი წერილი „პროფ. გ. ფ. წერეთლის სადოქტორო დისერტაციის გამო“.

გრიგოლ წერეთელს იცნობდნენ, როგორც მეტად მომთხოვნ, მეცნიერებისათვის თავშეწირულ ადამიანს. იგი ხშირად იმეორებდა თავისი მასწავლებლის ვ. კ. ერნშტედტის ნათქვამს: „საჭიროა იყო მეცნიერი და არა ვითომ მეცნიერი“. ასეთ ვითარებაში ჰაიჰარად რაიმეს გაკეთება არ შეიძლებოდა. აკად. ს. ყაუხჩიშვილი დღემ-

დე ერთგულად იცავს სტუდენტობის წლებში შეძენილ რეჟიმს, ბეჯითობას და კეთილსინდისიერებას.

„ჩინებულმა ხელმძღვანელ-მასწავლებელებმა და. უწინარეს ყოვლისა. პროფესორ გრიგოლ წერეთელთან მუშაობამ განსაზღვრეს სიმონ ყაუხჩიშვილის მომავალი, — წერს პროფ. ა. ურუშაძე — მან იმთავითვე მიიპყრო ხელმძღვანელ-მასწავლებელთა ყურადღება საშეცნიერო კვლევა-ძიების დიდი უნარითა და არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობით. გრიგოლ წერეთელი „ავტობიოგრაფიულ შენიშვნებში“ ამბობს: „პეტერბურგში მე დამხვდა ჩემი ძველი მასწავლებლებისა და ამხანაგების წრე (თ. ზელინსკი, ს. ჟებელიოვი, მ. როსტოვცევი, მ. ტურაევი, ი. სმირნოვი) და პატარა, მაგრამ ნიშვენიერად მომზადებული ჯგუფი სტუდენტებისა. ამათგან შემდეგში გამოვლინდნენ ისეთი მეცნიერნი, როგორიც არიან პ. ერნშტედტი, ო. კრიუგერი და სიმონ ყაუხჩიშვილი (ხაზი გრ. ფ. წერეთლისაა. ვ. მ.), რომელნიც ახლა დიდი წარმატებით მოღვაწეობენ სამეცნიერო ასპარეზზე“[1].

როგორც ვხედავთ, პეტერბურგის უნივერსიტეტში ყოფნისას ს. ყაუხჩიშვილს სწავლისა და მეცნიერული კვლევის მეთოდთა დაუფლების საუკეთესო პირობები (არ იგულისხმება მატერიალური) ჰქონდა. ეს პირობები მან შესანიშნავადაც გამოიყენა. ნ. მარი, ა. ცაგარელი, გრ. წერეთელი და განსაკუთრებით ივ. ჯავახიშვილი მას ქართული მეცნიერების მომავალ საიმედო ძალად მიიჩნევდნენ. სიმონი კლასიკური ფილოლოგიის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებაში აქტიურ მონაწილეობასთან ერთად აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის ქართულ-სომხურ განყოფილებაზედაც სწავლობდა. აქაც მისი ხელმძღვანელები ნიკო მარი და ივანე ჯავახიშვილი იყვნენ. მეორე კურსიდან უნივერსიტეტის დამთავრებამდე (1914—1917) იგი პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს გამგეობის წევრი იყო. ამ დროს პეტერბურგში სწავლობდნენ: ბ. ლომინაძე, შ. აფხაიძე, ძმები კარპეზ და ვარლამ დონდუები, გ. კოკოჩაშვილი, ვლ. ფუთურიძე, ძმები გ. და ო. დევდარიანები, ნ. კახიანი და სხვ.

სიმონ ყაუხჩიშვილის სტუდენტობის წლები პირველ მსოფლიო ომს დაემთხვა. ამან, რა თქმა უნდა, დამატებითი სიძნელეები შექმნა. მაგრამ დასახული მიზნის მიღწევას ვერ შეუშალა ხელი. ამიტომ იმ

[1] ა. ურუშაძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, თბ., 1967, გვ. 9.

ხანას იგი უსაზღვრო მადლიერებით იხსენებს, რამდენადაც ყოველთვის კარგად ახსოვდა დიდი ილიას სიტყვები: „ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელესა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული... ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჰაბუკის ტვინსა და გულში გამოკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა“[1].

პეტერბურგის უნივერსიტეტი სიმონ ყაუხჩიშვილმა წარჩინებით დაამთავრა 1917 წელს და მაშინვე სამშობლოში დაბრუნდა. 1917—1920 წწ. იგი ანტიკური ქვეყნებისა და საქართველოს ისტორიას ასწავლიდა თბილისის ქალთა სემინარიაში, რომელსაც გ. ექვ. წერეთლის მეუღლე ანასტასია თუმანიშვილი ხელმძღვანელობდა.

## 2. ელადასა და ბერლინში. პირველი გამოკვლევები

რევოლუციამდელ საქართველოში მეცნიერული კვლევა კერძო საქმე იყო. ეროვნული კულტურისა და ისტორიის შემსწავლელი რაიმე სახელმწიფო დაწესებულება არ არსებობდა. 1907 წ. დიდებულმა საზოგადო მოღვაწემ ე ქ ვ თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ მ ა დააარსა „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“. ამ საზოგადოებამ მეტად ნაყოფიერი სამეცნიერო-კულტურული მუშაობა გააჩაღა, მშობლიური ისტორიით დაინტერესებული ბევრი მუშაკი შემოიკრიბა, კორნელი კეკელიძის სიტყვებით, იგი „იყო მაშინ ჩვენში უნივერსიტეტიც, აკადემიაც და სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტიც“.

ექვ. თაყაიშვილს მიზნად ჰქონდა დასახული პეტერბურგიდან ივ. ჯავახიშვილი მოეწვია, საზოგადოების ხაზით საქართველოს ისტორიაში ლექციების კითხვა მოეწყო და ამით საისტორიო საზოგადოება თავისებურ სახალხო უნივერსიტეტად გადაექცია. მაგრამ დიდი ივანე უფრო შორსმიმავალ გეგმებს სახავდა...

1918 წლის 26 იანვარს განსრულდა ქართული უნივერსიტეტისათვის ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის მიერ დაწყებული ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლა — დაარსდა საქართველოს პირველი უმაღლესი სასწავლებელი — თბილისის უნივერსიტეტი.

ამ ისტორიული აქტის განსაკუთრებული სიდიადე ის იყო, რომ იგი ეროვნული, ქართული უმაღლესი სასწავლებელი იყო. აქამდე

[1] ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, თბ., 1956, ტ. VI, გვ. 84.

რუსეთის ყოფილ იმპერიაში 10 უნივერსიტეტი არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მათგანი არარუსულ (პოლონურ, უკრაინულ, ესტონურ) ქალაქებში მდებარეობდა, ეროვნული დაწესებულებანი მაინც არ იყვნენ. ივ. ჯავახიშვილმა და მისმა თანამოსაგრეებმა კი სწორედ ეროვნული სახე მისცეს თბილისის უნივერსიტეტს.

თბილისის უნივერსიტეტში პირველად ჩამოყალიბებული, მაშინ ერთადერთი, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტებს შეესაბამებოდა. მისი დანიშნულება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობით არ შემოიფარგლებოდა. ივ. ჯავახიშვილს მიზნად ჰქონდა ფაკულტეტის ქართველოლოგიური კვლევის მძლავრ კერად გადაქცევა. განსაკუთრებული ყურადღება კი საქართველოს ისტორიის მეცნიერულ შესწავლას უნდა დასთმობოდა. დიდ ივანეს ყველაზე კარგად ესმოდა, რომ ამის გაკეთება წყაროთმცოდნეობითი მუშაობის გაღრმავებისა და დამხმარე საისტორიო დისციპლინების ჩამოყალიბების გზით შეიძლებოდა. ისიც ცხადია, მარტოოდენ ქართული საისტორიო წყაროებით ეროვნული ისტორიოგრაფია შორს ვერ წავიდოდა. საჭირო იყო მთელი იმ უცხოური მასალის მოხმობა, რომელიც ქართველი ხალხის ახლო თუ შორეულ მეზობლებს წარსულში შეექმნათ.

ქართველი ხალხის ძველი ისტორიის შესწავლისათვის სრულიად განსაკუთრებული ადგილი უნივერსიტეტში ეჭირა კლასიკური ფილოლოგიის განვითარებას. კლასიკური ფილოლოგიის კათედრა უნივერსიტეტში 1918 წელსვე დაარსდა, მაგრამ მან მუშაობა მას შემდეგ გაშალა, რაც ივ. ჯავახიშვილის წინადადებით პროფესორთა საბჭომ 1919 წ. თბილისში სამუშაოდ მოიწვია პროფ. გრიგოლ წერეთელი და შესანიშნავი ფილოლოგი რ. პ. ბ ლ ე ი კ ი. ეს უკანასკნელი ერთ დროს პეტერბურგ'ში ნ. მართან და ივ. ჯავახიშვილთან მეცადინეობდა. იგი ხანმოკლე დროით ჩამოვიდა თბილისში და ლექციებს კითხულობდა ბიზანტიის ისტორიასა და ბერძნულ ენაში.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფ. გრიგოლ წერეთელი თბილისში 1920 წ. შემოდგომაზე ჩამოვიდა[1]. იგი თბილისის უნივერსიტეტში მომუშავეთაგან ასეთი მაღა-

[1] С. Г. К а у х ч и ш в и л и, Григорий Филимонович Церетели, Тб., 1969, стр. 8.

ლი რანგის (აკადემიის წევრ-კორესპონდენტი) პირველი, თანაც ევროპაში ცნობილი მეცნიერი იყო. მისმა ჩამოსვლამ ავტორიტეტი აუწია და დაამშვენა ქართული უნივერსიტეტი. თავის მხრივ თბილისმა ახალი შემოქმედებითი ძალები შეასხა მეცნიერს. ამის შესახებ იგი წერდა: „თბილისი ჩემთვის ნამდვილი „სიცოცხლის წყარო“ აღმოჩნდა, მასთან დაკავშირებულია ჩემი ცხოვრების პირველი წლები და მან აღმადგინა მე სამეცნიერო მუშაობისათვის“.[1]

გრიგოლ წერეთლის სახით თბილისის უნივერსიტეტს კლასიკურ ფილოლოგიაში დიდი ძალა შეემატა, მაგრამ ივ. ჯავახიშვილი არ ივიწყებდა ქართველ მეცნიერთა ახალი თაობის აღზრდის თავის გეგმას, რაც მას ჯერ კიდევ უნივერსიტეტის დაარსებამდე ჰქონდა მოხაზული. მაგალითად, „1917 წ. 26 ნოემბრის პროფესორთა საბჭოს წინასწარ სხდომაზე ივანე ჯავახიშვილმა ჩამოთვალა ის ახალგაზრდები, რომელთა დატოვებაც საპროფესოროდ მოსამზადებლად (ასპირანტურაში) სასურველი იქნებოდა. ესენი იყვნენ: ს. ლომაია, დ. ყიფშიძე, გ. ქიქოძე, კ. გამსახურდია, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი (ხაზი ჩემია, — გ. მ.), მ. ხანანაშვილი, დ. შევარდნაძე და სხვ.“[2]

1918 წ. დასასრულს ს. ყაუხჩიშვილმა თხოვნით მიმართა უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანს ივ. ჯავახიშვილს, დაეტოვებინათ იგი დასახელებულ ფაკულტეტზე ბერძნული ფილოლოგიის სპეციალობით. დეკანის შუამდგომლობა დააკმაყოფილა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ და ს. ყაუხჩიშვილი ბერძნულ-ბიზანტიური ფილოლოგიის სპეციალობით დატოვებულ იქნა უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად (ახლანდელი გაგებით ეს ასპირანტურაში ჩარიცხვას ნიშნავს).

გრიგოლ წერეთლის ჩამოსვლამდე სიმონ ყაუხჩიშვილს მეცნიერულ ხელმძღვანელობას უწევდა თვით ივანე ჯავახიშვილი. მისი რჩევით მან დაამუშავა არსენ იყალთოელის მიერ XII ს-ის დასაწყისში ქართულად ნათარგმნი IX საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის გიორგი მონაზონის (ამარტოლის) „ხრონოგრაფი“, შეადარა ერთმანეთს ოთხი ძველქართული ხელნაწერი და 1920 წ. გამოაქვე-

---

[1] С. Г. Каухчишвили, Указ. соч., стр. 8.

[2] იხ. კრებ. თბილისის უნივერსიტეტი 1918—1968, თბ., 1968, გვ. 46.

ყნა თავისი პირველი მნიშვნელოვანი მეცნიერული ნაშრომი „ხრონოგრაფი გიორგი მონაზონისაჲ (გიორგი ამარტოლის „სრონოგრაფის“ ქართული თარგმანი)“, ნაწ. I, ტექსტი. ეს წიგნი უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა. ივ. ჯავახიშვილის დიდი მოწონება და მხარდაჭერა რომ არ ყოფილიყო, „ხრონოგრაფი“ დღის სინათლეს დიდხანს ვერ იხილავდა, რადგანაც, როგორც პროფ. ს. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე სამართლიანად წერს: „მიუხედავად უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ყურადღებისა და მხარდაჭერისა, სტამბების მოუწყობლობა, ქაღალდის სიმცირე, ბეჭდვის სიძვირე, აიძულებდა ავტორს თვითონ გაეღო ხარჯები წიგნების გამოსაცემად. 1919 წლის 28 ივნისს უნივერსიტეტის გამგეობამ გადაწყვიტა „უნივერსიტეტის მოამბის“ 400 ცალად გამოცემა. ავტორს 10-10 ცალი ამონაბეჭდი ეძლეოდა: თუ მეტს მოისურვებდა, ქაღალდი თვითონ უნდა შეეძინა“[1]. ასეთ ვითარებაში 360 გვერდიანი „ხნოროგრაფის“ გამოქვეყნება სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ გამოსაცემი ტექსტის მოშზადების მაღალ ფილოლოგიურ დონეზე მიუთითებს.

დასახელებული წიგნის გამოქვეყნებისთანავე[2] გადაწყდა სიმონ ყაუხჩიშვილი ცოდნის გასაღრმავებლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად ანტიკური კულტურისა და კლასიკურ ფილოლოგიაში სამეცნიერო კვლევის დიდი ტრადიციების მქონე ქვეყნებში მიევლინებინათ.

ხუთი თვე დაჰყო სიმონ ყაუხჩიშვილმა საბერძნეთში, ათენში. (1920 წ. სექტემბერი — 1921 წ. იანვარი). აქ იგი გაეცნო ბიზანტიური ეპოქის ბერძნულ საისტორიო ლიტერატურას, განსაკუთრებით კი გიორგი ამარტოლის თხზულების ბერძნულ ვარიანტებს. როგორც თვითონ იგონებს, ძლიერ მოკლე ხანში დაეუფლა ახალ ბერძნულ ენას. საბერძნეთმა მასზე უძლიერესი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს გასაგებიცაა: 25 წლის კაცი, ვისაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ელინური ენისა და კულტურის შესწავლისადმი მიეძღვნა, მოხვდა იმ მხარეში, რომელსაც იგი აქამდე, მართალია, მხოლოდ წიგნებით, მაგრამ შესანიშნავად იცნობდა და რომელიც მას „აღთქმულ ქვეყნად“ ჰქონდა წარმოდგენილი.

---

[1] დასახელებული კრებული, გვ. 50.

[2] წიგნი გამოვიდა 20 ივლისს, ხოლო მოწმობა საზღვარგარეთ გამგზავრების შესახებ გაიცა 27 აგვისტოს.



სიმონ ყაუხჩიშვილი ათენის აკროპოლისზე. 1920 წ.

თვალით ნახულისა და უშუალოდ განცდილის შედეგია ისიც, რომ ს. ყაუხჩიშვილი ანტიკური სამყაროს შესახებ დღესაც ვერ ლაპარაკობს მღელვარების გარეშე და მეტად მგრძნობიარე სიტყვების მოშველიების გზით მსმენელს თუ მკითხველს ჰომეროსისა

და არისტოტელეს ქვეყნისადმი დიდ სიყვარულს აღუძრავს. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ შრომაში, რომელიც მან თავის ძვირფას მასწავლებელს გრიგოლ წერეთელს მიუძღვნა, ხაზგასმით მოჰყავს პროფ. თ. ა. პეტროვსკის შემდეგი სიტყვები:

„როგორც უდიდესი მეცნიერი, გრ. წერეთელი ცნობილია მთელი მსოფლიოს კლასიკოს-ფილოლოგებისათვის. მისი ნაშრომები პალეოგრაფია-პაპიროლოგიის დარგში და მენანდრეს შემოქმედების ანალიზი, ისევე როგორც მისი დანარჩენი ნაშრომები, არასოდეს არ დაკარგავს თავის მნიშვნელობას შესაცნობად იმ ანტიკური სამყაროსი, რომლის შესწავლას მთელი თავისი ნაყოფიერი სიცოცხლე მოანდომა გრიგოლ ფილიმონის ძემ. ამ ანტიკურ სამყაროს იგი არა მარტო იკვლევდა და სწავლობდა, როგორც ცნობილი სპეციალისტი-ფილოლოგი, არამედ მას იგი უყვარდა და გრძნობდა ისე, რომ შეეძლო კვლავ გაეცოცხლებინა იგი ჩვენს შეგნებაში და ეს სამყარო დაენახვებინა ჩვენთვის, როგორც მუდამ ახალგაზრდა და ცხოველმყოფელი. გრიგოლ ფილიმონის ძე დაჯილდოებული იყო საკვირველი ნიჭით. ის არა მარტო გვაცნობდა ამ სამყაროს საიდუმლოებას, როგორც მეცნიერი, არამედ საშუალებას გვაძლევდა შეგვეცნო იგი მთელი მისი მრავალფეროვნებით, მისი უჭკნობი სურათებითა და სახეებით, ვინაიდან გრიგოლ ფილიმონის ძე იყო არა მხოლოდ პირველხარისხოვანი მეცნიერი, არამედ მაღალნიჭიერი ხელოვანიც: ის იყო ანტიკური სამყაროს ჭეშმარიტი განმაცხოველებელი, მისი უდიდესი პოეტი“[1].

ვფიქრობთ, ამ სიტყვებში წარსულ დროს თუ აწმყოთი შევცვლით, სავსებით სამართლიანად შეგვიძლია ისინი აკად. სიმონყაუხჩიშვილზე ნათქვამადაც ჩავთვალოთ.

„1921 წლის იანვარში სიმონ ყაუხჩიშვილი საბერძნეთიდან გერმანიაში გაემგზავრა და ოთხი სემესტრის განმავლობაში (1923 წლის თებერვლამდე) მუშაობდა ბერლინის უნივერსიტეტში კლასიკური ფილოლოგიის და ბიზანტინოლოგიის დარგებში მოპოვებული ცოდნის გასაღრმავებლად. აქ იგი ისმენდა ამ დარგების დიდი სპეციალისტების, საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი ელინისტებისა და ბიზანტინისტების ლექციებს. ესენი იყვნენ: ულრიხ ვილამოვიც მო-

[1] ს. ყაუხჩიშვილი, გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი, თბ., 1969, გვ. 19-20.

ლენდორფი და ედუარდ მაიერი, ედუარდ ნორდენი, ჰერმან დილსი და ულრიხ ვილკენი, ვილჰელმ შულცე, პაულ მაასი და ვილჰელმ შუბარტი, ჰილერ-გერტრინგენი და სხვა. ულრიხ ვილკენთან იგი მუშაობდა საბერძნეთის სიძველეთმცოდნეობასა და საისტორიო წყაროთმცოდნეობაში; პაულ მაასთან გადიოდა სემინარებს ბიზანტინოლოგიაში: ჰილერ-გერტრინგენი ეპიგრაფიკაში წვრთნიდა, ხოლო ვილჰელმ შუბარტთან ბერლინის მუზეუმში ბერძნულ პალეოგრაფიას ეცნობოდა"[1].

გერმანიაში ყოფნის დროიდან, ვფიქრობთ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება, მოვიყვანოთ ერთი ეპიზოდი, რომელსაც ბატონი სიმონი იგონებს:

„1921 წელს მივლინებული ვიყავი სამეცნიერო მუშაობისათვის უცხოეთში და ბერლინის უნივერსიტეტში ესწავლობდი. იქ დავიწყე მუშაობა ავრეთვე ცნობილ პაპიროლოგ ულრიხ ვილკენთან. როდესაც მან პირველად დამინახა აუდიტორიაში და უცხოელად შემიცნო, ლექციის შემდეგ გამიყვანა თავის კაბინეტში და გამომკითხა ვინაობა. როცა გაიგო, რომ მე პეტერბურგის უნივერსიტეტში ვსწავლობდი, პირველი კითხვა, რომელიც მომცა, ეს იყო „სად არის ამჟამად გრ. წერეთელი?"[2]

ს. ყაუხჩიშვილი საქართველოში 1923 წ. დაბრუნდა. მას, როგორც საზღვარგარეთ ხანგრძლივ სამეცნიერო მივლინებაში ნამყოფს, საპროფესოროდ მომზადების ვადა ერთი წლით ვაუგრძელეს.

უცხოეთიდან დაბრუნებულ ს. ყაუხჩიშვილს უდიდესი ცვლილებები დახვდა საქართველოსა და უნივერსიტეტში. 1921 წლის 25 თებერვალს დაემხო მენშევიკების მთავრობა, გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ. უნივერსიტეტის მტრებს იმედი მიეცათ, ახალი მთავრობა ქართულ უმაღლეს სასწავლებელს დახურავსო. მოხდა კი პირიქით: „საბჭოთა ხელისუფლების წლებში არათუ შენელდა უნივერსიტეტის აღმშენებლობის პროცესი, არამედ გაცილებით უფრო ფართო მასშტაბი მიიღო. საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში უნივერსიტეტში სამი ახალი ფაკულტეტი შეიქმნა"[3].

---

[1] ა. ურუშაძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, 1967, გვ. 17.

[2] ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

[3] თბილისის უნივერსიტეტი 1918—1968, გვ. 53.

ქართულმა უნივერსიტეტმა საერთაშორისო აღიარება ჰპოვა: 1924 წლის თებერვალში მისი წარმომადგენელი მიიწვიეს ნეაპოლის უნივერსიტეტის 700 წლის საიუბილეო ზეიმზე. გადაწყდა, ეს საპატიო მისია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს გრიგოლ წერეთელს დაკისრებოდა. მან ნეაპოლის უნივერსიტეტს გადასცა პერგამენტზე მხატვრულად შესრულებული ადრესი ქართულ და ლათინურ ენებზე. პაპიროლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, განთქმული ქართველი ელინისტის, კლასიკური ფილოლოგიის უდიდესი სპეციალისტის გამოსვლამ იტალიის კულტურულ წრეებზე დიდი ზემოქმედება მოახდინა. როგორც თვით გრიგოლ წერეთელი წერდა: „თბილისის უნივერსიტეტმა ხმამაღლა ამცნო ყველას თავისი არსებობის შესახებ“.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან გაუმჯობესდა პირობები მეცნიერული კვლევისათვის. უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ ს. ყაუხჩიშვილი ინტენსიურ სასწავლო და სამეცნიერო-საკვლევო მუშაობას ეწევა. იგი არის ბერძნულ-ლათინური ფილოლოგიის ლექტორი. 1923—1926 წწ. ზედიზედ აქვეყნებს 20-მდე მეცნიერულ ნაშრომს და აბარებს სადოქტორო გამოცდებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 20-იან წლებში წიგნების ბეჭდვა-გამოცემა ძლიერ რთული საქმე იყო. 1924 წლიდან უნივერსიტეტის „მოამბის“ რედაქტორის მოადგილეობა ს. ყაუხჩიშვილს მიანდვეს. ამ დრომდე 6 წლის განმავლობაში „მოამბის“ მხოლოდ სამი ნომერი იყო გამოცემული. ს. ყაუხჩიშვილმა დიდი მუშაობა გასწია არა მარტო ამ კრებულის გამოცემის მოსაგვარებლად, არამედ უნივერსიტეტის სასტამბო-საგამომცემლო საქმის გასაუმჯობესებლად. საკითხი მხოლოდ ხარისხს კი არ შეეხებოდა, სასტამბო ნიშნებიც საშოვნი იყო. სწორედ ამ პერიოდის შესახებ წერდა უნივერსიტეტის „მოამბის“ მაშინდელი რედაქტორი ა. შანიძე, რომ თბილისის ერთ-ერთ ყველაზე კეთილმოწყობილ სტამბაში ლათინური შრიფტი ისე მცირეა, სტატიების აწყობა თითო-თითო ნაბეჭდ ფორმად (თექვსმეტ-თექვსმეტ) გვერდად გვიწევდა. „ეს კიდევ არაფერი — პროფ. გ. წერეთლის წერილი თუ დაიბეჭდა, ეს იმის წყალობით, რომ ბერძნული ტექსტი ჰომეროსის ნაწყვეტისა, რომელიც სულ 21 სტრიქონისაგან შედგება, გაიყო: თექვსმეტი სტრიქონი

ერთ ფორმაში მოჰყვა და ხუთი მეორეში და როცა ერთი ფორმა დაიბეჭდა, მაშინ ზოგიერთი ასო, რომელიც გვაკლდა, პირველს ამოვაცალეთ და მეორეში ჩავსვით. ბერძნული შრიფტის ნაკლებობა აბა რა გასაკვირველია, როცა ქართული ხანმეტი ტექსტების ბეჭდვაც სწორედ ამგვარი წვალებით და ვაი-ვაგლახით გვიხდებოდა"[1].

თუ ცალკეული სტატიების ბეჭდვა ასე გაძნელებული იყო, რა დღე დაადგებოდა ავტორს და გამომცემელს წიგნების ბეჭდვის დროს? ამიტომ, ინტენსიური მეცნიერული მუშაობის პარალელურად, ახალგაზრდა ს. ყაუხჩიშვილის მიერ გაწეული ხანგრძლივი და ნაყოფიერი ზრუნვა უნივერსიტეტის სასტამბო-საგამომცემლო საქმის გაუმჯობესებისათვის ნამდვილ მოქალაქეობრივ გმირობად უნდა ჩაითვალოს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ იგი საგამომცემლო საქმის დიდი ენთუზიასტი და მოყვარულია. მისი მზრუნველი ხელი მარტო უნივერსიტეტის სტამბა-გამომცემლობას არ დასტყობია. მრავალ სხვა მსგავს დაწესებულებაშიაც დიდი მოწიწებით და სიყვარულით იხსენიებენ მის ღვაწლს. კერძოდ. აუნაზღაურებელი ამაგი დასდო მან ქუთაისის პედინსტიტუტის სტამბას, რომელიც ფაქტიურად მისი შექმნილია და, რომლისთვისაც დიდი სამამულო ომის მომდევნო ძნელ წლებში ლექციების წასაკითხად ქუთაისში ჩამოსულს, საკუთარი პორტფელით ჩამოჰქონდა ხოლმე დეფიციტური შრიფტი.

## 3. თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი

1926 წელს ს. ყაუხჩიშვილმა გამოსცა „გიორგი ამარტოლის ხნოროგრაფის ქართული თარგმანი", ნაწილი II, გამოკვლევა. ეს შრომა წარდგენილ იქნა სადოქტორო დისერტაციად.

დაარსების დროიდან „თბილისის უნივერსიტეტში მეცნიერების მხოლოდ ერთი ხარისხი იქნა შემოღებული—მეცნიერების დოქტორისა, ანუ მოძღვართ-მოძღვრისა — წერს პროფ. ს. ჯორბენაძე. — რუსეთის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი და დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტების დოქტორის ხარისხი მოძღვართ-მოძღვრობის ხარისხს უდრიდა. დისერტაციის დაცვა საჯაროდ ხდებოდა ფაკულტეტის საბჭოზე"[2].

[1] ციტირებულია დასახელებული საიუბილეო კრებულის მიხედვით, გვ. 70.
[2] იქვე, გვ. 48.

ს. ყაუხჩიშვილის დისერტაციის დაცვა 1927 წლის 20 მარტს შედგა[1]. ოპონენტები იყვნენ ივ. ჯავახიშვილი, გრ. წერეთელი და კ. კეკელიძე. საბჭომ დისერტანტს ერთხმად მიანიჭა ბიზანტინოლოგიის დოქტორის წოდება[2]. საჯარო დისპუტის დროს აღინიშნა ს. ყაუხჩიშვილის საუცხოო ფილოლოგიური განსწავლულობისა და ღრმა მეცნიერული ხედვის შესახებ. ითქვა, რომ იგი არა მარტო კლასიკური ფილოლოგიის დიდ ცოდნას ამჟღავნებს, არამედ ზედმიწევნით კარგად იცნობს ძველი ქართული ტექსტების ენასაც. ივ. ჯავახიშვილმა იმედი გამოთქვა, რომ ჩვენს წყაროთმცოდნეობას ს. ყაუხჩიშვილი დიდმნიშვნელოვანი შრომებით გაამდიდრებდა.

გიორგი ამარტოლის „ქრონოგრაფის“ ქართული თარგმანი სრულიად შეუსწავლელი ძეგლი იყო. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, მისი „შესწავლა ამავე დროს ბიზანტიური ჟამთააღმწერლობის შესწავლას უდრის“. ქართულ თარგმანს წმინდა ისტორიული თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ „სამაგიეროდ განუსაზღვრელია მისი ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა“[3], რადგანაც ბერძნული ტექსტის დადგენა და მისი ისტორიის შესწავლა ქართულის გარეშე შეუძლებელია.

გამოკვლევის ავტორის მიზანი იყო: დაედგინა ბერძნულ ენაზე არსებული 27 ხელნაწერი რედაქციიდან რომელი ჰქონდა ხელთ მთარგმნელს; გამოეკვლია მთარგმნელის ინდივიდუალური თავისებურებანი; განესაზღვრა თარგმნის დრო და ავტორი. ყველა ამ ამოცანის გადაწყვეტას ხელს უშლიდა მეტად სერიოზული გარემოება: „ქრონოგრაფის“ ქართული თარგმანის უძველესი ხელნაწერი გვიანდელია, იგი უშუალოდ მთარგმნელის ხელიდან არაა გამოსული.

---

[1] სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავზე, თბ., 1957, გვ. 659.

[2] როცა 1934 წლის 13 იანვარს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება „სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების მინიჭების შესახებ“, საჭირო გახდა წინათ მოპოვებული ხარისხებისა და წოდებების ხელახლა დამტკიცება. ახალი ნომენკლატურა ბიზანტინოლოგიის დოქტორის ხარისხს აღარ აწესებდა. რადგან მისი ნაშრომი გიორგი ამარტოლის „ქრონოგრაფს“ შეეხებოდა, უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ ს. ყაუხჩიშვილი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორად დაამტკიცა.

[3] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გიორგი ამარტოლის ქრონოგრაფის ქართული თარგმანი, ნაწ. II, გამოკვლევა, თბ., 1926, გვ. 11.

მიუხედავად ამ სიძნელეებისა, ს. ყაუხჩიშვილმა შეძლო მის წინაშე მდგომი ყველა ამოცანის გადაჭრა. მან დაადგინა, რომ ქართული თარგმანი უშუალოდ ბერძნული ტექსტიდანაა შესრულებული, გამოარკვია ბერძნულ რედაქციათა ჯგუფი, რომელიც მთარგმნელს შეიძლება ჰქონოდა ხელთ (იგი ერთი ხელნაწერიდან არ აღმოჩნდა თარგმნილი). განსაზღვრა: „ქართული თარგმანი გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფისა შესრულებულია XI საუკუნეში ან XII საუკუნის დასაწყისში“[1]. ჰიპოთეზა გამოთქვა, რომ მთარგმნელი უნდა იყოს არსენ იყალთოელი[2], და რომ იგი „ბრმად არ მისდევს დედნის არც წინადადებათწყობას და არც ცალკე სიტყვების შეუზღუდველ მნიშვნელობას. მას ახასიათებს დედნის ტექსტის თავისუფალი მომარჯვება და მისი ამოწურვა ქართული ენის ყოველი საშუალებით“[3].

ამის გარდა, პრეციზიული ფილოლოგიური ანალიზის გზით გაჰკვლევის ავტორს განხილული აქვს: მთარგმნელის ვერ ცუდად გაგებული ადგილები, ადგილები, სადაც ზედმიწევნითი თარგმანია შესრულებული, წინადადებათწყობა, ქართული თარგმანის თავისებურებანი, შემოკლებული ადგილები, ქართული თარგმანის ტექსტუალური სხვაობანი, ქართულში გამოტოვებული ადგილები, ქართულში ზედმეტი ადგილები, ქართული ტექსტის სხვაობანი, ბერძნული ტექსტით გამართლებული, და სხვა საკითხები.

დამატების სახით ნაშრომს ერთვის ორი გამოკვლევა: ბერძნული სიტყვების გადმოცემა ქართულში და ბერძნული საკუთარი სახელების გადმოცემა ქართულში (ამ უკანასკნელის ნაწილობრივ შეცვლილი ვარიანტი დაიბეჭდა 1925 წ. კრებულ „არილში“).

ს. ყაუხჩიშვილის „გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფი“ ბერძნული და ქართული ტექსტების მეცნიერული შეპირისპირების ქართულ ენაზე შესრულებული პირველი გამოკვლევაა კლასიკურ ფილოლოგიაში. ამ ნაშრომით ს. ყაუხჩიშვილმა მძლავრი ნაბიჯი შემოდგა ქართულ მეცნიერებაში და ამასთან დაამტკიცა, რომ იგი კარ-

---

[1] ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. შრ., გვ. 19.

[2] ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 43. შემდეგში ეს ჰიპოთეზა დაადასტურა კ. კეკელიძემ. იხ. მისი „ქართული ლიტერატურის ისტორია“, I. 1960, გვ. 277.

[3] ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 21.

გადაა დაუფლებული არა მარტო ისტორიულ-ფილოლოგიურ კვლევას, არამედ უაღრესად კეთილსინდისიერი მეცნიერიცაა. მაგალითისათვის იმავე შრომიდან მოვიყვანთ ერთ ადგილს: „სტამბისათვის დამზადებულ ტექსტში, — წერს იგი, — ჩვენ ზოგიერთი ადგილი გამოგვრჩენია და ორიოდე შემთხვევაში ქარაგმებიც უმართებულოდ გაგვიხსნია. ასე რომ მრავალ კორექტურულ შეცდომას ჩვენი საკუთარი შეცდომებიც ზედ დაერთო“[1]. საქმე შეეხება „ქრონოგრაფის“ ქართული თარგმანის 1920 წლის გამოცემას. როდესაც ს. ყაუხჩიშვილმა საბერძნეთში ყოფნის დროს ქართული ტექსტი ბერძნულს შეადარა, მის მიერ დაშვებული რამდენიმე უმნიშვნელო შეცდომა შეამჩნია. როგორც ვხედავთ, არ დააყოვნა და მკითხველს პირველი შესაძლებლობისთანავე აუწყა, თუმცა თვითონ რომ არ ელიარებინა, შეიძლება ამას ვერავინ ვერ გაიგებდა.

1926 წ. ს. ყახუჩიშვილი უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სწავლული მდივანია. ეს ფაკულტეტი 1921 წელს შეიქმნა სიბრძნისმეტყველებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების გაერთიანების შედეგად[2]. ფაკულტეტის მდივანი მაშინ ფაქტიურად დეკანის მოადგილეს უდრიდა. ს. ყაუხჩიშვილი ამ მოვალეობას ასრულებდა უნივერსიტეტის რეორგანიზაციამდე (1930 წ.), როცა პედაგოგიური ფაკულტეტი გარდაიქმნა პედაგოგიურ ინსტიტუტად[3].

1927 წ. სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ, „ს. ყაუხჩიშვილი არჩეულ იქნა დოცენტად და შემდეგ ბიზანტინოლოგიის კათედრის გამგედ“[4]. ამ კათედრას, რომელსაც დროდადრო შეუერთდებოდა ხოლმე ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის კათედრები, იგი განაგებდა 1938 წლამდე.

1927—1930 წწ. ს. ყაუხჩიშვილი იყო „საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების“ თავმჯდომარე. ეს ახალგაზრდა მეშაკის ნიჭისა და უნარის დიდი აღიარებაც იყო, რამდენადაც ამ მეტად მნიშვნელოვან და საპატიო მოვალეობას ადრე ექვთ.

---

[1] ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 11.

[2] იხ. კრებ. სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტი ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავზე, გვ. 6.

[3] იქვე, გვ. 13.

[4] იქვე, გვ. 12.

თაყაიშვილი და ივ. ჯავახიშვილი ასრულებდნენ. ამ უკანასკნელმა ს. ყაუხჩიშვილს, როგორც თავის შემცვლელს, თვითონვე მისცა რეკომენდაცია.

1930 წ. სიმონ ყაუხჩიშვილი არჩეული იქნა პროფესორად[1].

დასახელებულ თანამდებობათა პარალელურად სიმონ ყაუხჩიშვილი განაგრძობს ინტენსიურ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას. 1928—1940 წწ. მას გამოქვეყნებული აქვს ოცდახუთზე მეტი სამეცნიერო გამოკვლევა, რომელთა დიდი ნაწილი სოლიდური მოცულობის მონოგრაფიაა. მათს შორის სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დიდი ქართველი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის შრომების გამოცემას ორ ტომად (ტ. II, 1937 წ. პროფ. შ. ნუცუბიძესთან ერთად, ტ. I. 1940 წ.). ჯერ ერთი, საინტერესო ფაქტად მიგვაჩნია შემდეგი: გრ. წერეთელმა 1924—1926 წწ. თბილისში ლათინურ ენაზე ორ ნაკვეთად გამოსცა იოანე იტალოსის შრომები (ესაა ამ ფილოსოფოსის თხზულებათა ერთადერთი ბეჭდური გამოცემა)[2]. გრ. წერეთლის მოწაფემ და შემოქმედებითმა მემკვიდრემ სიმონ ყაუხჩიშვილმა კი 1937—1940 წლებში გამოაქვეყნა იოანე იტალოსის მოწაფის—ფილოსოფიურ შესედულებათა განმავითარებლის იოანე პეტრიწის მეცნიერული მემკვიდრეობა; მეორეც — XI—XII საუკუნეთა მიჯნის ორი გამოჩენილი მოღვაწის, იყალთოსა და ვეღათის აკადემიების მოძღვართ-მოძღვრების არსენ იყალთოელისა და იოანე პეტრიწის უმნიშვნელოვანესი თარგმანების გამოცემა აკად. ს. ყაუხჩიშვილს ეკუთვნის.

ყველაფერი ეს „გარედან დანახული“ ფაქტია, ხოლო თუ ამ შრომებში უფრო ღრმად ჩავიხედავთ, დავრწმუნდებით, რა დიდი ცოდნა, მონდომება და ენერგია დასჭირდებოდა იმ მუშაობის შესრულებას, რომელიც გამომცემელს გაუწევია. ჯერ რამდენიმე სიტყვა თვით პეტრიწის შესახებ.

ქართული ფილოსოფიური რენესანსის ფუძემდებელი იოანე

---

[1] მ. გამყრელიძე, თბილისის უნივერსიტეტი 1918—1948, თბ., 1949, გვ. 320.

[2] იოანე იტალოსის შრომათა გრ. წერეთლისეული გამოცემა გამეორებული იქნა 1966 წ. იხ. იოანე იტალოსი, თხზულებანი, ბერძნული ტექსტი ვარიანტებით და შენიშვნებით ქვეყნდება გრიგოლ წერეთლის მიხედვით, ნათელა კეპაყმაძის რედაქციითა და წინასიტყვაობით.

პეტრიწი დავით აღმაშენებლის (1089—1125) თანამედროვე მოღვაწე იყო. მისი ბიოგრაფიული ცნობები დაცული არ არის. ისიც კი არაა კარგად დადგენილი, თუ საიდან წარმოდგა და რას ნიშნავს ზედწოდება „პეტრიწი“. მკვლევართა უმრავლესობა (ა. ცაგარელი, ნ. მარი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, შ. ნუცუბიძე, ს. ყაუხჩიშვილი) ფიქრობს, რომ იოანემ ეს ზედწოდება მიიღო პეტრიწონის (ახლა ბაჩკოვო ბულგარეთში) იმ ქართული მონასტრის მიხედვით, რომელიც გრიგოლ ბაკურიანისძემ დააარსა 1083 წელს. არსებობს ზოგიერთი არაპირდაპირი ცნობა, რომ ი. პეტრიწს უსწავლია მანგანის აკადემიაში, სადაც მის დროს მოღვაწეობდა იოანე იტალოსი (დაიბ. 1025 წ.). იგი, წარმოშობით იტალიელი, ბიზანტიის სამეფო კარზე მიღებული დიდი სახელმწიფო მოხელე და კონსტანტინოპოლის აკადემიის პროფესორი იყო. მან აითვისა და განავითარა ამ აკადემიაში ფილოსოფიის კათედრაზე მისი წინაპრის მიქელ პსელოსის (1018—1077) მოძღვრება, რომლის მიხედვით მისტიკა და ინტუიცია ფილოსოფიისაგან გათიშული უნდა იქნეს და ღვთისმეტყველებას მიენდოს. ფილოსოფია, კი ყოველი არსის ბუნების გამოკვლევისას უნდა ეყრდნობოდეს დასაბუთებას. დასაბუთებისას ფილოსოფია უნდა იყენებდეს გეომეტრიულ მეთოდს და სილოგიზმს, ღვთისმეტყველება ერთი მხრივ დამტკიცებებს ემყარება, მეორე მხრით — ზეშთაგონებას. ასე მსჯელობა მ. პსელოსს „მწვალებლობად“ ჩაუთვალეს, მან, როგორც უპრინციპო ადამიანმა, მაშინვე დაიხია უკან და უარყო თავისი მტკიცებანი.

სხვაგვარად მოიქცა ი. იტალოსი, რომელმაც მ. პსელოსის ღებულებათა დასასაბუთებლად არისტოტელეს მოძღვრება მოიმარჯვა. ამის შესახებ მოახსენებს ახლადგამეფებულ კეისარს ალექსი კომნენს. იტალოსი და მისი მიმდევრები 1083 წელს გაასამართლეს, ერეტიკოსებად გამოაცხადეს და შეაჩვენეს. მათ შორის უნდა ყოფილიყო იოანე პეტრიწიც.

შემდეგ პეტრიწი, საფიქრებელია, მოღვაწეობდა პეტრიწონში, სადაც მონასტერთან სემინარიაც არსებობდა, ხოლო, როცა დავით აღმაშენებელმა გელათი „სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უალრეს მისსად“ გადააქცია და იქ აკადემია გახსნა (დაახლ. 1106 წ.), იოანე პეტრიწი, როგორც „საღმრთო ფილოსოფოსი და ხორციელად ღრამატიკოსი“.

საქართველოში მოიწვია. გელათში იგი მოღვაწეობდა დემეტრე მეორის (1125—1156) მეფობის პირველ წლებშიაც.

იოანე პეტრიწი მრავალმხრივი მოაზროვნე იყო. გარდა ფილოსოფიურისა, მას აქვს ბიბლიოლოგიური, ლიტურგიკული, ასკეტური, ისტორიული, გრამატიკული ხასიათის ორიგინალური და ნათარგმნი თხზულებანი. წერდა იამბიკოებს, ეწეოდა პრაქტიკულ პედაგოგიურ საქმიანობას. გამოთქმულია შეხედულება, რომ მასვე ეკუთვნის „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი ღავით აღმაშენებლის ისტორია (ივ. ლოლაშვილი).

იოანე პეტრიწის ამ მრავალმხრივი მემკვიდრეობიდან ძირითადი და ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ფილოსოფიური თხზულებანია. მისი ნაწერებიდან ცხადად ჩანს, რომ იგი კარგად იცნობდა თანამედროვე ბიზანტიურ, ანტიკური ხანის ბერძნულ და ადრეული შუა საუკუნეების ქართველ ფილოსოფოსებს. იოანე პეტრიწის ფილოსოფიური მემკვიდრეობიდან ჩვენამდე ორმა მთავარმა თხზულებამ მოაღწია. ესენია ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“ (გამოსცა ს. გორგაძემ 1912 წ.) და პროკლეს „სტოიხეიოსის თეოლოგიკა“ — თეოლოგიის ელემენტები, რომელიც ქართველმა ფილოსოფოსმა თარგმნა „კავშირნი ღვთისმეტყველებითნის“ სახელწოდებით.

სწორედ იოანე პეტრიწის ეს თარგმანი და მისი კომენტარები გამოსცა ორ ტომად ს. ყაუხჩიშვილმა. „შრომების“ მეორე ტომი პირველზე სამი წლით ადრე გამოქვეყნდა. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. სახელდობრ: იოანე პეტრიწი აქამდე, როგორც ფილოსოფოსი, შესწავლილი არ იყო. მართალია, ნ. მარმა 1909 წ. გამოაქვეყნა მონოგრაფია **Иоанн Петрицкий, грузинский неоплатоник XI — XII века**, შემდეგ კი კ. კეკელიძემ თავის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ საკმაოდ ვრცელი მსჯელობა წარმოადგინა პეტრიწის შესახებ, მაგრამ ამ შრომების ავტორებს იოანე პეტრიწის ღვაწლი მხოლოდ ფილოლოგიური პოზიციებიდან აქვთ შეფასებული. ხოლო „თუ იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შეხედულებებზე ვილაპარაკებთ, — წერდნენ შ. ნუცუბიძე და ს. ყაუხჩიშვილი, — სამწუხაროდ, ნ. მარის მონოგრაფიის შემდეგაც მდგომარეობა უცვლელი რჩება“[1]. გამომცემლებმა საფუძვლიანად

[1] იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II, 1937, გვ. XXXV.

შეისწავლეს ქართველი ფილოსოფოსის ნაღვაწი და დაადგინეს: ი. პეტრიწის „განმარტებაჲ პროკლესათვის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის“ უბრალო კომენტარები კი არ არის, არამედ დამოუკიდებელი ფილოსოფიური თხზულებაა[1], რომელიც თავისი მოცულობით და დანიშნულებით სცილდება პროკლეს „კავშირნის“ მოცულობას და შინაარს.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ესაა ორიგინალური ფილოსოფიური ტრაქტატი, სადაც იოანე პეტრიწმა თავისი საკუთარი მსოფლმხედველობის კვინტესენცია გადმოსცა. ამდენად, რადგანაც გამოსაცემ წიგნს „ი. პეტრიწის შრომები“ ერქვა, პირველად სწორედ მისი გამოცემა იყო საშური საქმე. გასაგებია, რომ იგი, როგორც „განმარტებაჲ“, უნდა ყოფილიყო მეორე ტომი, პირველი კი თვით პროკლეს თხზულების პეტრიწისეული თარგმანი იქნებოდა. გამომცემლებიც სწორედ ასე მოიქცნენ.

უფრო რთული საქმე აღმოჩნდა იმის დადგენა, თუ რატომ მაინცდამაინც პროკლე დიადოხოსი აირჩია სათარგმნად პეტრიწმა.

პროკლე (410—485) ათენის სკოლის უკანასკნელი ნეოპლატონიკოსი იყო. ნეოპლატონიკოსები ცდილობდნენ სტოიციზმი, ეპიკურეიზმი, სკეპტიციზმი შეერიგებინათ პლატონის მოძღვრებისათვის, მოეხდინათ მისი სისტემატიზაცია და შეეკვსოთ იგი არისტოტელეს იმ შეხედულებებით, რომლებიც პლატონს არათუ ეწინააღმდეგება, არამედ ავსებს და ავითარებს. ისინი ცდილობდნენ დაესაბუთებინათ პლატონის „ტრიადა“ და შედეგად მიიღეს ასეთი დაღმავალი სქემა: „ერთიანი“ — „გონება“ — „სული“ — „კოსმოსი“ — „მატერია“. ფილოსოფია მათ თეოსოფიად, მითოლოგიად და ცრურწმენად გადააქციეს. ქრისტიანობამ ნეოპლატონიზმის თეოსოფიური ელემენტები შეიწოვა.

ნეოპლატონიკოსთა შორის უკანასკნელი დიდი მოაზროვნე, რომელიც ქრისტიანობასთან შერიგების გზას დაადგა, იყო პროკლე. მან პლატონის ტრიადალური დიალექტიკა თავისებურად დაამუშავა. მაგალითად, პლატონის ტრიადის საწყისი აბსოლუტურად შეუცნობელი „ერთიანისაგან“ პროკლე გამოყოფს სხვა „ერთიანს“, რომელიც თავის თავში შეიცავს მრავალს.

ქრისტიანობამ ნეოპლატონიზმი მიიღო არა უშუალოდ, არამედ

---

[1] იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II, გვ. XXXIX.

V ს-ის მეორე ნახევრის მოღვაწის, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის გზით. ასე მომხდარა საქართველოშიც, სადაც არეოპაგიტიკულად „ქრისტიანიზებული“ ნეოპლატონიზმი ადრევე გავრცელებულა. კერძოდ, ამაზე მიუთითებს ფსევდო-დიონისეს თხზულებათა თარგმნა ეფრემ მცირეს მიერ.

ი. პეტრიწის „შრომების“ II ტომის გამომცემლები პროკლეთი „განმარტების“ ავტორის დაინტერესებას ასე ხსნიან: „თეოლოგიურ-ფილოსოფიური განახლების შემდეგ, XI—XII საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში ახალ ეკონომიურ და პოლიტიკურ პერსპექტივებთან დაკავშირებით იშლება საერო ხასიათის ფილოსოფია, ნეოპლატონიზმის ნიადაგზე აღმოცენებული. საფეხური ნეოპლატონიზმის ფილოსოფიისა, რომელიც საქართველოს ფილოსოფიურ აზროვნებას უკავშირდება, არის მისი დიალექტიკური დამუშავების საფეხური, რომელიც პროკლესთანაა დაკავშირებული“ (გვ. XVII). ეს უკანასკნელი იყო ის მოაზროვნე, რომელმაც საბოლოო სისტემატიზაცია უყო ნეოპლატონიზმს (გვ. XXIX), დაუახლოვა პლატონს არისტოტელე და უზენაესი მიზეზი გამოაცხადა „სიკეთედ“ (გვ. XXXI). პროკლეს მიერ განმტკიცებული ყველა ეს დებულება იოანე პეტრიწს ესაჭიროება საბაბად, რათა საშუალება მიეცეს თავისი, ხშირ შემთხვევაში პროკლესა და ქრისტიანობისაგან განსხვავებული აზრები, გამოთქვას პლატონური ფილოსოფიის განმარტებების სახით (გვ. XXXVI). ქრისტიანული დოგმატიზმის „პირობებში იოანე პეტრიწს არ შეეძლო ეწერა სხვაგვარად, თუ არა სხვის აზრებზე ამოფარებით“ (გვ. XXXIX).

მაშასადამე, ერთი მხრივ, პროკლეს ნააზრევი შეგუებული იყო ქრისტიანობასთან და იგი პეტრიწს ამის გამო ესაჭიროებოდა, ხოლო, მეორე მხრივ, პროკლეს ნეოპლატონიზმი „თავისუფალი განმარტების“ საბაბს იძლეოდა.

„შრომების“ მეორე ტომის შესავალ წერილში შ. ნუცუბიძე და ს. ყაუხჩიშვილი პეტრიწის ფილოსოფიურ შეხედულებებს ქართული აზროვნების ტრადიციებიდან ამოსულად, ამ ტრადიციების შემდგომ განვითარებად (გვ. XXXIII—XXXIV) და ქრისტიანიზმში ქართული წარმართობის შერევის ცდად მიიჩნევდნენ (გვ. XXII).

ნუცუბიძე-ყაუხჩიშვილის ამ დებულებებს ძლიერ მალე გამოუჩნდა უარმყოფელი. ეს იყო პროფ. მ. გოგიბერიძე, რომლის

„იოანე პეტრიწი და მისი მსოფლმხედველობა“ ს. ყაუხჩიშვილმ
შესავლის სახით დაურთო პეტრიწის შრომების პირველ ტომს
(1940 წ.).

წერილის ავტორი საკმაოდ მკაცრი ტონით აკრიტიკებს პეტრი
წის მეორე ტომის გამომცემლებს. იგი არ იზიარებს მათს დებუ-
ლებას იოანე პეტრიწის პროკლეთი დაინტერესების საკითხში, ეს
მას ფაქტების დამახინჯებად მიაჩნია. „ცხადია, — წერს მ. გოგიბე
რიძე, — იოანე პეტრიწსაც ქრისტიანული აზროვნების ის განაბლე
ბის საკითხები აინტერესებდა, როგორიც მის დასავლეთ მოძმეებს
და ამ საკითხებიდან ამოსვლით მიმართა მან პროკლეს და არა ქვე
ყნისათვის უცნობი ქართული ფილოსოფიური ტრადიციების გა
მო“ (ტ. I, გვ. XXXV). პროკლეს რესტავრაცია ბიზანტიელმა ფი
ლოსოფოსებმა მოახდინეს და, — განაგრძობს იგი, — მიქაელ პსე
ლოსისა და იოანე იტალის სკოლაგამოვლილი იოანე პეტრიწისა
თვის დიადოხოსი საინტერესო იყო, როგორც მონისტი, რამდენა
დაც ქართველი ფილოსოფოსი, თვითონ ორთოდოქსალი დიოფიზი
ტი და სქოლასტიკოსი გახლდათ (იქვე, გვ. XLVI—XLVII, LXXXI)

პროფ. ბოსე გოგიბერიძე „ისტორიული კვლევისათვის მიღე
ბელი მეთოდებით მუშაობის გამო“ (იქვე, გვ. LXXXIII) ბევრ
სხვა საკითხის გაშუქებაშიაც არ ეთანხმება პროფ. შ. ნუცუბიძეს
და პროფ. ს. ყაუხჩიშვილს. მათ შორის, ჩვენის აზრით, ძირითა
დია სამი: 1. პეტრიწი რენესანსულ აზროვნებამდე ვერ ამაღლ
და (იქვე, გვ. LIII), ის კი არა და „ნეოპლატონელობა იოანე პეტ
რიწისა ძალიან პირობითი ცნებაა“ (იქვე, გვ. L), თუმცა იგი „დიდ
და მრავალმხრივი მოაზროვნე იყო ეპოქისა გარემოების მიხე
დვით ხუცესისა და ბერის ტანსაცმელში გახვეული“ (იქვე
გვ. XLIX); 2. „პეტრიწი იყო გამოჩენილი მოაზროვნე და თეოლო
გი ორთოდოქსალური ნიკეიისა და ქალკედონის ქრისტიანობი
სა“ (იქვე, გვ. XCI), ამიტომ მის „ტექსტში არავითარ წარმართო
ბაზე და არავითარ წარმართ ღმერთებზე ლაპარაკი არ არის“ (იქ-
ვე, გვ. XCII); 3. მას მიაჩნია, რომ პეტრიწმა შექმნა ხელოვნურ
„ფილოსოფიური, დიალექტიკურად მდედუცირებელი, ცნებათ
ენა“ (იქვე, გვ. XXXIII), რომელიც, მართალია, „გენიალური ჰიდი
ლი იყო აზროვნების ქვეყანაში“, მაგრამ პეტრიწს გამგრძელებლებ
ალარ ჰყოლია (იქვე, გვ. XXXIV).

წინამდებარე ნარკვევის დანიშნულების გამო ჩვენ ვერ გამოვუდგებით იმ საკითხის დაწვრილებით განხილვას, რომელი მხარე იყო სწორი ამ კამათში წამოჭრილ ყველა დებულებაში. ბევრი მათგანი, ვფიქრობთ, საკითხით დაინტერესებული მკითხველისათვის ამჟამად ელემენტარულ ამბად ითვლება, მაგრამ, თუ პეტრიწის „შრომების“ გამოცემის გამო გამოწვეულ აზრთა სხავდასხვაობაზე შევჩერდით, ეს მხოლოდ იმ მიზნით, რომ გვეჩვენებინა პროფ. ს. ყაუხჩიშვილის შემწყნარებლობა კრიტიკის მიმართ. მას აკრიტიკებენ იმავე წიგნში, რომლის რედაქტორიც თვითონაა და იგი ხელს უწყობს ასეთი წერილის დაბეჭდვას.

ასეთი რამ მხოლოდ დიდბუნებოვან, თავის სიმართლეში დარწმუნებულ და მოპაექრის ღირსეულად დამფასებელ მეცნიერს შეუძლია.

რაც შეეხება პეტრიწის ენას, მას ს. ყაუხჩიშვილი შემდგომაც არაერთხელ დაუბრუნდა, ამიტომ არ ვიქნებოდით სწორი, თუ ამ საკითხზე მოკლედ მაინც არ გადმოვცემდით მის აზრს.

პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა პეტრიწის „შრომების“ პირველი ტომის შესავალ ნაწილში ვრცლად მიმოიხილა ი. პეტრიწის ენა, ხოლო უფრო გვიან გამოაქვეყნა წერილი: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და იოანე პეტრიწი“ (1942). მისი შეხედულება ასეთია: იოანე პეტრიწს „მძიმე ენა“ აქვს, მაგრამ იგი იცავს ძველი ქართულის ნორმებს. ქართველი ფილოსოფოსის მიერ ნახმარი ბევრი ფორმა, რომელიც არქაიზმად შეიძლება მოგვეჩვენოს, „პეტრიწის მიერ ძველი წიგნებიდან მოტანილი მოვლენა კი არ არის, არამედ ცოცხალ, სალაპარაკო ენაში დარჩენილი უღლილების ლიტერატურაში გადმოტანაა“ (ტ. I, გვ. LV). ს. ყაუხჩიშვილი არ კმაყოფილდება ზოგადი დასკვნებით, დაწვრილებით მიმოიხილავს ზმნის, ზედსართავი სახელის, სინტაქსის საკითხებს პეტრიწთან. მას შემჩნეული აქვს, რომ ფილოსოფოსი ზოგჯერ აწმყო დროის საწარმოებლად აღარ ხმარობს პრევერბს (მაგ., „მოვა“, „ავა“, ძვ. ქართული „მოვალს“, „აღვალს“ მაგივრად), ეს ძველი ქართულის ნორმების დარღვევა იყო. „ამ მოვლენაში ჩვენ ვხედავთ სალაპარაკო ქართულის გავლენას, — წერს იგი, — იმ ქართულისას, რომელიც XI—XII საუკუნეებში თანდათან იპყრობს ადგილს საერო მწერლობაში“ (იქვე, გვ. LVIII), ანდა ავიღოთ ასეთი დებულება: პეტრიწის ენის და (მისი ეპოქის) სტილის დამახასიათებელი თვისებაა ერთი ცნების გა-

მოხატვა ორი ერთმანეთის მონათესავე სიტყვით. ამ ხერხს პეტრიწი უხვად იყენებს თავისი თხზულების როგორც ნათარგმნ, ისე ორიგინალურ ნაწილში.

იოანე პეტრიწს „განმარტებაში“ აქვს ასეთი გამოთქმა: „ეფუცავ სურვილსა, ენაჲმცა ენისადა გამეწყო ხედვაჲმცა ფილოსოფოსთა განცდისაჲ მეარისტოტელურა“ (I, გვ. 222). ამ წინადადების უამრავი ინტერპრეტაცია არსებობს. ერთნი მას ხსნიან, როგორც პეტრიწის ოცნებას არისტოტელესავით ღრმად მოაზროვნე ფილოსოფოსი გამხდარიყო, მეორენი მიუთითებენ პეტრიწის სურვილზე, დაეპირისპირებინა ერთმანეთისათვის პლატონი, ნეოპლატონიკოსი პროკლე და არისტოტელე, მესამენი ფიქრობენ: პეტრიწს სურდა ქრისტიანული ღვთისმეტყველებისათვის მიესადაგებინა ანტიკური ეპოქის უდიდესი ფილოსოფოსის მოძღვრებაო და ა. შ.

სრულიად ორიგინალური, თანაც მეთოდოლოგიურად გამართული ახსნა მოუნახა ამ ფრაზას სიმონ ყაუხჩიშვილმა. მან მოიმარჯვა ვ. ი. ლენინის მითითება არისტოტელეს შესახებ, რომ ეს უკანასკნელი აკრიტიკებდა პლატონის იდეალიზმს, არ ეჭვობდა გარე სამყაროს რეალურად არსებობას, თანაც მიუთითებდა, რომ არისტოტელეს შრომებში მოიპოვება „Живые зачатки и запросы диалектики“, რომ საერთოდ „Аристотель вплотную подходит к материализму“[1], პეტრიწის გამოთქმა „ხედვაჲმცა ფილოსოფოსთა განცდისაჲ მეარისტოტელურა“ განმარტა, როგორც მისი მატერიალიზმისაკენ სწრაფვა.

1964 წ. ს. ყაუხჩიშვილის ინიციატივით ფართოდ აღინიშნა იოანე პეტრიწის დაბადების 900 წელი. მან ამ თარიღთან დაკავშირებით რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა და მოხსენებებით გამოვიდა თბილისსა და ქუთაისში გამართულ საიუბილო სხდომებზე.

## 4. ქუთაისი, გელათი...

1933 წლის 8 იანვარს საქართველოს სსრ ცაკმა და სახკომსაბჭომ დაადგინეს თბილისში არსებული რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის ბაზაზე კვლავ ჩაძოყალიბებულიყო სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხოლო პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელიც 1930 წელს

[1] В. И. Ленин. Философские тетради. 1947, стр. 267, 304—305.

თბილისის უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შემდეგ შეიქმნა, გადატანილიყო ქ. ქუთაისში. 1933 წლის თებერვლიდან ქუთაისში რეალური სასწავლებლის ყოფილ შენობაში მუშაობა დაიწყო პედაგოგიურმა ინსტიტუტმა. მაშინ I და II კურსებზე 700 სტუდენტი ირიცხებოდა. ჩამოყალიბდა 20 კათედრა, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა 65 ერთეულით განისაზღვრა. პატრიოტულად განწყობილმა გამოჩენილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდმა ჯგუფმა ეროვნულ მოვალეობად ჩათვალა სამუშაოდ წასულიყო საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ქალაქში, მონაწილეობა მიეღო კულტურის მძლავრი კერის შექმნა-დაფუძნებაში. მათ შორის იყო პროფ. ს. ყაუხჩიშვილიც. ასე რომ, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დამფუძნებლის სახელს იგი ინაწილებს კ. კეკელიძის, დ. უზნაძის, ივ. ბერიტაშვილის, ა. შანიძის, გ. ახვლედიანის, შ. ნუცუბიძის, არ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას და გ. ძოწენიძის თანაბრად.

უფრო მეტიც, როცა ბევრმა ზემოჩამოთვლილმა მეცნიერმა ასაკისა თუ ზოგიერთი სხვა გარემოების გამო ქუთაისში მოღვაწეობა შეწყვიტა, სიმონ ყაუხჩიშვილი აქაურ პედაგოგიურ ინსტიტუტში 1954 წლამდე განუწყვეტლივ მუშაობდა. ქუთაისში სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა მან მხოლოდ მას შემდეგ დათმო, როცა თავისი შემცვლელები აღზარდა და ამ მხრივ თავი შედარებით მშვიდად იგრძნო. ამ ოცი წლის მანძილზე დროდადრო იგი იყო კათედრის გამგე, ასპირანტთა ხელმძღვანელი, ინსტიტუტის „შრომების“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, აწარმოებდა არქეოლოგიურ-დაზვერვით სამუშაოებს ქუთაისსა და მის მახლობელ რაიონებში, კითხულობდა სალექციო კურსებს ანტიკურ ლიტერატურაში, ბიზანტიის ისტორიაში, საქართველოს ისტორიის სპეციალურ კურსში, წყაროთმცოდნეობაში, ასწავლიდა ასპირანტებს ბერძნულსა და ლათინურ ენებს. მის მიერ ქუთაისში აღზრდილ ასპირანტთა ერთი ნაწილი ახლა ცნობილი მეცნიერები არიან, ასეთებია: პროფესორი ლ. სანიკიძე, პროფესორი დ. გეწაძე და უდროოდ გარდაცვლილი დოცენტი ა. ბიბიჩაძე.

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომათა კრებულებში სიმ. ყაუხჩიშვილს გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოკვლევა. კერძოდ: „ლიბანიოსი და ბაკური“ (1940), „ბერ-

ბების ღასასლების ისტორია საქართველოში", ნარკვევი პირველი (1942), ნარკვევი მეორე (1946), „ქართლის ცხოვრება" და „მსოფლიო ისტორია" (1947), „ახალი მასალები „ქართლის ცხოვრების" ნუსხათა შესწავლისათვის" (1948), „ერთი უცნობი სინტაქსური მოვლენისათვის ძველ ქართულში" (1949), „ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიისათვის" (1951). ს. ყაუხჩიშვილმა ქუთაისში თარგმნა და გამოსცა არისტოტელეს „ათენის სახელმწიფო წყობილება".



შალვა ნუცუბიძე. 1965 წ.

ქუთაისში პროფ. სიმონ ყაუხჩიშვილის მუშაობასთანაა დაკავშირებული მის მიერ გელათის ხუროთმოძღვრული ანსამბლის შესწავლა. ჩატარებული მუშაობის წინასწარი შედეგები გამოქვეყნდა გაზეთ „ინდუსტრიულ ქუთაისში“ 1945 წ. 9 სექტემბერს, ხოლო უფრო მოგვიანებით ს. ყაუხჩიშვილმა გამოსცა ნარკვევი „გელათის აკადემია“ (წიგნის პალატა, 1948).

ამ ნაშრომს საფუძვლად დაედო ს. ყაუხჩიშვილის მიერ 1945—1946 წლებში გელათში ჩატარებული არქეოლოგიურ-დაზვერვითი მუშაობის შედეგები. ძველ ქართულ წყაროებით ძეგლებში დაცულია რამდენიმე ცნობა, საიდანაც ირკვევა, რომ გელათში დავით აღმაშენებლის დროს შეიქმნა მძლავრი კულტურული კერა — აკადემია. მის შესახებ პირველი სერიოზული მეცნიერული ცნობა, „ხელმწიფის კარის გარიგების“ ტექსტის ანალიზის საფუძველზე, 1920 წელს ეკუთ. თაყაიშვილმა წამოიწყო. 1923 წელს კი პროფ. გ. ჩუბინაშვილმა შენიშნა, რომ „გელათის მონასტერში შენახულია აკადემიის შენობის ნაშთები“, ასეთად მან მიიჩნია მონასტრის ეზოს დასავლეთ ნაწილში მდებარე „ერთი გამოჩენილი ნანგრევი უზარმაზარი ღრძელი დარბაზისა ფანჯრის კამარებით“. მართალია, ეს მხოლოდ მინიშნება იყო, მაგრამ საკმაოდ საფუძვლიანი, რამდენადაც იგი გამოთქვა ხუროთმოძღვრების დიდმა სპეციალისტმა.

ს. ყაუხჩიშვილის მიერ 1945—46 წლებში დასახელებული შენობის გათხრა-ვაწმენდის სახით ჩატარებულმა არქეოლოგიურმა ძიებამ საესებით დაადასტურა, რომ გელათში წმ. ნიკოლოზის ტაძრის დასავლეთით მდებარე შენობის ნანგრევი აკადემიისათვის იყო აგებული და გამოყენებული. ეს შენობა ახლა საკმაოდ კარგადაა შესწავლილი, და ვინც კი გელათის აკადემიას ეხება, თითქმის ყველა სწორედ ამ შენობაზე უფრო მეტს მსჯელობს, ვიდრე თვით აკადემიის არსზე. პროფ. ს. ყაუხჩიშვილი კი უფრო ღრმად ჩაწვდა საკითხს. მან გამოარკვია, რომ აკადემია მოწყობილი იყო იმ დროის ბიზანტიური აკადემიების მსგავსად. მაშასადამე, იქ მიმდინარეობდა არა მარტო სამეცნიერო, არამედ სასწავლო მუშაობაც. მეცნიერმა იოანე პეტრიწის შრომებზე დაყრდნობით გააკეთა დასკვნა, თუ რა სასწავლო დისციპლინები უნდა ყოფილიყო ძირითადი გელათის აკადემიის მსმენელთათვის.

რამდენადაც ევროპის უნივერსიტეტებსა და ბიზანტიის აკადემიებში მაშინ ისწავლებოდა ე. წ. „შვიდი თავისუფალი ხელოვნე-

ბა“, მოსალოდნელია, მათ ასწავლიდნენ გელათშიც. ცნობილია, რომ ამ მეცნიერებათა პირველ საფეხურს შეადგენდა „ტრივიუმი“ — გრამატიკა, დიალექტიკა (ფილოსოფია), რიტორიკა, მეორე საფეხურს კი — „ქვადრივიუმი“: არითმეტიკა, გეომეტრია, მუსიკა, ასტრონომია.

ამათ გარდა, პროფ. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, გელათში საპატიო ადგილი უნდა სჭეროდა მედიცინის შესწავლასაც. მონასტრის გალავნის გარეთ მდებარე ქსენონის დანიშნულება მარტო ავადმყოფთა მკურნალობა კი არ იყო, არამედ მედიცინის საკითხებში აკადემიის მსმენელთა პრაქტიკული დახელოვნებაც. ამ საქმის საფუძვლის ჩამყრელიც იოანე პეტრიწი უნდა ყოფილიყო. მედიცინის საკითხებით მისი დაინტერესება პეტრიწონის მონასტერში მოღვაწეობის დროიდან იწყება, შემდეგში კი იგი ამ საქმის დიდი ავტორიტეტი გამხდარა. ეს მისი „განმარტების“ ბოლოსიტყვაობიდანაც თვალსათლივ ჩანს.

გელათის აკადემიამ არსებობა მეთექვსმეტე საუკუნეში შეწყვიტა. მიუხედავად ამისა, გელათი ერთხანს შემდეგაც რჩებოდა ქართული მეცნიერებისა და მწერლობის მნიშვნელოვან ცენტრად. მოგვიანებით მთავარ ტაძარს მხოლოდ რელიგიურ-საწესო, აკადემიის შენობას კი ბერების სასადილო ოთახის დანიშნულება მიენიჭა. საბჭოთა ხელისუფლებამ გელათის ხუროთმოძღვრული ანსამბლი ისტორიულ ძეგლად გამოაცხადა და მისი დაცვა-რესტავრაცია იდო თავს. იქ ყოველთვის უამრავი მნახველი, ტურისტი და ქართული კულტურის მოყვარული მიდის. მაგრამ განსაკუთრებული გამოცოცხლება ძველი გელათის ეზოში 1970 წლის 16 დეკემბერს სუფევდა. ამ დღეს მოღვაწეობა დაიწყო იოანე პეტრიწისა და შოთა რუსთაველის დროინდელი აკადემიის თავისებურმა მემკვიდრემ გელათის სახალხო აკადემიამ, რომლის მოძღვართ-მოძღვრადაც (რექტორად) თვალსაჩინო ქართველოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი სიმონ ყაუხჩიშვილი აირჩიეს. მხცოვანი მეცნიერი ახლაც დიდი კმაყოფილებით ასრულებს ამ საპატიო მოვალეობას, სათავეში უდგას სახალხო აკადემიის სამეცნიერო მუშაობას, აწყობს იქ ჩასატარებელ ლექცია-მოხსენებების ორგანიზაციას და თითქმის ყოველწლიურად აცნობს სახალხო აკადემიის მსმენელებს საკუთარი მეცნიერული კვლევის შედეგებს.


გელათის აკადემიით, როგორც უმაღლესი განათლების ცენტ-

რით, დაინტერესება ს. ყაუხჩიშვილისათვის შემთხვევითი არ ყოფილა. უმაღლესი განათლების ისტორიას ძველს საქართველოში იგი დიდი ხანია იკვლევდა[1]. მის სახელთანაა დაკავშირებული ფაზისის უმაღლესი რიტორიკული სკოლის შესახებ გამოთქმული საყურადღებო შეხედულებანი. კერძოდ, მან დაწვრილებით შეისწავლა IV საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსის და რიტორის თ ე მ ი ს ტ ი ო ს ი ს 27-ე სიტყვა, სადაც ნათქვამია, რომ ის (თემისტიოსი) და მისი მამა ევგენიოსი, ფილოსოფიასა და რიტორიკას კოლხეთში, ფაზისში დაეუფლნენ. ს. ყაუხჩიშვილი იშველიებს სხვა მონაცემებსაც და ასეთი სკოლის არსებობა შესაძლებლად მიაჩნია არა მარტო III—IV საუკუნეებში, არამედ უფრო გვიანაც. დასტურდება, რომ ამ სკოლაში მხოლოდ ბერძნები კი არ სწავლობდნენ, არამედ ქართველებიც. ს. ყაუხჩიშვილის აზრით (ეს შემდეგ გაიზიარეს სხვებმაც), ამის დასტურად გამოდგება გუბაზ მეფის მოკვლის გამო 554 წელს გამართულ თათბირზე ფარტაზისა და აიეტის მიერ წარმოთქმული სიტყვები, რომლებიც ორატორთა საუცხოო რიტორიკულ განათლებაზე მიუთითებენ. ფარტაზი და აიეტი რომ ერთეულ გამონაკლისს არ წარმოადგენენ, კარგად ჩანს გუბაზის მკვლელთა გასამართლებაზე კოლხთა წარმომადგენლების გამოსვლებიდან და მკვლელის, რუსტიკეს, სიტყვიდან.

უმაღლესი განათლების საათავეებმა საქართველოში, სიმონ ყაუხჩიშვილის აზრით, უფრო ადრეულ ხანაშიაც შეიძლება გადაინაცვლოს. სწორედ ასეთი შეხედულება გამოთქვა მან პროფ. ლ. ს ა ნ ი კ ი ძ ი ს მიერ ჟურნ. „ცისკრის“ 1972 წლის № 2-ში დაბეჭდილ სტატიაზე („ტაციტუსი ქართული უმაღლესი განათლების შესახებ“) გაზეთ „ქუთაისში“ იმავე წლის 12 აპრილს გამოქვეყნებულ თავის გამოხმაურებაში. ამ წერილში იგი მიუთითებს, რომ ლ. სანიკიძისაგან პირველად შემჩნეული ტაციტუსის მიერ მოცემული ქართველი უფლისწულის რადამისტის (I ს-ის შუა წლები) დახასიათება საქართველოში იმ დროს უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობის საუკეთესო დასტურია.

---

[1] იხ. მისი „რიტორიკული განათლების ცენტრი ძველ კოლხეთში“, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, 1940, X—B, შდრ. გეორგიკა, I, 1961, გვ. 50—58.



გელათის სახალხო აკადემიაში. 1972 წ. ივნისი.

## 5. შემოქმედებითი ჭარმაგობა

1939—1940 წლებში სიმონ ყაუხჩიშვილი მუშაობდა მოსკოვში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში ანტიკური ეპოქის ლიტერატურის განყოფილების უფროსის მეცნიერ თანამშრომლად. როგორც აღიარებულ სპეციალისტს, მას მიანდვეს მონაწილეობა მიეღო ბერძნული ლიტერატურის ისტორიის მრავალტომეულის გეგმა-პროსპექტის შედგენაში. მეცნიერმა შეადგინა ბერძნული ლიტერატურის ისტორიის სქემა-გეგმის IX და X განყოფილებები. აქ ს. ყაუხჩიშვილმა წამოაყენა მთელი რიგი დებულებებისა, რომლებიც შემდგომში აუცილებელი გახდა ბერძნული ლიტერატურის ისტორიის საბჭოთა მკვლევარებისათვის. მათ შორის, ჩვენი აზრით, მთავარია შემდეგი ორი დებულება: 1. ბიზანტიური ლიტერატურა ბერძნულის ორგანული ნაწილია, მისი გაგრძელებაა, ანტიკური და ბიზანტიური პერიოდები ბერძნული მწერლობის ორი უწყვეტი ნაკადია. 2. ბიზანტიური ლიტერატურის შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სლავების, ქართველების და სომხების როლს არა მარტო ლიტერატურის, არამედ მთელი ბიზანტიური კულტურის შექმნის საქმეში.

1940 წელს ს. ყაუხჩიშვილი კვლავ თბილისის უნივერსიტეტში დაბრუნდა.

1940 წლის 18 ნოემბერს თავის საბრძოლო პოსტზე — კათედრაზე ლექციის კითხვის დროს გარდაიცვალა დიდი ივანე ჯავახიშვილი. ეს უდიდესი დანაკლისი იყო ქართველი ხალხისათვის, მთელი საბჭოთა მეცნიერებისათვის. დიდი მასწავლებლისა და უფროსი მეგობრის დაკარგვით გამოწვეული სინანული, ივ. ჯავახიშვილისაგან ქართული კულტურისათვის გაწეული ღვაწლი შესანიშნავად ჩანს სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ დიდი მეცნიერის გარდაცვალების ერთი წლისთავზე გამართულ სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში 1941 წ. 18 ნოემბერს. ამ სიტყვის ტექსტი შემდეგ დაიბეჭდა კიდეც.

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხების დიდი სამამულო ომის პერიოდში ქართველი მეცნიერები მთელ ქართველ ხალხთან ერთად დაირაზმნენ და ფრონტსა თუ ზურგში საბრძოლოს დაცვის დიად საქმეს ეწმსახურებოდნენ. ს. ყაუხჩიშვილი ამ დროს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთაგან ჩამოყალიბებულ გამანადგურებელ ბატალიონში ჩაირიცხა, ხშირად ხვდებოდა წითელარმიელებს, უკითხავდა მათ ლექციებს პატრიოტულ თემებზე, წერდა წერილებს, მეცნიერ-სპეციალისტთა ერთი ნაწილის არმიაში გაწვევის გამო ერთდროულად მუშაობდა საქართველოს რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში, თავისი მოკრძალებული წვლილი შეჰქონდა ჩტრის განადგურების საქმეში.

დიდი სამამულო ომის დაწყების წინა წლებში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავზე, 1941 წლის 25 თებერვალს, საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ეს შესაძლებელი გახდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქართველი მეცნიერების არნახული წინსვლის შედეგად. ამ წინსვლაში, ქართული საბჭოთა მეცნიერების დაფუძნება-განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სიმონ ყაუხჩიშვილმაც.

აკადემიაში სიმონ ყაუხჩიშვილი ხანგრძლივი დროის მანძილზე (1945—1954 წწ.) ედგა სათავეში ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ფილოლოგიის სექტორს. ხოლო, როცა 1960 წელს შეიქმნა საქ. მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, გამოჩენილმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ აკად. გ ე ო რ გ ი წ ე რ ე თ ე ლ მ ა ი გი ბიზანტინოლოგიის განყოფი-

ლების ხელმძღვანელად მიიწვია. სიმონ ყაუხჩიშვილი დღემდე განაგრძობს ამ თანამდებობაზე ნაყოფიერ მუშაობას.

ს. ყაუხჩიშვილი აკადემიის საქმიანობის აქტიური მონაწილეა. იგი 1950 წლის დეკემბერში აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1970 წლის ნოემბერში კი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრთა საერთო კრებამ იგი ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) აირჩია. ღვაწლმოსილი მეცნიერი ჩვენი ეროვნული აკადემიის ერთ-ერთი ბურჯი და მშვენებაა.

თბილისის უნივერსიტეტში კლასიკური ფილოლოგიის კათედრა 1938 წელს გაუქმდა. მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ იგი ხელახლა ააღორძინა ს. ყაუხჩიშვილმა. იქ მან შემოიკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელიც ამჟამად ამ კათედრის ბირთვს შეადგენს. უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრას ს. ყაუხჩიშვილი 1954 წლამდე ხელმძღვანელობდა.

აგერ უკვე მეოთხედი საუკუნეა სიმ. ყაუხჩიშვილი ერთდროულად მუშაობს მეცნიერებათა აკადემიასა და უნივერსიტეტში. მიუხედავად ხანდაზმულობისა. იგი ბეჯითად ეწევა ამ მძიმე ჭაპანს. მისი ხელმძღვანელობით ისახება ბიზანტინოლოგიისა და საქართველოს ისტორიის შესწავლის ფართო გეგმები, მუშავდება პრობლემური მეცნიერული საკითხები, იზრდებიან ათობით ასპირანტები, იმართება სამეცნიერო კონფერენციები და სიმპოზიუმები, იბეჭდება მონოგრაფიები და გაჩაღებულია დიდი საგამომცემლო მუშაობა. მისი თაოსნობით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან ჩამოყალიბებულია საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისია, რომლის მთავარი რედაქციის წევრი და ბერძნულ-რომაული წყაროების რედაქტორი უცვლელადაა აკად. სიმონ ყაუხჩიშვილი, დაარსებიდან, 1973 წლიდან კი ამ კომისიის მთავარი რედაქტორია.

მრავალგზის აღნიშნულა ს. ყაუხჩიშვილის ნაყოფიერება. მას გამოქვეყნებული აქვს 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მათი საერთო მოცულობა 500 ნაბეჭდ თაბახს აღწევს. ს. ყაუხჩიშვილის მადლიანი კალმით დახნულ თაბახთა და ფოლიანტთა ნიადაგზე აღმოცენებულია ნაირნაირი ნაყოფით დახუნძლული ვარჯოვანი მცენარე. მოკლე ნარკვევში ყველა მათგანის რამდენადმე სრულყოფილი შეფასების გადმოცემა შეუძლებელია. ჩვენ მხოლოდ მოკლედ მიმოვიხილავთ სამ უმნიშვნელოვანეს საქმეს, განსრულებულს ს. ყა-

უხჩიშვილის მიერ. ეს საქმენი ყველაზე მკაფიოდ ახასიათებენ მას, როგორც მკვლევარსა და მეცნიერს. ასეთებად ჩვენ მიგვაჩნია ლიტერატურათმცოდნეობითი შრომები, საქართველოს ისტორიის საკითხების დამუშავებადა წყაროთმცოდნეობით-საგამომცემლო საქმიანობა.

## 6. მეცნიერული შედევრები

### „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“

ს. ყაუხჩიშვილის ლიტერატურათმცოდნეობით შრომებში ცენტრალური ადგილი უჭირავს „ბერძნული ლიტერატურის ისტორიის“ სამტომეულს. იგი ავტორის ნახევარსაუკუნოვანი ძიების, გამოწვლილვითი მეცნიერული კვლევისა და რუდუნების შედეგია. ამ ნაშრომში ს. ყაუხჩიშვილი განსაკუთრებული რელიეფურობით გამოჩნდა, როგორც დიდი მასშტაბის მეცნიერი და დიდაქტიკოს-პედაგოგი. თუ ქართული მეცნიერება აუნაზღაურებელ ვალშია ივანე ჯავახიშვილის წინაშე „ქართველი ერის ისტორიის“ შექმნისათვის, კორნელი კეკელიძის წინაშე „ძველი ქართული მწერლობის ისტორიის“ დაწერისათვის, აკაკი შანიძის წინაშე „ქართული გრამატიკის საფუძვლების“ გამოკვართვისათვის, შალვა ნუცუბიძის წინაშე „ქართული ფილოსოფიის ისტორიის“ ჩამოყალიბებისათვის, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მათს ღვაწლს მხარს ღირსეულად უმშვენებს სიმონ ყაუხჩიშვილის „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“.

არ არის გამორიცხული, ზოგიერთმა სკეპტიკოსმა ასეთ მსჯელობას სხვაგვარად შეხედოს, ამიტომ აქვე გვინდა განვმარტოთ, რომ „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“ არაა მხოლოდ სხვა ხალხის მიერ შექმნილი მწერლობის ისტორიის საუნივერსიტეტო კურსი, არამედ მასში ავტორი, ყველა შესაძლო შემთხვევაში და თითქმის ყოველ მნიშვნელოვან პრობლემას უკავშირებს ქართულ სინამდვილეს. შრომის ღირსებას დიდად ზრდის ისიც, რომ იგი აგებულია მარქსისტული თეორიისა და მეთოდოლოგიის საფუძვლებზე.

კლასიკური ფილოლოგიის კვლევამ ევროპასა და რუსეთში XIX—XX საუკუნეთა მანძილზე დიდმნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, მასში ჩაბმული იყვნენ ბოსფლიო სახელის მქონე მეცნიერები, რომლებმაც უაღრესად მწვავე პრობლემების დაყენება და გადაჭრა შეძლეს, მაგრამ მთელი მათი ნაღვაწის „აქილევსის ქუსლი“ სწორედ მეთოდოლოგიური გაუმართავობა და აქედან გამომდინარე სუბიექტური იდეალიზმის პოზიციებზე დგომა იყო.

ს. ყაუხჩიშვილმა, საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეთა შორის ერთ-ერთმა პირველმა (ბიზანტიის ლიტერატურის ისტორიის კურსისათვის ერთადერთმა), გამოიყენა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა მწყობრი შეხედულებანი ანტიკურობის შესახებ. მარქსი, ენგელსი და ლენინი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ ანტიკური სამყაროსადმი, საერთოდ, და კულტურისადმი, განსაკუთრებით. მხოლოდ მათ შეძლეს ამოეხსნათ ის მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს პრიმიტიული ეკონომიური ბაზისისა და პრიმიტიული სოციალური ურთიერთობის პირობებში ელინთა სულიერი ცხოვრების არნახული აღმავლობა. აჩვენეს, როგორ შეიქმნა ძვირფასი კულტურული ფასეულობანი, რომლებიც ათეული საუკუნეების მანძილზე ალექსანდრიის შუქურასავით ანათებდნენ და დღესაც „ჩვენ კიდევ ხელოვნებითს სიამოვნებას გვაგრძნობინებენ და განსაზღვრულის მხრით ნორმისა და მიუწვდენელი ნიმუშის მნიშვნელობას ინარჩუნებდნენ“.[1]

ძველი საბერძნეთის იდეოლოგია, კერძოდ კი წერილობა, კაცობრიობის ისტორიის ეს უნიკალური მოვლენა, ბურჟუაზიული მეცნიერებისათვის იყო და დარჩა „ბერძნულ საკვირველებად“. მარქსიზმმა დაასაბუთა, რომ „მარად უკვნობი ხელოვნება“ (ფ. ენგელსი) ანტიკურ მონათმფლობელურ საზოგადოებაში მონის შრომის, მისი ექსპლოატაციის ბაზაზე აღმოცენდა.

მარქსიზმის თეორიული და მეთოდოლოგიური ღებულებანი წითელ ხაზად გასდევს ს. ყაუხჩიშვილის „ბერძნული ლიტერატურის ისტორიის“ სამივე ტომს.

„ბერძნული ლიტერატურის ისტორიის“ საფუძველი გახდა ლექციების კურსი, რომელსაც სიმონ ყაუხჩიშვილი ხანგრძლივი დროის მანძილზე კითხულობდა თბილისის უნივერსიტეტსა და საქართვე-

[1] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1932, გვ. 36.

ლოს პედაგოგიური ინსტიტუტების ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე. სანამ იგი საბოლოო სახეს მიიღებდა, ჩამოყალიბების ასეთი გზა განვლო: 1943 წ. გამოიცა „ბერძნული ლიტერატურის ისტორიის“ I ნაკვეთი, სადაც განხილული იყო მხოლოდ ეპოსი. მომდევნო, 1944 წელს გამოქვეყნდა მეორე, უმთავრესად ლირიკის შემცველი ნაკვეთი. ისინი 1946 წელს გაერთიანდნენ ერთ, პირველ ტომად, ხოლო მესამე ნაკვეთი „ბერძნული დრამა“ იმავე წელს ცალკე წიგნად დაისტამბა. 1949 წელს ს. ყაუხჩიშვილმა გამოაქვეყნა „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“, ტ. II, ელინისტური პერიოდი, ბიზანტიური პერიოდი, 1950 წელს კი — ტომი პირველი, ელინური პერიოდი. 1953 წელს პედაგოგიური ინსტიტუტებისათვის მანვე შექმნა სახელმძღვანელო „ანტიკური ლიტერატურის ისტორიის“ სახელწოდებით. ეს წიგნი შემდეგში კიდევ ორჯერ (1961,1971) გამოიცა და, ბერძნული ლიტერატურის (ელინური და ელინისტური პერიოდების) გარდა, რომის ლიტერატურასაც (§§ 128—149) შეიცავს. რაც შეეხება „ბიზანტიის ლიტერატურის ისტორიას“ იგი ორჯერ (1963, 1973) გამოიცა ცალკე წიგნად „ბერძნული ლიტერატურის ისტორიის“ მესამე ტომის სახით.

**„ბერძნული ლიტერატურის ისტორიის“** პირველ ტომში (1950) განხილულია ელინური პერიოდის ლიტერატურა. ავტორი „შესავალში“ არკვევს რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს, აჩვენებს თავის დამოკიდებულებას კარდინალური პრობლემებისა და ეადმოსაცემი საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურისადმი. „XIX—XX საუკუნეში გამოცემული „ბერძნული ლიტერატურის ისტორიები, — წერს იგი, — წარმოადგენენ ვიწრო ფილოლოგიურ ნაშრომებს, რომლებიც დაწერილია, უპირატესად, ბიოგრაფიულ-ბიბლიოგრაფიული მეთოდით, ე. ი. ავტორები კმაყოფილდებიან ცნობების მოცემით მწერალთა ბიოგრაფიისა და მათი თხზულებების შესახებ... მაგრამ ამ „ბერძნული ლიტერატურის ისტორიებში“ ლიტერატურულ ფორმათა განვითარება არ არის განხილული საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმათა ცვალებადობასთან დაკავშირებით და ამიტომ ხშირად გაუგებარი რჩება ამა თუ იმ მხატვრული ჟანრის გაჩენა სწორედ ამ ეპოქაში და არა სხვა დროს“ (გვ. 17).

ს. ყაუხჩიშვილი განმარტავს, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ბიზანტიური ლიტერატურა სასულიერო ხასიათისაა და მისი შემქმნე-

ლი მწერლები წარმოშობით აღმოსავლეთის მკვიდრნი არიან, ეს ლიტერატურა არ შეიძლება მოკვეთილ იქნას საერთო-ბერძნული ფარვატერიდან. ჯერ ერთი, შუა საუკუნეებში მწერლობა ვერ ასცდებოდა სასულიერო ხასიათის თემების გაშუქებას, მეორეც რიომანოზის კონტაკიონები, ბიზანტიური ქრონოგრაფია და სიბრძნე ბალავარის" ბერძნული თარგმანი სასულიერო მწერლობიდან საკმაოდ დიდ გადახრას წარმოადგენდნენ, და, მესამეც — „მწერლების წარმოშობილობა იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციებიდან რომ სწყვეტდეს საკითხს, მაშინ ელინისტური პერიოდის ლიტერატურაც უნდა გამოგვეთიშა ბერძნული ლიტერატურიდან, ვინაიდან იქაც დიდი ნაწილი მწერლებისა არის ეგვიპტიდან, პალესტინიდან, სირიიდან და მცირე აზიიდან" (გვ. 18). ასე რომ, ამ საკითხის გადასაწყვეტად უნდა გამოვიყენოთ რუსი ბიზანტინისტების (ვასილევსკი, უსპენსკი, კონდაკოვი) ცნობილი თეზისი „ბიზანტია შუა საუკუნეების საბერძნეთია" (გვ. 23).

ბაგრამ ეს არ ნიშნავს რომ ავტორი არავითარ მიჯნას არ ხედავს ანტიკურობასა და ბიზანტიურ პერიოდს შორის. ასეთი მიჯნა რომ არსებობდა, ამის დასადასტურებლად მას მოჰყავს ფრ. ე ნ გ ე ლ ს ი ს ცნობილი გამოთქმა: „განსხვავება მსოფლიოს მდგომარეობაში ძველი დროის ბოლოსა, დაახლოებით 300 წელსა და, საშუალო საუკუნეებს — 1453 წელს შორის" (გვ. 20), არის ბიზანტიური პერიოდი.

საკმაოდ ვრცლად, რამდენადაც ამის საშუალებას ლიტერატურის ისტორიის საუნივერსიტეტო კურსი იძლევა, ს. ყაუხჩიშვილს განხილული აქვს ბერძენთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება ელინურ პერიოდში და ბერძნული მონათმფლობელური საზოგადოების თავისებურებანი. შემდეგში იგი გზადაგზა უბრუნდება ამ საკითხებს და გადმოსცემს იმ ცვლილებებს, რაც ელინთა ცხოვრებაში მოხდა კლასობრივი დიფერენციაციის გაღრმავებისა და მონების ექსპლოატაციის გაძლიერების შედეგად. ამასთან, ბეხედველობიდან არ ტოვებს შესაბამის ფაქტებს, რომლებმაც მხატვრულ ლიტერატურაში ჰპოვეს გამოვლინება.

რაც შეეხება ელინური პერიოდის „ბერძნული ლიტერატურის ისტორიის" ძირითად ნაწილს, ჩვენ აქ მოვიყვანთ ანტიკური ლიტერატურის ცნობილი ქართველი სპეციალისტის პროფ. აკაკი ურუშაძის შემდეგ მოსაზრებას: „ბერძნული პოეზიის საკითხების განხილვის შემდეგ ავტორი დაწვრილებით ჩერდება ბერძნული მწერლო-

ბის სამივე დარგზე: ეპოსი, ლირიკა და დრამა განხილულია კლასიკური ფილოლოგიის დღევანდელი დონის შესაბამისად (ხაზი ჩემია. გ. მ.). ჟანრების განვითარების გადმოცემის დროს ავტორი სრულიად სამართლიანად იცავს ქრონოლოგიურ პრინციპს. ბერძნული მწერლობისათვის ორიგინალური და დამახასიათებელი სწორედ ის არის, რომ იგი ქრონოლოგიური რიგით სცვლის ჟანრების დომინირებას ამა თუ იმ ხანაში"[1].

ჩვენ შეგვიძლია დავუმატოთ: ს. ყაუხჩიშვილი შემდგომ გამოცემებში იმდენად აუმჯობესებდა თავის „ბერძნული ლიტერატურის ისტორიას", რომ „კლასიკური ფილოლოგიის დღევანდელ დონეს" ე. ი. გარკვეულ სტანდარტებს მნიშვნელოვნად ასცდა. უკეთ რომ ვთქვათ, ეს დონე სწორედ ის სიმაღლეა, რომელზედაც იგი ს. ყაუხჩიშვილმა აიყვანა.

„ბერძნული ლიტერატურის ისტორია" არაა ჩვეულებრივი სახელმძღვანელო. მასში ლიტერატურის ისტორიკოსთა მიერ უკვე გამოკვლეულ საკითხებთან ერთად დასმულია და ზოგჯერ გადაწყვეტილიც პრობლემები, რომელთაც სხვაგან ვერცერთ პროგრამასა და სახელმძღვანელოში ვერ ნახავთ. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ბევრ მათგანს ავტორი არაერთხელ უბრუნდება თავის სხვა ნაშრომებში და სპეციალური შესწავლის საგნად ხდის. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

1. თანამედროვე კლასიკურ ფილოლოგიაში ერთ-ერთი თავსატეხი პრობლემაა ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხი. „მიუხედავად იმისა, რომ წინაბერძნული, ანუ ეგეოსური ტომების ეთნიკური შემადგენლობისა და ენების პრობლემას მრავალი მეცნიერი იკვლევდა და იკვლევს და ამ მიმართულებით უკვე ზღვა ლიტერატურა არსებობს, სავსე მრავალი დაშვებებითა და ჰიპოთეზებით, დღეს მაინც არ შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ რაიმე ეგეოსური ტომების წარმომავლობის შესახებ"[2].

აი საკითხის შესწავლის პიონერები პაულ კრეჩმერი, ნიკო მარი, ვ. გეორგიევი, ფ შახერმაიერი და სხვე-

[1] „მნათობი", 1949, № 11, გვ. 155.

[2] რ. გორდეზიანი, „ილიადა" და ეგოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები, თბ., 1970, გვ. 181.

ბი სხვადასხვა და ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებებს აყენებდნენ. მიუხედავად ამისა, ყველანი ერთ საერთო დასკვნამდე მიდიოდნენ: ინდოევროპელ ბერძნებს, რომლებიც ბალკანეთსა და იონიაში ბალკანეთის ჩრდილო ნაწილიდან მოვიდნენ, აქ დახვდათ მაღალი კულტურის მქონე წინაბერძნული მოსახლეობა. მკვლევართა დიდი უმრავლესობის აზრით ეს მოსახლეობა არაინდოევროპული იყო.

დღეს მცხოვრებ ხალხთაგან ძველი არაინდოევროპული მოსახლეობის ნარჩენს იბერიულ-კავკასიურ ენებზე მოლაპარაკენი წარმოადგენენ. ამიტომ გაჩნდა მიმზიდველი პერსპექტივა მცირე აზიასა და ბალკანეთში ინდოევროპელ ბერძენთა მოსვლამდე მცხოვრები ხალხების იბერიულ-კავკასიურთან დაკავშირებისა.

ასეთი პერსპექტივის დროს ზედმეტად გამოვლენილი პატრიოტიზმი ცუდი მეგზურია. მას შეუძლია მეცნიერი არასერიოზულ მდგომარეობაში ჩააგდოს. ეს კარგად ესმოდა ს. ყაუხჩიშვილსაც, როცა ამ საკითხის შესწავლას მოჰკიდა ხელი. მან და მისი სკოლის მეცნიერებმა (პ. ბერაძე, ა. ურუშაძე, ი. შენგელია, რ. გორდეზიანი) ამ საკითხის კვლევის დროს ძლიერ საყურადღებო მოსაზრებები წამოაყენეს და შეეცადნენ დაესაბუთებინათ წინაბერძნული მოსახლეობის ქართულთან ნათესაობა. ეს პრობლემა, ჯერჯერობით, რა თქმა უნდა, გადაჭრილი არ არის. მის გადაწყვეტას ხელს უშლის ეგეოსური მოსახლეობის ენების შეუსწავლელობა, რაც, თავის მხრივ, უკვე მოპოებული მასალის გაუშიფრაობასთანაა დაკავშირებული.

მაგრამ ის პელაზგურ-ქართული და ეტრუსკულ-ქართული ენობრივი პარალელები, რომლებიც ჯერ სიმონ ყაუხჩიშვილმა, შემდეგ კი მისმა მოწაფეებმა მოიპოვეს, პრობლემის გადაჭრის საქმეში უთუოდ წინგადადგმული ნაბიჯია.

კერძოდ, დიდი მნიშვნელობა აქვს ს. ყაუხჩიშვილის დებულებას, რომელიც პელაზგებისა და ქართველი ტომების საერთო კულტურის აკვნად მცირე აზიას თვლის. ეს აზრი მან წამოაყენა „ბერძნული ლიტერატურის ისტორიის“ პირველ ტომში და შემდეგ ვრცლად განავითარა „გეორგიკაში“ (1961, ტ. I).

2. წინაბერძნულ სამყაროსთან მჭიდროდაა დაკავშირებული პრომეთეს პრობლემა. ანტიკური მითოლოგიის ბევრი

სიუჟეტის წარმოშობა არაბერძნულად არის მიჩნეული. ჯერ კიდევ ჰეგელი მიუთითებდა აფროდიტეს აზიური წარმოშობის შესახებ. მას უფრო ზოგადი შეხედულებაც აქვს: „ბერძნული მითოლოგია დაფუძნებულია უფრო ძველ ტრადიციებზე, რაც მის გარედან, აღმოსავლეთიდან სესხებაზე მიუთითებს“[1].

მითი პრომეთეს შესახებ ზოგიერთ მომენტში (ღმერთის წინააღმდეგ ბრძოლა, ცეცხლის მოტაცება და მიცემა ადამიანებისათვის, კავკასიონზე მიჯაჭვა და სხვ.) ემთხვევა ქართულ „ამირანიანს“. ამან გაცვლევარებს საბაბი მისცა ეცადათ ამოეხსნათ ამ დამთხვევათა მიზეზები. ნ. მარი მიზეზს ორივე მითის ერთ, იაფეტურ სამყაროში წარმოშობაში ხედავდა. შალვა ნუცუბიძეს არ მიაჩნია საეჭვოდ, რომ ორ თქმულებაში არსებული პარალელები „პრომეთეადის“ „ამირანიანიდან“ ნასესხეობაზე მიუთითებს. მიხ. ჩიქოვანი დიდი ხანია თავგამოდებით იცავს თავის შეხედულებას ამ მითების ერთმანეთისავან დამოუკიდებლად წარმოშობის თაობაზე, მათში არსებული სიუჟეტური დამთხვევები მას გვიან ჩართულად მიაჩნია. ამირან-პრომეთეს პრობლემაზე ბევრი სხვა შეხედულებაც გამოთქმულა (ივ. ჯავახიშვილი, ე. მელეტინსკი, ვ. პროპი, დ. ლანგი). ბუნებრივია, „ბერძნული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომში მას შეებრო ს. ყაუხჩიშვილიც.

საკითხის გაშუქებისას მან მოიმარჯვა კ. მარქსის შეხედულება ბერძნულ მითოლოგიაზე, საერთოდ, და პრომეთეზე, კერძოდ. კ. მარქსი თავის სადოქტორო დისერტაციაში პრომეთეს ასეთ დახასიათებას აძლევს: „პრომეთე — ყველაზე კეთილშობილი წმინდანი და წაებულია ფილოსოფიურ კალენდარში“. ამ გმირის ქედმოუხრელობას და უშიშრობას იგი დიდად აფასებდა.

სიძონ ყაუხჩიშვილმა შენიშნა, რომ ესქილესთან პრომეთეს დაპირისპირება-ქედმოუხრელობა ზევსის მიმართ არის „დაპირისპირება კულტურულობისა და ჩამორჩენილობისა, პროგრესისა და რეგრესისა“ (ტ. I, გვ. 298), და მასში ასახულია ბრძოლა იმდროინდელი ბერძნებისა წინაბერძნულ მოსახლეობასთან. პრომეთე სწორეთ ამ ხალხის ღმერთია, ზევსი კი ახლადმოსულებისა. „ახალმოსული ბერძნული მოსახლეობა, —

[1] Гегель, Соч. т. XII, стр. 51.

წერს ს. ყაუხჩიშვილი, — ებრძოდა დიდი კულტურის მქონე ძველ მოსახლეობას, და, ამგვარად, პრომეთეს პრობლემაში იგულისხმება აგრეთვე პრობლემა წინა აზიისა და ევროპის (ძველ და ახალ) კულტურათა შეჯახებისა და ურთიერთობისა“ (იქვე).

სხვაგან („რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ“, 1964) ს. ყაუხჩიშვილი წერს, რომ „პრომეთესა და ამირანს ერთმანეთს ვერ დავაშორებთ“, რომ თქმულებანი მათს შესახებ მონათესავე ხალხების შექმნილია: ამგვარად „პრომეთიადისა“ და „ამირანიანის“ სიუჟეტური დამთხვევანი წინაბერძნული მოსახლეობის იბერიულ-კავკასიურთან სიახლოვის კიდევ ერთი დამადასტურებელი საბუთია.

3. თუ წინაბერძნულ მოსახლეობას (ძირითადად პელაზგებს) ბევრი რამ აახლოებდა ქართულ (კოლხურ) სამყაროსთან, მაშინ ეს უნდა ასახულიყო ბერძენთა პირველსავე წერილობითს ძეგლებში. ს. ყაუხჩიშვილმა ყურადღება მიაქცია ამ სავსებით სამართლიანად დასმულ კითხვას. კონკრეტულად აქ იდგა საკითხი: იცნობდა თუ არა ჰომეროსი ტროას ომის თანამედროვე (ძვ. წ. XIII ს.) ქართველურ ტომებს? „ილიადას“ ძირითად ტექსტში პირდაპირი მითითება ამის შესახებ არა გვაქვს. ს. ყაუხჩიშვილმა სპეციალური შესწავლის საგნად გაიხადა „ხომალდთა კატალოგი“, რომელიც „ილიადაში“ მოგვიანებით ჩართულად არის მიჩნეული[1]. უნივერსიტეტის შრომების 1948 წლის XXXIV ტომში მან საგანგებო წერილი მიუძღვნა კატალოგს და დაასკვნა: „კატალოგში“, რადგან იგი ბერძენის დაწერილია, შედარებით სრულია ცნობები ელინთა შესახებ, ხოლო ტროელებსა და მოკავშირეებზე თვით ავტორსაც ბევრი რამ არ ეცოდინებოდა, თანაც ნაწარმოების შექმნის დროს შეიძლება არაბერძნული ტომების სახელები დავიწყებული ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, ჩვენ კატალოგში მაინც გვაქვს ქართველ ტომთა დასახელების კვალი. ესენია ჰალიძონები, რომლებიც შორეული ალიბედან, ვერცხლის სამშობლოდან არიან მოსულნი[2].

---

[1] არსებობს არანაკლებ დასაბუთებული შეხედულებაც, რომ „კატალოგი“ „ილიადას“ ორგანული ნაწილია, ამის შესახებ იხ. რ. გორდეზიანის დასახ. ნაშრომი, გვ. 10—29.

[2] რ. გორდეზიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 226.

უეჭველია, აქ დასახელებულია მადნეულის დამუშავებით სახელგანთქმული ქართველური ტომი — ხ ა ლ ი ბ ე ბ ი. ისინი ანტიკურ წყაროებში დაცული მასალების მიხედვით, ვრცელ ტერიტორიაზე იყვნენ განფენილნი და ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან ლტოლვილ პელაზგებს ეკუთვნოდნენ. მათგან ისწავლეს დანარჩენმა ტომებმა, მათ შორის ბერძნებმაც, მჭედლობისა და ჭედვის ხელოვნება. ს. ყაუხჩიშვილს დასახელებულ ნაშრომში განვითარებული ეს მოსაზრება გამოყენებული აქვს „ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში“ (ტ. I, გვ. 44—46).

რაც შეეხება ჰომეროსის მომდევნო ხანის მწერლობას, ქართველური ტომები (კოლხები და მათი მეზობლები) ბევრი ავტორის ნაწარმოებში ჩვეულებრივი, კარგად ცნობილი პერსონაჟების სახითაა წარმოდგენილი, ხოლო ს ტ რ ა ბ ო ნ ი ს დროიდან მრავლდება ცნობები აღმოსავლეთ საქართველოს — იბერიის შესახებაც.

„ილიადას“ ანალიზისას ს. ყაუხჩიშვილს აინტერესებს ა ქ ი ლ ე ვ ს ი ს ს ა კ ი თ ხ ი ც. მისი აზრით, „აქილევსი ბერძნების მიერ დაპყრობილი არაბერძნული მოსახლეობის ერთ-ერთი მეფეა“ (გვ. 89). „კატალოგი“ მას ელინთა შორის კი არ ასახელებს, არამედ „პელაზგურ არგოსში“. იგი თესალიიდანაა, რომელიც ჰეროდოტეს პელაზგების ქვეყანად მიაჩნდა. სავარაუდოა, აქილევსის სამეფო (მირმიდონი) დაიპყრეს ბერძნებმა, დაპყრობილი ქვეყნის მეფე გამოიყენეს ტროელებთან ბრძოლაში და ამ ნიადაგზე მოგვიანებით აქილევსი ბერძენ გმირად იქცა.

ელინური ეპოსის უძველეს და უბრწყინვალეს ძეგლში „ილიადაში“ ქართველი ტომის ჰალიძონების (ხალიბების) მოხსენიება და აქილევსის თესალიური წარმომავლობა ქართულ (კოლხურ)-პელაზგური პარადიგმებია.

4. აქილევსის პელაზგურ (არაბერძნულ) სამყაროსადმი მიკუთვნებასთან დაკავშირებულია ჰომეროსის ლექსის საზომის დ ა ქ ტ ი ლ უ რ ი ჰ ე გ ზ ა მ ე ტ რ ი ს საკითხიც. ს. ყაუხჩიშვილი ემხრობა მკვლევართა იმ ჯგუფს (კ. მ ა ი ს ტ ე რ ი, ა. მ ე ი ე) რომელთაც დაქტილური ჰეგზამეტრი არ მიაჩნიათ ორიგინალურ ბერძნულ სალექსო ფორმად. უფრო მეტიც, იგი არაა ინდოევროპული წარმოშობისაც ე. ი. კვლავ ქართულთან კავშირის საკითხი წამოტივტივდა.

დაქტილური ჰეგზამეტრის ქართული საწყისების საკითხი შეისწავლა ს. ყაუხჩიშვილის მეცნიერული სკოლის წარმომადგენელმა პროფ. პ. ბერაძემ. აკად. ა. შანიძესთან ერთად მან უძველესი ქართული ლექსის სახედ ხევსურული „მთიბლური“ მიიჩნია და მისი რიტმის დაქტილურობა დაამტკიცა.

ამის გამო ს. ყაუხჩიშვილმა აღნიშნა: „ძველი ბერძნული დაქტილური ჰეგზამეტრის საწყისები შეიძლება ქართულ ლექსთწყობაში ეძიოთო“ (ტ. I, გვ. 88), მაგრამ იგი არ შეჩერდა მიღწეულზე და დაქტილური ჰეგზამეტრის საწყისები დაუკავშირა ბერძნული ეპოსის წარმოშობის საკითხს. აქ ამოსავალი პუნქტი გახდა აქილევსის თესალიური (პელაზგური) წარმოშობა.

„ილიადა“ ფაქტიურად არის პოემა, რომელიც „აქილევსის რისხვისაღმია“ მიძღვნილი. „ილიადას“ პირველი ბირთვი „აქილეადა“ ე. ი. პოემა აქილევსის თავგადასავლის შესახებ იყო. მაშასადამე, პირველი ბერძნული ეპიკური თხზულება ამუშავებს თემას არაბერძენი გმირის შესახებ. თუ ეს ასეა, ელინებს თესალიაში მოსვლის დროს უკვე დახვედრიათ ნაწარმოები, რომელიც არაბერძნული სამყაროთ — დაქტილური ჰეგზამეტრით ყოფილა დაწერილი. როცა ეს სიმღერები „ილიადასათვის“ გადამუშავდა „ბერძნებმა აქილევსი თავის საკუთარ გმირად აქციეს და კიდევაც პირველს სწორედ მას უმღერეს იმავე ლექსითა და ისეთივე სიმღერით, როგორითაც იმავე აქილევსს უმღეროდნენ მისივე თანამემამულენი“ (იქვე, გვ. 89).

5. ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ცნობებს ძვ. კოლხური სამყაროს ეგეოსურ მოსახლეობასთან დაკავშირებისათვის შეიცავს მითი არგონავტების შესახებ. ამ მითით დაინტერესება ჰომეროსიდან იწყება. მის მიერ „ოდისეიაში“ გადმოცემული ზოგიერთი პასაჟი აშკარად მიუთითებს, რომ თქმულება კოლხეთზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა ელინთა შორის. ისიც საინტერესოა, რომ მითის მთავარი მოქმედი პირები თესალიელები (პელაზგები?) და კოლხები არიან. ეს არ შეიძლება იყოს შემთხვევითი. ს. ყაუხჩიშვილს არგონავტიკა რამდენჯერმე აქვს განხილული. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს მისი მსჯელობანი ევრიპიდეს (480—406) „მედეასთან“ დაკავშირებით.

მისი აზრით, ევრიპიდემ დიდი მხატვრული სიძლიერით გვიჩვენა „შვილების ნაზად მოყვარული და მოღალატე ქმრის უსაზღვროდ

მოძულე მედეას შეუდრეკელი პიროვნება“ (გვ. 342). იგი უფრო სწორად მოიქცეოდა, იაზონი რომ მოეკლა და არა შვილები, მაგრამ ევრიპიდეს მედეა ისეთ სიტუაციაში ჰყავს ჩაყენებული, რომ მას ურჩევნია, სწორედ საცოლის მოწამვლით და შვილების მოკვლით გაამწაროს იაზონი, მოუსპოს მას არა მარტო კარიერა, არამედ საერთოდ უაზრო გახადოს მისი სიცოცხლეც.

„ბერძნული ლიტერატურის ისტორიის“ პირველი ტომის გამოსვლის შემდეგ მედეას შესახებ ახალი მხატვრული თხზულებებიც შეიქმნა და მეცნიერული ნარკვევებიც გამოქვეყნდა. (ყველაზე საყურადღებო სიტყვა, ამ მხრივ, ს. ყაუხჩიშვილის მოწაფემ ლ. სანიკიძემ თქვა. მან ძველბერძნული წყაროების შესწავლის საფუძველზე „მნათობში“ (1960 წ. №9) გამოაქვეყნა ნარკვევი, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედო მისსავე ტრაგედია „მედეას“). მათ მკაფიოდ დაადასტურეს ს. ყაუხჩიშვილის მიერ ჯერ კიდევ 1950 წ. ნათქვამი: „მითში არც შვილების მოკვლა იყო (ეს ევრიპიდეს მიერ შემოტანილი სიახლეა)“ (ტ. I, გვ. 342).

მედეა მითშიც და ევრიპიდესთანაც დამარცხებული დარჩა. მისი მარცხის მიზეზი არც ხასიათის სისუსტეა და არც მტერთან ბრძოლის დროს უუნარობა, ან არასწორი მოქმედება. დამარცხდა „იმიტომ, რომ იგი მოწყვეტილი იყო მშობლიურ მიწას“ (გვ. 345).

ს. ყაუხჩიშვილს „ბერძნული ლიტერატურის ისტორიის“ პირველ ტომში შეუმჩნეველი არ რჩება თითქმის უმნიშვნელო დეტალებიც კი, რომლებითაც ბერძნული სამყაროს ქართულთან კავშირი შეიძლება იქნეს გამოვლენილი. მაგალითისათვის გამოდგება ქართული სიტყვის „თხიერის“ დასახელება დიონისეს კულტთან დაკავშირებით (გვ. 298), ისოკრატეს გამონათქვამის („აღზრდის ძირი მწარეა, ნაყოფი კი ტკბილი“) შედარება დ. გურამიშვილის ლექსთან და ა. შ.

„აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ავტორი ანგარიშს უწევს ქართველ მკითხველს და საკმაოდ ვრცლად გადმოსცემს შინაარსებს. ეს წიგნის, როგორც სახელმძღვანელოს, დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს. მეტადრე მაშინ, როცა ჩვენ ასე ღარიბნი ვართ ანტიკური მწერლობის ნიმუშთა თარგმანებით“ (აკ. ურუშაძე).

„ბერძნული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომი 1949 წ. გამოვიდა. მასში შევიდა ბერძნული პროზა (ავტორმა იგი

შემდგომ I ტომში გადაიტანა), ელინისტური პერიოდის ბერძნული ლიტერატურა და ბიზანტიური ლიტერატურა. როგორც უკვე ვთქვით, ეს უკანასკნელი შემდეგ ორჯერ გამოვიდა ცალკე წიგნად. ამიტომ ჩვენი მოკლე განხილვის საგანი ამჯერად ელინისტური პერიოდის ბერძნული ლიტერატურა იქნება.

ელინისტური პერიოდი (323—30 წწ.) ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებს მოჰყვა შედეგად. იგი ნიშნავდა ბერძნული კულტურის გავრცელებას აღმოსავლეთის ქვეყნებში. მაგრამ რამდენადაც ადგილობრივმა, აღმოსავლურმა ცივილიზაციამაც თავის მხრივ, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ელინურ კულტურაზე, ელინისტური კულტურა ფაქტიურად აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა ნაერთი იყო.

ელინისტური ეპოქის ბერძენი მწერლები თავიანთ ამოსავალ პუნქტად ყოველთვის ელინური ხანის მხატვრული შემოქმედების შედევრებს თვლიდნენ. მართალია, ისინი, როგორც მხატვრები, კლასიკური ეპოქის გიგანტებს ვერ შეედრებოდნენ, მაგრამ ყოველ ახალ პერიოდში, პოლიტიკურ-ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების შეცვლილი პირობების შესაბამისად, ახალ თემებზე წერის დროს მწერლობის „ზოგიერთი დარგი იმდენად იცვლიდა თავის სახეს, რომ დღეს მკვლევარებმა არც კი იციან, თუ რომელ დარგს მიაკუთვნონ რომელიმე ნაწარმოები — ლირიკას თუ დრამას ან რომელიმე სხვა ჟანრს“ (ტ. II, გვ. 95).

ს. ყაუხჩიშვილმა ელინისტური პერიოდის პოეზიის განხილვისას სავსებით სწორი გეგმა აირჩია, როცა თანმიმდევრულად გადმოსცა ეპოსის, ლირიკისა და დრამის დარგები. ეს ელინური ტრადიციის გაგრძელებას ნიშნავდა.

ასევე ერთგული რჩება იგი თავისი შეხედულებისა: შესაძლო შემთხვევაში აჩვენოს ელინისტური მწერლობის კავშირი ქართულ თემასთან. აღსანიშნავია ისიც, რომ ელინისტი მწერლების ცნობები უკვე თავისუფალია იმ მითოლოგიური ბურუსისაგან, რომლითაც ელინური სამყარო იყო მოცული. უკვე ამ მწერლობის პირველი დიდი წარმომადგენელი აპოლონიოს როდოსელი (295—215) მომხრე იყო მეცნიერებასთან პოეზიის მჭიდრო კავშირისა.

ს. ყაუხჩიშვილი, როგორც ლიტერატურის ჭეშმარიტი ისტორიკოსი ელინისტური მწერლობის ყველა ნაწარმოებს უპირველეს

ყოვლისა იხილავს მისი მხატვრული ღირსებების თვალსაზრისით, აჩვენებს მათს ადგილს ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში და მათს ღირსებას ხედავს იმაში, რამდენად ეხმაურება ესა თუ ის ავტორი თანამედროვე ცხოვრებას, რამდენად შეეფერება მათი ნაწარმოებები ელინისტური საზოგადოების მხატვრულ გემოვნებას. თეზისი: რა მოგვცა ელინისტურმა ლიტერატურამ ახალი ელინურთან შედარებით, მისი მუდმივი ყურადღების საგანია. ყველა ამ დებულების დასამტკიცებელი მაგალითების მოყვანა ძლიერ შორს წავიყვანდა.

ელინისტურ ლიტერატურაში ქართულ სამყაროსთან კავშირის ძიებას შეეძლო ავტორი ცალმხრივობამდე მიეყვანა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ს. ყაუხჩიშვილს თანაბრად აინტერესებს აპოლონიოს როდოსელის არგონავტიკაც (რომელიც თითქმის მთლიანად „ქართულ თემაზეა“ შექმნილი) და კალიმაქე კვირინელის „მიზეზნიც“, რომლის ჩვენამდე მოღწეულ ნაწილში „ქართული თემა“ ძლიერ სუსტადაა წარმოდგენილი.

ელინისტური პროზიდან განხილულია: საფილოსოფიო, საისტორიო, რიტორიკული, ბელეტრისტული, სამეცნიერო პროზის თითქმის ყველა ასე თუ ისე მნიშვნელოვანი წარმომადგენელი. მათგან ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა ს ტ რ ა ბ ო ნ ი (64 ძვ. წ. — 23 წ. ახ.).

ამ პარაგრაფში ს. ყაუხჩიშვილი მიუთითებს, რომ სტრაბონზე არსებული ლიტერატურის სიუხვის მიუხედავად, მისი ნაშრომის XI წიგნის (რომელშიც აღწერილია კავკასია) შესახებ „ევროპულ ენებზე, მხოლოდ ერთი, საკმაოდ მცირე გამოკვლევა“ არსებობს (ტ. II, გვ. 196), სხვები ევროპული ქვეყნების გეოგრაფიული თუ ისტორიული ცნობების ინტერპრეტაციისადმია მიძღვნილი. ქართველ მეცნიერთაგან სტრაბონის „გეოგრაფიას“ უხვად იყენებდნენ ივ. ჯავახიშვილი და ს. ჯანაშია.

ამჟამად ეს ნაკლი ნაწილობრივ შევსებულია. 1957 წელს თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ მ ა ვრცელი კომენტარებით, ბერძნულ-ქართული პარალელური ტექსტით გამოსცა „სტრაბონის გეოგრაფია“. სტრაბონს ქართველ მკვლევართა ახალი და ახალი თაობები მიმართავენ და იყენებენ საქართველოს ისტორიის ძველი პერიოდის შესწავლისათვის.

ელინისტური პერიოდის ბერძნულ ლიტერატურას ისევე როგორც „ბერძნული ლიტერატურის ისტორიის“ სხვა ნაწილებს, თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მწერლის შემოქმედების განხილვის ან ყოველი თავის დასასრულს, ს. ყაუხჩიშვილი ურთავს საუცხოოდ შედგენილ დასკვნებს. ესეც დიდად ზრდის სახელმძღვანელო წიგნების ღირსებებს.

„ბერძნული ლიტერატურის ისტორიის“ თავისებურ გვირგვინს წარმოადგენს **„ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია“** — ბერძნული ლიტერატურის ისტორიის მესამე ტომი. იგი ამ თემაზე საბჭოთა პეროდში შექმნილი ერთადერთი კურსია. ამიტომ ბევრჯერ იყო წამოყენებული წინადადება მისი რუსულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის შესახებ. ეს, თავისთავად, ს. ყაუხჩიშვილის ბიზანტინისტიკაში უდიდეს სპეციალისტად აღიარებას ნიშნავს.

ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია რომ ჯერჯერობით რუსულ ენაზე არაა შექმნილი, ამის მიზეზი თვით ბიზანტიის ისტორიის დაუმუშავებლობა იყო. ბიზანტიის სამოქალაქო ისტორიის დამუშავებამ საბჭოთა ისტორიკოსების ათეულობით წლების შრომა შეიწირა. სოციალ-პოლიტიკური ისტორიის საკითხებზე ს. ყაუხჩიშვილსაც მოუხდა მუშაობა. ამის შედეგადაა შექმნილი 1948 წელს გამოცემული „ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან“. მათში წამოყენებულმა ბევრმა დებულებამ განვითარება ჰპოვა „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის“ ახალ გამოცემებში.

სიმონ ყაუხჩიშვილისეული „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის“ ყოველი ახალი გამოცემა, წინანდელთან შედარებით, მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული, გამდიდრებული მასალებით და დახვეწილია, ავტორის ახალ-ახალი გამოკვლევები შესაფერისად ექსოვება მისეულ კურსს.

„ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის“ პირველი გამოცემა 1949 წელს განეკუთვნება, ხოლო უკანასკნელი (მესამე)—1973 წელს. ამ დროის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა ბიზანტიის ისტორიისა და ლიტერატურის კვლევის დარგში. ბიზანტიურ პირველწყაროებზე დაყრდნობით მრავალი საკითხი ახლებურად დაისვა და გაშუქდა. გამოვლინდა ახალი მასალები და საფუძვლიანად იქნა შესწავლილი ბიზანტიურ სამყაროში აღმოსავლეთის ხალხთა და სლავების როლის საკითხი.

დასავლეთევროპელმა ბურჟუაზიულმა მეცნიერებმა კ. კრუმბახერმა, კ. დიტერიხმა, ბ. კნოსმა სხვადასხვა დროს გამოაქვეყნეს ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის შემცველი მეტნაკლებად ვრცელი კურსები, მაგრამ ყველა მათგანის საერთო სენია ბურჟუაზიული მეთოდოლოგიის საფუძველზე დგომა და მხატვრულ ფორმათა განვითარების უგულვებელყოფა. „ამგვარად, — წერს ს. ყაუხჩიშვილი, — ჩვენ ჩოგვიხდა დამოუკიდებლად „ბიზანტიის ლიტერატურის ისტორიის“ შედგენა“ (III, გვ. VI).

1964 წელს გაზეთებმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ (14 თებერვალი) და „კომუნისტმა“ (28 ოქტომბერი) ამ სახელმძღვანელოს 1963 წლის გამოცემის გამო სპეციალისტთა აღფრთოვანებული რეცენზიები გამოაქვეყნეს. „კომუნისტმა“ დაბეჭდა რეცენზია სათაურით „დიდი შრომა“.

ს. ყაუხჩიშვილის „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის“ უპირველესი ღირსება მისი მეთოდოლოგიური გამართულობაა. ბიზანტიური პერიოდის განსაზღვრისათვის გამოყენებულია ფრ. ენგელსის მითითება, რომ კონსტანტინოპოლის აღმავლობასა და რომის დაცემასთან ერთად გაუთიშავად არის დაკავშირებული საშუალო საუკუნეების დასასრული. ასევე რიგი კარდინალური საკითხების გაშუქებისას გამოყენებულია **მარქსის, ენგელსის და ლენინის** გამონათქვამები.

რუს და ქართველ ბიზანტინისტთა (უპ. ყოვლისა საკუთარი) გამოკვლევებზე დაყრდნობით სახელმძღვანელოს ავტორი ბიზანტიური მწერლობის ფაქტების საინტერესო და ორიგინალურ გადმოცემას იძლევა. თანაც თანმიმდევრულად იცავს ადრე (1939 წ.) თავის მიერვე დასაბუთებულ დებულებას, რომ ბიზანტიური ლიტერატურა არაა ელინური მწერლობის უბრალო მიბაძვა, მისი ჩრდილი, ესაა ბიზანტინიზმის პირობებში განვითარებული ორიგინალური მწერლობა, რომელიც ოთხ საწყისს ეყრდნობა: ელინურობას, რომაულობას, აღმოსავლურობას და ქრისტიანობას.

ს. ყაუხჩიშვილის „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში“ განხილულია არა თეოლოგიური ლიტერატურა, არამედ ლიტერატურულ ფორმათა განვითარების ისტორია. მთელს ბიზანტიურ მწერლობას იგი ოთხ პერიოდად ყოფს: პირველი — IV—VI საუკუნეთა ლიტერატურა, რომელსაც ახასიათებს სინკრეტიზმი,


უ. ი. ანტიკურობისა და ქრისტიანობის შერწყმა. მეორე — VII—X საუკუნეთა მწერლობა, როცა ანტიკური ნორმების მსხვრევა დამთავრებულია, საბოლოოდ მტკიცდება ბიზანტიური ჟანრები. მესამე — „XI — XII საუკუნეთა პერიოდს ჩვენ ვუწოდებთ ფილოსოფიური და ლიტერატურული რენესანსის ხანას" (III, გვ. 37). მეოთხე — იმპერიის დაშლის პერიოდის. XII—XIV საუკუნეთა ლიტერატურა.

სახელმძღვანელოსათვის ს. ყაუხჩიშვილმა სპეციალურად დაწერა მეორე თავი — ბიზანტიური მწერლობის შესწავლის ისტორია. აქ ნაჩვენებია რუს ბიზანტინისტთა ვ. ვასილევსკის, თ. უსპენსკის, ნ. კონდაკოვის, პ. ვასილიევის, ა. ბეზობრაზოვის დამსახურება ბიზანტინიზმის შესწავლის საქმეში. აქვეა მოთხრობილი ქართველ ბიზანტინოლოგთა, კერძოდ, გრიგოლ წერეთლის მოღვაწეობის შესახებ. ს. ყაუხჩიშვილს დასახელებულ მეცნიერთა დიდ ღვაწლად მიაჩნია აღმოსავლური ელემენტის და სლავი ხალხების როლის წარმოჩენა ბიზანტიის ისტორიაში. ეს დებულებები გაისიარეს მსოფლიო ბიზანტინისტიკაში, სადაც თავიანთი ფუნდამენტალური გამოკვლევებით რუსმა ბიზანტინისტებმა ჰეგემონური მდგომარეობა მოიპოვეს (III, გვ. 28).

ბიზანტიურ მწერლობაში საქართველოს შესახებ დაცული ცნობები ს. ყაუხჩიშვილმა 8 ტომად გამოსცა „გეორგიკას" სახელწოდებით. მათზე ჩვენ ქვემოთ საგანგებო მსჯელობა მოგვიწევს, ამიტომ აქ შევეხებით „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში" ავტორის მიერ გადმოცემულ მხოლოდ ზოგიერთ საკითხს.

1. მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ს. ყაუხჩიშვილს ფსევდო-დიონისე არეოპაგელის პრობლემის ამოხსნაში. ჯერ კიდევ 1939 წ. მან მიაწოდა შ. ნუცუბიძეს რამდენიმე ლიტერატურული ცნობა და გააცნო ჟურნალ „ბიზანტინიშე ცაიტშრიფტში" მოთავსებული გერმანელი მეცნიერის კოხის მოსაზრება, რომ არეოპაგიტული წიგნების ავტორი საძებარია პეტრე იბერის წრეში.

შ. ნუცუბიძემ „დიდი მუშაობა ჩაატარა და, მისთვის ჩვეული გენიალური მიხვედრებით კარგი შედეგებიც მიიღო" (III, გვ. 102). მან დაამტკიცა, რომ შრომები, რომლებშიც განხილულია ის საკრის-



ერნსტ ჰონიგმანი (1892—1954).

ტიანო დოგმატიკა ქალდეკონის კრებამდე რომ შექმნა ქრისტიანულმა ეკლესიამ. ეკუთვნის პეტრე იბერიელს. ღირსი არეოპაგელის სახელს ამოფარებული პეტრე იბერიელის ქარაგმა შემდეგში (1952) ამოხსნა ბელგიელმა აკადემიკოსმა ერნსტ ჰონიგმანმაც.

ნეცებიძე-ჰონიგმანის თეორიას რამდენიმე გამამაგრებელი საბუთი დაუმატა სიმ. ყაუხჩიშვილმა. ისინი მას დაწვრილებით აქვს განხილული ოცდამერვე პარაგრაფში. შემდეგ კი მას მოჰყავს ერთი ლემა, რომლისთვისაც აქამდე არცერთ მკვლევარს არ მიუქცევია ყურადღება. ეს არის მარგინალური შენიშვნა ერთი სირიული ხელნაწერისა. შენიშვნაში გადმოცემულია აპამეის (მაიუმის) ეპისკოპოსის პეტრე იბერის (ფსევდო-დიონისე არეოპაგელის) ვინაობა-წარმომავლობა. საგულისხმოა, რომ ეს შენიშვნა გაკეთებულია არეოპაგიტულ თხზულებათა სირიულ ხელნაწერში. მაშასადამე. „სირიული

ხელნაწერის გადამწერმა იცის, რომ ამ წიგნთან კავშირი აქვს პეტრე იბერს“ (III, გვ. 116).

ს. ყაუხჩიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტსაც, რომ არეოპაგიტული წიგნები საქართველოში ადრევე გახდნენ ცნობილი. ჩვენამდე მოღწეულია ქართული თარგმანის ოთხი ხელნაწერი პეტრე იბერიელის ხუთივე ძირითადი შრომისა და მათი სქოლასტებისა, შესრულებული ეფრემ მცირეს მიერ. ისინი ამჟამად გამოცემულიცაა „პეტრე იბერის შრომების“ სახელწოდებით.

2. ცნობილია ბერძნული რომანის „ვარლაამისა და იოსაფატის“ მნიშვნელობა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში. ეს თხზულება წარმოადგენდა ერთ-ერთ საყვარელ საკითხავ წიგნს და ვრცელდებოდა ბერძნული და ბერძნულიდან შესრულებული ლათინური თარგმანის სახით ფეოდალური ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში. არსებობს ამ რომანის რუსული, გერმანული, ფრანგული, პროვანსული თარგმანები და გადამუშავებანი. შედგენილი იყო მისი იტალიური რედაქცია. გერმანული თარგმანიდან წარმოიქმნა სკანდინავური ხალხური თქმულება და ისლანდიური საგა. მისი ლათინური რედაქციიდან შესრულდა ესპანური თარგმანი და მოგვიანებით გაჩნდა ჩეხური და პოლონური თარგმანებიც, ე. ი. იგი გავრცელებული იყო ევროპის ყველა ძირითად ენაზე.

აღმოსავლეთში კი იცნობდნენ ამ რომანის არაბულ, ქართულ, სირიულ და სომხურ რედაქციებს.

„ვარლაამისა და იოსაფატის“ ქართულ რედაქციას „სიბრძნე ბალავარისა“ ანუ „ბალავარიანი“ წარმოადგენს. მასში იშვიათი სიმძაფრით არის გადმოცემული ბრძოლა წარმართობასა და ქრისტიანობას შორის. მართალია, იგი ქრისტიანობის აპოლოგიაა, მაგრამ წარმოშობით სიუჟეტი ქრისტიანული არაა. „სიბრძნე ბალავარისა“ აგებულია ბუდას შესახებ ინდური თქმულების საფუძველზე.

ამ ბუდისტურ-ქრისტიანული რომანის ბერძნული რედაქცია XI საუკუნეზე ადრე არ არსებობდა. ჩვენამდე მოღწეულია „ვარლაამისა და იოსაფატის“ მრავალი ბერძნული ხელნაწერი. ორ მათგანს აქვს შენიშვნა, რომ „ეს სულის სასარგებლო ისტორია“ ქართულიდან ბერძნულად გადაუთარგმნია ექვთიმე იბერიელს. ამასვე ადასტურებს რამდენიმე ქართული ცნობა და გიორგი მთაწმინდელის მიერ

დაწერილი ექვთიმეს ბიოგრაფია, სადაც გარკვევით წერია, რომ მან „ბალაჰვარი“ და „აბუკრაჲ“ და სხუანიცა რამოდენიმე წერილნი ქართულისაგან თარგმნა ბერძნულად“.

XIX ს-ში გერმანელმა მეცნიერებმა ზოტენბერგმა და კრუმბახერმა ეჭვი შეიტანეს ამ ცნობის სისწორეში. მათი აზრით ქართველებს მეათე საუკუნეში ისე განვითარებული ენა და მწერლობა არ ჰქონდათ, რომ ასეთი ღრმა შინაარსის და საუცხოო მხატვრული ფორმის თხზულება შეექმნათ. თანაც ქართველ ექვთიმეს არ შეიძლებოდა სცოდნოდა ბერძნული ენა ისე კარგად, რომ ბერძნულად შესანიშნავად ეწერა და თავისი თხზულება ისეთი გრამატიკული შენიშვნებით შეემკო, როგორითაც „ვარლაამისა და იოსაფატის“ ბერძნული რედაქციაა შემკული.

ამ მოსაზრებათა წინააღმდეგ მაშინვე გაილაშქრეს რუსმა მეცნიერმა როზენმა და ცოტა მოგვიანებით ბელგიელმა პეეტერსმა. მათ მხარს უჭერდა ფრანგი ჟ. გარითიც.

თუ XIX საუკუნეში ქართული მწერლობა და ისტორია შეუსწავლელი იყო (ეს გარემოება კი ზოტენბერგსა და კრუმბახერს ზემოთ მოყვანილი მსჯელობის მსგავსთა გამოთქმის უფლებას აძლევდა), ივ. ჯავახიშვილისა და კ. კეკელიძის მიერ გაწეული მუშაობის შემდეგ ქართველი ხალხის კულტურის დამამცირებელი შეხედულებების გამეორება დიდი მკრეხელობად უნდა ჩაითვალოს. მიუხედავად ამისა, მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორმა ფრანც დელგერმა 1953 წელს ექვთიმეს ავტორობა „საზღაპრო ქართულ პროპაგანდად“ გამოაცხადა და გაიმეორა ზოტენბერგის „ძველი საბუთები“.

ამან მსოფლიო მეცნიერებაში დიდად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. კამათში ჩაებნენ გერმანელი ბიდერმანი, ბელგიელი ჰალკენი, ინგლისელი ლანგი, ამერიკელი ვოლფი, ბერძენი ლაუდარსი, იტალიელი მუზურილიო და იქვე მოღვაწე ქართველი მიხ. თარხნიშვილი.

საქართველოდან კი ფრ. დელგერს გამანადგურებელი პასუხები გასცეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა.

ქართული მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე დელგერის დებულება, რომ ქართველებს X საუკუნეში ენისა და

მწერლობის განუვითარებლობის გამო არ შეეძლოთ დაეწერათ „თხზულება, რომელიც თავისი წარმტაცი შინაარსით და დახვეწილი მხატვრული ფორმებით აღემატება ყველაფერს, რაც კი შეუქმნია იმდროინდელ ლიტერატურას“, დღეს მხოლოდ ღიმილს შეიძლება იწვევდეს. მაგრამ დელგერს აქვს სხვა უფრო სერიოზული საბუთები. ერთი ასეთი საბუთია ის ფაქტი, რომ ბერძნული რედაქცია „ბალავარიანისა“ დიდად აღემატება ქართულს. ამიტომ დასამტკიცებელი იყო მათი ტექსტუალური ნათესაობა. ეს სამუშაო შეასრულა ს. ყაუხჩიშვილმა. მან 1956 წ. „მნათობში“ (№8) გამოაქვეყნა წერილი „ახალი ვარიანტი ქართული რომანისა „სიბრძნე ბალავარისი“, სადაც ამტკიცებდა, რომ „ლიტერატურულმა ტრადიციამ იცის მხოლოდ მოკლე ნაწარმოების გაზრდა ვრცელ ვარიანტად და არა პირიქით“ (გვ. 178). „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში“ კი გადმოცემულია ვრცელი ტექსტუალური შედარება, „რომლებშიც ეჭვმიუტანლად მოჩანს ქართული და ბერძნული ტექსტების ურთიერთნათესაობა“ (III, გვ. 216).

ფრ. დელგერის მეორე საბუთი ასეთია: „ვარლაამი და იოსაფატი“ ბერძნულ ენაზე არსებობდა უფრო ადრე, ვიდრე ექვთიმე მთაწმინდელი დაიწყებდა ლიტერატურულ მოღვაწეობას. კ. კეკელიძემ გამოარკვია, რომ ექვთიმემ მოღვაწეობა დაიწყო 975—76 წწ. ს. ყაუხჩიშვილმა ბერძნული ხელნაწერების ლემების ანალიზის გზით დაამტკიცა, რომ „ბალავარიანის“ ბერძნული ხელნაწერები XI საუკუნეზე ადრინდელი არა ჩანს“ (III, გვ. 227); მაშასადამე, ისინი მნიშვნელოვნად გვიანი ხანისაა, ვიდრე ექვთიმეს ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისი.

ფრ. დელგერი ამტკიცებდა: ხელნაწერთა ლემების მიხედვით „ვარლაამისა და იოსაფატის“ ავტორი იოანე დამასკელიაო. ს. ყაუხჩიშვილმა დასახელებული ლემების განხილვით აჩვენა, რომ მათი ერთი ნაწილი იოანე დამასკელს ნაწარმოების ინდოეთიდან იერუსალიმში ჩამომტანად ასახელებს, ხოლო მოგვიანო პერიოდის ლემებში „იოანე დამასკელის სახელი ხელოვნურად არის გაჩენილი“ (III, გვ. 228). ერთი ხელნაწერის ლემა პირდაპირ და სამისაც (ისინი ნაკლულოვანია) ნაწილობრივ მთარგმნელად ექვთიმე იბერიელს ასახელებს.

ს. ყაუხჩიშვილის დამსახურებას „ბალავარიანის“ ბერძნული

ვარიანტის შესწავლის საქმეში ამას წინათ მაღალი შეფასება მისცა ჟურნალმა „Византійскій временникъ“-მა. ამ ჟურნალის 36-ე ტომში (1974) გამოქვეყნებულია ლენინგრადის უნივერსიტეტში 1972 წლის 1 და 2 ივნისს ჩატარებული რუსული ბიზანტინოლოგიური სკოლის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო-სამეცნიერო სესიის ანგარიში, სადაც ვკითხულობთ:

„სესიის მონაწილეთა დიდი დაინტერესება გამოიწვია ს. ყაუხჩიშვილის მოხსენებამ ბიზანტინოლოგიის ერთ-ერთ „მარადიულ“, კლასიკურ სიუჟეტზე — „ვარლაამისა და იოსაფატის“ ბერძნული რომანის წარმოშობის შესახებ. პეტროგრადის უნივერსიტეტის აღზრდილმა, გამოჩენილ ბიზანტინისტთა და კავკასიისმცოდნეთა მოწაფემ, საქართველოში ბიზანტინოლოგიის ერთ-ერთმა დამაარსებელმა ს. გ. ყაუხჩიშვილმა თავის მოხსენებაში განიხილა ბერძნული რომანის „ვარლაამისა და იოსაფატის“ ავტორის საკითხზე თანამედროვე ისტორიოგრაფიაში არსებული თვალსაზრისები და ბერძნულ, ქართულ და ლათინურ წყაროთა ჩვენებებზე დაყრდნობით ამ რომანის ექვთიმე იღერზე მიკუთვნების დასკვნამდე მივიდა. წყაროთა დახვეწილ ანალიზზე აგებული ს. გ. ყაუხჩიშვილის მოხსენება ახალი წინგადადგმული ნაბიჯია შუასაუკუნეების ლიტერატურის ამ უთვალსაჩინოესი ნაწარმოების შესწავლის საქმეში“ (გვ. 214—215).

საგულისხმო დებულებები აქვს წამოყენებული სიმონ ყაუხჩიშვილს ქართული „ბალავარიანის“ დათარიღებისათვის. ბალავარიანის ლექსიკის მიხედვით კ. კეკელიძე ამ ძეგლს IX—X საუკუნეებს აკუთვნებდა[1]. ს. ყაუხჩიშვილმა ამის გამო შენიშნა: ძველი ქართული ენის ლექსიკა ისე კარგად არაა შესწავლილი, რომ შესაძლებელი იყოს ამათუიმ სიტყვის ხმარებით საუკუნის ზუსტად განსაზღვრა.

შ. ნუცუბიძე წერდა: „სიბრძნე ბალავარისა“... ჩაიწერა საქართველოში VII საუკუნის პირველ ნახევარში, საბა-წმინდაში, ქართველი მწიგნობარის იოანე მოსხის (მესხის) მიერ“[2].

ს. ყაუხჩიშვილმა განიხილა VII—X საუკუნეთა სასულიერო რომანი „ქრისანთესა და დარიას ცხოვრება“ და მასში აღმოაჩინა სიუჟეტური მსგავსებანი „ბალავარიანთან“. ეს კი „იმას უნდა მოწ-

[1] ლიტერატურული ძიებანი, 1958, XI, გვ. 145—172.

[2] შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, 1956, გვ. 238.



იყალთოს სახალხო აკადემიაში.

მობდეს, რომ „ბალავარიანის“ სიუჟეტი ცნობილი იყო უკვე VII—X საუკუნეებში, და მაშასადამე, თვით „სიბრძნე ბალავარისა“ ამ საუკუნეებში უნდა იყოს დაწერილი“ (III, გვ. 236).

3. „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის“ ახალი გამოცემის ერთ-ერთ საუკეთესო შენამატს წარმოადგენს პარაგრაფი — „ბიზანტიური ნოველები და იოანე მოსხი“. უკანასკნელ დრომდე იოანე მოსხი მნიშვნელოვან შემოქმედად არ მიაჩნდათ. როცა შალვა ნუცუბიძემ იოანე მოსხი ქართული „ბალავარიანის“ ავტორად გამო-

აცხადა, მეცნიერული ინტერესი მისი სხვა ნაწარმოებებისადმიც გაიზარდა.

სიმ. ყაუხჩიშვილმა 1958 წელს "ცისკარში" (№1) დაბეჭდა გამოკვლევა იოანე მოსხის შესახებ და მისი რამდენიმე ნოველა.

იოანე მოსხი (550—634) ბიზანტიაში მოღვაწეობდა. მის სახელთანაა დაკავშირებული ნოველების ჟანრის შექმნა. მისი ნოველების კრებულს ბერძნულად ჰქვია „ლიმონარი" (მდელო), მასში წარმოდგენილია 200-ზე მეტი ნოველა. მსგავსი კრებული „სამოთხის" სახელწოდებით ქართულადაც არსებობს და იგი 100-ზე მეტ ნოველას შეიცავს.

ბუნებრივია ისმება კითხვა: ვინ იყო ეროვნებით იოანე მოსხი? მისი ქართული ნოველები ბერძნულის თარგმანია თუ ორიგინალური ნაწარმოებები? ს. ყაუხჩიშვილიც ცდილობს ამ საკითხებზე პასუხების გაცემას.

იოანეს ქართველობას მისი ზედსახელი „მოსხი" უნდა მიუთითებდეს. იმ ეპოქაში, როცა იოანე მოღვაწეობდა, ადამიანის გვარს არ უთითებდნენ. თუ ორ კაცს ერთი და იგივე სახელი ერქვა, მათ ურთიერთისაგან წარმოშობის ადგილით განასხვავებდნენ. მაშასადამე. შენიშნავს ს. ყაუხჩიშვილი, გამოდის, რომ იოანე მოსხი წარმოშობით მესხი (ქართველი) იყო. მაგრამ სიტყვას „მოსხოს" ბერძნულში სხვა მნიშვნელობებიც აქვს (1. ყლორტი, 2. ხბო), ამიტომ იოანეს ქართველად გამოცხადებისათვის მნიშვნელოვანი წინაალმდეგობა იქმნება. მის გადასალახავად ს. ყაუხჩიშვილს მოშველიებუაქვს IX ს-ის მოღვაწის ფოტიოსის გამოთქმა: „იოანეს მოსხუ", რაც მოსხოსის შვილს ნიშნავს. გვიან შუა საუკუნეებშიაც სწერდნენ: „იოანეს ერქვა „მოსხოს", რადგან იგი წარმოშობით მესხი იყოო".

იოანე მოსხოსის ქართველობას ამტკიცებს, აგრეთვე. მისი ნოველების ბერძნული და ქართული ტექსტების ის შედარება, რომელიც ს. ყაუხჩიშვილმა მოახდინა. შედარებამ გამოამჟღავნა, რომ „ქართული ნოველები ორიგინალურია და არა ნათარგმნი" (III, გვ. 241). უფრო მეტიც: „ქართული ნოველები და ბერძნული ნოველები ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად არის დაწერილი" (იქვე). ამით კი კიდევ ერთხელ დასტურდება შ. ნუცუბიძის ჰიპოთეზა, რომ იოანე მოსხი ორენოვანი (ქართულ და ბერძნულ ენებზე) მწერალი იყო[1].

[1] შ. ნუცუბიძე, დასახ. თხზ., გვ, 298.

იოანე მოსხის (მესხის) ნოველების უძველესი ქართული და ბერძნული ხელნაწერები მეათე საუკუნით თარიღდება. შინაარსის მიხედვით ისინი ძალიან მოგვაგონებენ ბოკაჩიოს „დეკამერონს“. ოღონდაც „იოანეს ნოველებში პერსონაჟები იწყებენ გატაცებას ანქვეყნიური ცხოვრების სიამოვნებით და ათავებენ მონანიებითა და სულის ცხონებაზე ზრუნვით; ბოკაჩიოს გმირები კი იწყებენ და ათავებენ ამქვეყნიური სიამოვნებებით“ (III, გვ. 239).

იოანე მოსხის ნოველები თავისი სტილით და ჟანრით ენათესავებიან „ბალავარიანს“, თანაც მათი ავტორი საბაწმინდელი ბერი იყო, სადაც „სულის მარგებელი“ ინდური მოთხრობა „ვარლაამსა და იოდასაფზე“ ეთიოპიიდან სწორედ იოანე ბერმა მოიტანა, ამიტომ სავსებით მოსალოდნელია „ბალავარიანისა“ და „სამოთხის“ ავტორი ერთი და იგივე პირი იოანე მოსხი აღმოჩნდეს.

ასეთია ზოგიერთი ასპექტი იმ საკითხებისა, რომლებზედაც ს. ყაუხჩიშვილი მკითხველის ყურადღებას აჩერებს „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში“. ამ საკითხთა ავტორისეული ინტერპრეტაცია უსათუოს ხდის, რომ დასახელებული წიგნი არა მარტო თანამედროვე ბიზანტინოლოგიის დიდი მიღწევაა, არამედ იგი მნიშვნელოვანი შენაძენია ქართველოლოგიის სფეროშიაც.

## „გეორგიკა“

საქართველოს ისტორიის საკითხების დამუშავება ს. ყაუხჩიშვილმა უცხოეთიდან დაბრუნებისთანავე დაიწყო. არაჩვეულებრივად ნიჭიერ ახალგაზრდა ფილოლოგში ივ. ჯავახიშვილმა ისტორიკოსის საუცხოო მონაცემებიც შენიშნა და მას უმთავრესად საქართველოს შესახებ ბერძნულ-რომაულ წყაროებში არსებული ცნობების შეგროვება დაავალა. ს. ყაუხჩიშვილმა ენერგიულად მოჰკიდა ხელი ამ საქმესაც. 1925 წლიდან იგი იწყებს ასეთი ხასიათის ნაშრომების გამოქვეყნებას, მაგრამ თანმიმდევრული და სისტემატური სახე მისმა ძიებებმა 1932 წლიდან მიიღეს, როცა ს. ყაუხჩიშვილმა უნივერსიტეტის გამომცემლობასთან დააარსა „გეორგიკის“ სერია, სადაც თავმოყრილია ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. რადგან ასეთი ცნობები სისტემატიზებული და ქრონოლოგიურად დალაგებუ-

ლი სხვა ენებზედაც არ იყო, თავიდან ფიქრობდნენ, რომ მთელი მასალის გადმოსაცემად ხუთი ტომი იკმარებდა. დღეისათვის ამ ბრწყინვალე კორპუსის 8 ტომია გამოცემული, მაგრამ მთელი მასალა მაინც არაა გამოქვეყნებული. გამოუქვეყნებელი ტექსტები და მათი კომენტარები ალბად კიდევ შეადგენენ ერთ ტომს.

1974 წელს ს. ყაუხჩიშვილმა დაიწყო ახალი სერიის „ძველი ქართული წყაროები ბიზანტიის შესახებ (გ ე ო რ გ ი კ ა-ბ ი ზ ა ნ ტ ი ნ ა ს)“ გამოცემა. ამ წელს გამოვიდა ამ სერიის I ტომი.

ორივე ეს სერია ორენოვანია. „გეორგიკაში“ თავმოყრილ ბერძნულ ტექსტებს ახლავთ სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ შესრულებული ქართული თარგმანი, ხოლო „გეორგიკა-ბიზანტინა“ რუსულ-ქართულ პარალელურ ტექსტს შეიცავს. აქაც რუსული თარგმანი სიმონ ყაუხჩიშვილისაა.

„გეორგიკის“ საერთო დახასიათებისათვის საჭიროა ითქვას, რომ იგი არაა ჩვეულებრივი პუბლიკაცია. გაძნელებული იყო არა მარტო ბერძნული ორიგინალის მოპოვება, არამედ „სიმონ ყაუხჩიშვილს უხდებოდა, საგანგებო კვლევა-ძიება ჩაეტარებინა ზოგიერთი ბერძნული ტექსტის დადგენისათვის“ (აკ. ურუშაძე). ამასთან „გეორგიკის“ ბერძნულ-ქართულ პარალელურ ტექსტს გამომცემელი ურთავს ვრცელ კომენტარებს, რომლებიც ბიზანტიისა და საქართველოს ისტორიის თანამედროვე მეცნიერულ მიღწევებს ეყრდნობიან. დიდი ცოდნა და ენერგია დასჭრიდა მეცნიერული თარგმანის შესრულებასაც. ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონის უქონლობისა და ძველი ქართული საისტორიო ტერმინოლოგიის დაუმუშავებლობის პირობებში ეს ურთულესი საქმე იყო.

სამეცნიერო ხასიათის ბიზანტიური მწერლობის ქართულად თარგმნის პიონერმა ს. ყაუხჩიშვილმა ღირსეულად დაძლია ეს სირთულენი. ამით მან ბერძნულიდან ქართულად მეცნიერული თარგმანის მტკიცე ტრადიცია შექმნა და შემდეგში მისმა მოწაფეებმა ანტიკური ეპოქის თითქმის ყველა ძირითადი ავტორი აამეტყველეს ქართულ ენაზე.

„გეორგიკის“ ორი ტომი (II—III) გამოსცა სახელმწიფო უნივერსიტეტმა. IV ტომი (II ნაკვეთი) მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა. დანარჩენი კი (I, II (ხელახლა), V—VI—VII—VIII საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისიამ.

„გეორგიკაში“ შესული ყველა მწერლის ტექსტს წინ უძღვის მოკლე ბიოგრაფიული ცნობა ავტორის შესახებ, ჩამოთვლა გამოქვეყნებულ ტექსტებში მოთხრობილ თემაზე არსებული ლიტერატურისა და წყაროს იმ გამოცემებისა, რომლებიც სიმონ ყაუხჩიშვილს ჰქონდა ხელთ.

**„გეორგიკის“ პირველი ტომი** 1961 წ. გამოქვეყნდა. მისი კარგა მოზრდილი ნაწილი (ამიანე მარცელინე, გვ. 75—165) გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო დოც. ა. გამყრელიძემ. დანარჩენი (16 ავტორი, 2 ნუსხა და 2 დამატება) მასალის მიმართ ასეთივე სამუშაო შეუსრულებია სიმონ ყაუხჩიშვილს.

ამ ტომში გამოქვეყნებული მასალის ერთი ნაწილი ჩვენ ზემოთ უკვე განვიხილეთ, როცა კოლხეთის რიტორიკულ სკოლაზე გვქონდა საუბარი. ამჟამად კი მკითხველის ყურადღება გვინდა მივაქციოთ ორ საკითხს: ნიკეის საეკლესიო კრებას და ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში.

ნიკეის მსოფლიო კრებას მეოთხე საუკუნის მოვლენათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა რომის მთავრობამ, აქამდე სასტიკად დევნილი ქრისტიანობის სახელმწიფოებრივად აღიარებულ რელიგიად გამოცხადების მიზნით, საეკლესიო კრება მოიწვია. ნიკეის კრებას დაესწრო საქრისტიანო ორგანიზაციების 318 წარმომადგენელი. კრების მონაწილეთა სია ჩვენამდე მოღწეულია ექვს ენაზე (ლათინური, ბერძნული, კოპტური, სირიული, არაბული და სომხური). ყველა მათგანი პოლემონის პონტოს ეპარქიიდან ასახელებს სამ ეპისკოპოსს. ბერძნულის მიხედვით ესენია: ლონგინოზი — ნეოკესარიისა, დომნე — ტრაპეზუნტისა და სტრატოფილე — ბიჭვინთისა.

ამ სიის მიხედვით გამოდის, რომ შავიზღვისპირეთის იმ ნაწილში, რომელიც ქართველებით იყო დასახლებული, უკვე 325 წ. საეპისკოპოსოები ყოფილა. მკვლევართა ყურადღებას განსაკუთრებით იქცევს ნიკეის კრებაზე ბიჭვინთის ეპისკოპოსის სტრატოფილეს დასწრების საკითხი. მართალია, ლაიფციგელმა პროფესორმა ა. ჰარნაკმა დასახელებული ეპისკოპოსების ბერძნული სახელების მიხედვით ივარაუდა, რომ მათი მრევლიც ბერძნები იქნებოდნენო, მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ სიმონ ყაუხჩიშვილი აყენებს უფრო

მტკიცე საბუთებს. კერძოდ, განა შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ბიჭვინთის ბერძნული კოლონია სრულიად მოწყვეტილი იყო ადგილობრიეი მოსახლეობისაგან? ანდა, როგორ ავხსნათ ნიკეის კრების ნასლობელ ხანაში ბიჭვინთის ტაძრის აგება, რომლის კტიტორი ყველა მონაცემის მიხედვით ქართველი იყო?

ამ ბოლო ხანებში გამოითქვა სამართლიანი ვარაუდი, რომ ეგრისის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადება IV საუკუნეში იბერიაში ასეთივე აქტის ერთდროულად უნდა მომხდარიყო[1]. ამრიგად, ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრების დროს ბიჭვინთაში ქართული ქრისტიანული მრევლის არსებობა სავსებით შესაძლებელი ფაქტია.

„გეორგიკის“ I ტომის 179—243 გვერდებზე დაბეჭდილია გელასი კესარიელის, რუფინუსის, თეოდორიტე კვირელის, სოკრატე სქოლასტიკოსის და ერემია სოზიგენეს ნაწერებიდან ამოკრეფილი ცნობები. მათ აერთიანებთ ერთი საერთო თემა — საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საკითხი. საერთო ამ საკითხის გაშუქებაშიაც ბევრი აქვთ, რადგანაც „ყველა ისტორიკოსი ხელმძღვანელობს ერთისა და იმავე გადმოცემით ქართველთა მოქცევის შესახებ ტყვე-ქალის მეშვეობით. ამით აიხსნება, რომ ერთი და იგივე ეპიზოდები მეორდება ყველასთან“ (გვ. 243), თუმცა განსხვავებული ადგილებიც აქვთ.

ამ ცნობების განხილვისას სიმონ ყაუხჩიშვილი შენიშნავს, რომ ისტორიკოსები ქართლის მოქცევას განიხილავენ არა როგორც მხოლოდ რელიგიულ აქტს, არამედ მას პოლიტიკურ მიზეზებსაც უძებნიან (მაგ., სოკრატე სქოლასტიკოსი). სხვა მონაცემებს თუ არად ჩავთვლით, ის მაინც ცხადია, რომ „IV საუკუნეში ქრისტიანობის აღიარება სახელმწიფოებრივი მასშტაბით უთუოდ ნიშნავდა ბიზანტიის ორიენტაციის აღიარებას პოლიტიკაში“ (გვ. 245).

დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საკითხისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება გელასი კესარიელის მონათხრობს, რომ იბერებმა და ლაზებმა ერთდროულად კონსტანტინე დიდის დროს (306—337) მიიღეს ქრისტიანობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთი მტკიცება რეალურობას არ უნდა იყოს მოკლებული.

„გეორგიკის“ მეორე ტომი ორჯერ გამოქვეყნდა, პირვე-

---

[1] ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, 1968, გვ. 120.

ლად 1934 წელს. მასში თავმოყრილი მასალა იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, „რომ მის საფუძველზე რამდენიმე სადისერტაციო შრომა დაიწერა“ (გვ. VIII). წიგნი სულ 200 ეგზემპლარის რაოდენობით დაიბეჭდა, ამიტომ მისი გამეორებით დასტამბვა აუცილებელი გახდა. მეორე ტომი მეორედ 1965 წელს გამოვიდა. ამჯერად პირველი გამოცემის ძველი მასალა შევსებულ და გადასინჯულ იქნა. დამატების სახით ტომს დაერთო „მასალები პეტრე იბერის ბიოგრაფიისათვის“. ესაა: იოანე რუფუსის „პეტრე იბერის ცხოვრება“ და მისივე — „პლეროფორიები“. ეს თხზულებანი ავტორს ბერძნულად დაუწერია. დედანი მოღწეული არაა. მოღწეულია სირიული თარგმანი. სიმონ ყაუხჩიშვილმა „გეორგიკის“ მეორე ტომისათვის „პეტრე იბერის ცხოვრება“ თარგმნა რ. რააბეს გერმანული პუბლიკაციიდან, „პლეროფორიები“ კი — ფ. ნაუს ფრანგული გამოცემის მიხედვით.

იგი იმედს გამოთქვამს, რომ, მართალია, დასახელებულ თხზულებათა თარგმანები უშუალოდ დედნიდან არაა შესრულებული, მაგრამ მათ დაინტერესებული პირებისათვის ერთგვარი სამსახურის გაწევა მაინც შეუძლიათ.

II ტომის ძირითად ნაწილში შევიდა ოთხი ავტორი: ანონიმი მეხუთე საუკუნისა, იუსტინიანეს ნოველები, პროკოპი კესარიელი და იოანე ლიდე. მათგან საქართველოს ისტორიისათვის ყველაზე დიდ მასალას პროკოპი კესარიელი (დაიბ. 490 და 507 წწ. შორის — გარდ. 562 წ. შემდეგ) იძლევა. „შეიძლება თამამად ითქვას, რომ პროკოპის ცნობები რომ არ გვქონოდა, ძალიან გაჭირდებოდა საქართველოს VI საუკუნის ისტორიის დაწერა“ (გვ. 42). პროკოპის ნაშრომის მთავარი თემაა ბიზანტია-სპარსეთის ბრძოლა ამიერკავკასიაში ბატონობისათვის. ეს ბრძოლა განსაკუთრებით მას შემდეგ გამწვავდა, რაც ამ სახელმწიფოებს სათავეში ჩაუდგნენ ცნობილი აგრესორები — „დიდი ავტოკრატორი“ იუსტინიანე (527—565) და ხოსრო I ანუშირვანი (531—579). პროკოპი აღწერს ბიზანტია-სპარსეთის ომის პერიპეტიებს და განსაკუთრებით ძვირფას მასალას იძლევა ლაზიკის ისტორიისათვის.

სიმონ ყაუხჩიშვილისეული შენიშვნებიდან, რომელიც ტექსტის თითქმის ყველა შესაძლო ადგილას არის ჩართული, ყურადღებას იქცევს ისტორიულ-გეოგრაფიული ძიებანი. კომენ-

ტატორი ცდილობს დააზუსტოს წყაროებში დასახელებული თითქმის ყველა გეოგრაფიული პუნქტის მდებარეობა და სახელწოდების ეტიმოლოგია. მისი ეს ცდა ბევრჯერ წარმატებითაც დაგვირგვინდა. „გეორგიკის“ II ტომის ისტორიულ-გეოგრაფიული შტუდიებიდან განასკუთრებით აღსანიშნავია ავტორის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებანი ბათომის (გვ. 22), ბიჭვინთის (გვ. 26), პეტრას (გვ. 33—35), სკანდა-შორაპნის (გვ. 35—37), ბოლოსციხეს (გვ. 56—58), ყვირილას (მდ. ბოასი, გვ. 106—109), ლეჩხუმის (გვ. 126), ქუთაისის (გვ. 195—196), უქიმერიონის (გვ. 203—204), მოხირისის (გვ. 208—210), ნოსირის (გვ. 220), კასპიის კარების (გვ. 239—241) ეტიმოლოგია-ლოკალიზაციისათვის.

საკითხის ღრმა ცოდნით შედგენილი მინი-ნარკვევები აქვს მიძღვნილი ცნობებს ცალკეულ ქართველ ტომთა და ისტორიულ პირთა შესახებ. ასეთებია შენიშვნები, რომლებიც შეეხება: სვანებს (გვ. 55—56), ციბე-ჯიბოს (გვ. 78—80), სანიგებს (გვ. 136—137), ოვსებს (გვ. 161—163), ბესსას (გვ. 180—181), ვარაზ-ბაკურს (გვ. 184—185), ჭანებს (გვ. 218—219), ფარსმანს (გვ. 231—232), პერანს (გვ. 232—233) და სხვ.

„გეორგიკის“ მეორე ტომში გამოქვეყნებულმა ნარატიულმა ძეგლებმა ისტორიკოსებს საშუალება მისცა ახლებურად დაესვათ ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის ბევრი საკითხი. ჩვენ მხოლოდ ერთ მათგანზე შევჩერდებით. სახელდობრ: რას წარმოადგენდა ქუთაისი VI საუკუნეში? პროკოპი წერს, რომ ლაზები მას ბერძნული ენის უცოდინარობის გამო ქუთათისს ეძახიან, თორემ ელინები კოტაიონს უწოდებდნენო (გვ. 195). თუ როგორ წარმოიშვა ეს ბერძნული სახელწოდება დასაბუთებულად აქვს ახსნილი ს. ყაუხჩიშვილს. რაც შეეხება ქუთაისის, როგორც დასახლებული პუნქტის, მაშინდელ მდგომარეობას, იგი, პროკოპის მიხედვით, პატარა ციხეს წარმოადგენს. ეს ციხე კოლხებს დაუნგრევიათ, რადგან ვაკეზე იდგა და ადვილად შესამუსრავი იყო მტრის მიერ. პროკოპის ცნობიდან სწორად გამოჩანს VI ს-ის ფაქტიური მდგომარეობა: ეგრისის სამეფოს ეკონომიურად ყველაზე განვითარებული რეგიონი იყო მოხერისი (მუხურისი). მაგრამ მისი ცენტრი ქუთაისი პოლიტიკურად მნიშვნელოვან ციხე-ქალაქს აღარ წარმოადგენდა. პოლიტიკური ცენტრი რაღაც მიზეზების გამო (შეიძლება ქართლის სახელმწიფოს პოლიტიკური ექსპანსიის გამო) დასავლეთით, ციხე-

გოჯშია გადატანილი. მომდევნო ხანაში (VII საუკუნის 30—40-იანი წლები) ქუთაისის მნიშვნელობა კვლავ იზრდება (ეს პროცესი ქართლის სახელმწიფოს პოლიტიკურ დასუსტებას ემთხვევა) და VIII ს-ის დასასრულს იგი აბხაზთა სამეფოს პოლიტიკური ცენტრი ხდება.

**„გეორგიკის" მესამე ტომი** 1936 წელს გამოიცა. წარმოდგენილ ავტორთაგან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა აგათია სქოლასტიკოსი და მენანდრე პროტიქტორი. აგათია განაგრძობს პროკოპი კესარიელის მიერ მონათხრობ ამბებს, მენანდრე კი აგრძელებს აგათიას „ისტორიას" სწორედ იმ მომენტიდან, სადაც იგი შეწყდა. მას გადმოცემული აქვს 558—582 წწ. მოვლენები.

აგათია (536—582) ახალგაზრდობაში პოეტი იყო. ისტორიის წერას იგი იუსტინიანეს გარდაცვალების შემდეგ (565 წ.) შეუდგა და მიზნად დაისახა აღეწერა 552—577 წლების ამბები. მან თავისი მიზნის მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელება მოახერხა, დაწერა 552—558 წლების ისტორია. სიმონ ყაუხჩიშვილის აზრით, „წერის მანერაში ის პროკოპი კესარიელს ჰბაძავს, მაგრამ ერუდიციით და სამწერლო ნიჭით მას ბევრად ჩამოუვარდება" (გვ. 24).

მენანდრეს ისტორია ჩვენამდე მხოლოდ ფრაგმენტების სახითაა მოღწეული (შემონახულია 77 დიდი და პატარა ნაწყვეტი). მათში სიმონ ყაუხჩიშვილის ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობს დასავლა ბიზანტიასა და ირანს შორის სვანეთის გამო.

გარდა ამ ორი ავტორისა, III ტომში გამოქვეყნებულია ის ცნობები საქართველოს შესახებ, რომლებიც ამოკრეფილია ზაქარია რეტორის, პეტრე პატრიკიოსის, იოანე ეპიფანიელის, თეოფანე ბიზანტიელის, იოანე მალალას, სტეფანე ბიზანტიელისა და ევაგრი სქოლასტიკოსის თხზულებებიდან. ამ ცნობებისადმი დართული შენიშვნები უმთავრესად ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათისაა. მათი გამოქვეყნების შემდეგ თითქმის 40 წელი გავიდა და ბევრი საკითხი ამჟამად სხვაგვარად დგას, მაგრამ ს. ყაუხჩიშვილის მაშინდელ ძიებებს მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს. დავასახელებთ ზოგიერთს: ტელეფისი (გვ. 97—99), ნეოკნე-მალთაყვა (გვ. 108—109), როდოპოლისი (გვ. 159—161).

„გეორგიკის" III ტომში მოცემულია ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხის გარკვევის ცდაც. კერძოდ, დადგენილია თარიღი (528—535 წწ.) ბიზანტიელების მიერ ჭანეთის დამორჩილებისა (გვ. 185—186); გარკვეულია, რომ სვანები 552

წლის მახლობელ ხანებში, როცა იქ სპარსთა ჯარი შეიჭრა, ეგრისის მეფეს არ ემორჩილებოდნენ (გვ. 225); განხილულია ცნობები, რომლებიც ბიზანტიის იმპერიაში აბრეშუმის ჭიის კულტურის შეტანას ეხებიან (გვ. 254—256); საუკეთესო ეტიმოლოგიური ძიების მაგალითია გადმოცემული 265—266 გვერდებზე, რომელიც სიტყვა „წაღას“ ეხება.

„გეორგიკის“ მესამე ტომს დამატებად დართული აქვს ს. ყაუხჩიშვილის ნარკვევი „ბიზანტიური ეპოქის ციხე-სიმაგრეები ლაზეთში“. ნარკვევის შესადგენად გამოყენებულია როგორც წერილობითი წყაროები, აგრეთვე ავტორის ხელმძღვანელობით მოწყობილი სამეცნიერო ექსპედიციების დროს მოპოვებული მასალები.

პირველი ასეთი ექსპედიცია საქართველოს საისტორიო საზოგადოებამ მოაწყო 1932 წელს[1]. მასში ს. ყაუხჩიშვილის გარდა შედიოდნენ ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი. ექსპედიციამ მიმოიხილა შორაპანი, სკანდე, ტელეფისი.

შეორე ექსპედიცია მოაწყო თბილისის უნივერსიტეტ-ს რექტორატმა 1935 წელს. შესწავლის ობიექტები იყო: შორაპანი, სკანდე, ვარციხე, ტოლები, ისულა, ნოქალაქევი, ციხისძირი. „ყველა პუნქტში რამდენჯერმე მოგვიხდა ჩასვლა, გვიამბობს, — ს. ყაუხჩიშვილი, — განსაკუთრებით პირველ ოთხში, სადაც ჩვენი დავალებით გეგმების აგეგმვაზე მუშაობდა მეთოდისტი ევგ. კუჭუხიძე. ექსპედიციაში ჩვენს გარდა მონაწილეობას ღებულობდნენ პროფ. აკაკი შანიძე (ტოლებში), დოც. გ. გოზალიშვილი (ნოქალაქევში)“ (გვ. 303).

დამატების სახით გამოქვეყნებულ ნარკვევში განხილულია ყველა ზემოჩამოთვლილი ციხე-სიმაგრე გარდა ციხისძირისა.

**„გეორგიკის“ მეოთხე ტომი** გამოცემულია ორ ნაკვეთად. პირველი ნაკვეთი 1941 წ. გამოსცა თბილისის უნივერსიტეტმა. იგი მოცულობით შედარებით მცირეა (117 გვ.) და შეიცავს ბიზანტიელი მწერლების იოანე ანტიოქიელის, თეოფილაქტე სიმოკატას, თეოდორე განგრელის, ეპიფანე კონსტანტინოპოლელის, გიორგი სვინგელოზის და თეოფანე ჟამთააღმწერლის თხზულებებიდან ამოკრეფილ მასალას. აქვეა დაბეჭდილი ე. წ. პასქალური ქრონიკა.

---

[1] დაწვრილებით ამ ექსპედიციის შესახებ იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, 1964, გვ. 1—44.

მეორე ნაკვეთი გამოვიდა 1952 წელს. აქ გამოქვეყნებული მასალებიდან განსაკუთრებით მდიდარ ცნობებს შეიცავს ბიზანტიური ეკთეზისები და კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებანი.

„ეკთეზისებში“ უმთავრესად საეკლესიო ისტორიის მასალაა თავმოყრილი. ამ ცნობებიდან ირკვევა, რომ დასავლეთ საქართველო ადმინისტრაციულ-ეკლესიურად IX საუკუნემდე კონსტანტინოპოლის კათედრას ექვემდებარებოდა. რადგან X საუკუნიდან „ეკთეზისებში“ დასავლეთ საქართველოს ეპარქიები აღარ იხსენიება, ჩანს, ისინი ჩამოსცილებიან ბიზანტიას და მცხეთის საკათალიკოსოს შეერთებიან. საინტერესოა, რომ ეს ფაქტი საქართველოს გაერთიანების პროცესის დასაწყისს ემთხვევა.

„ეკთეზისებიდან“ ირკვევა სამოქალაქო ისტორიისათვის საყურადღებო ის ფაქტიც, რომ შავი ზღვის სამხრეთი სანაპირო ტრაპეზუნტის ბხარის ჩათვლით და მისგან აღმოსავლეთით მჭიდროდ იყო დაკავშირებული დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოსთან. ეს რაიონი ეთნოგრაფიულად, სამხედრო-ადმინისტრაციულად და ადმინისტრაციულ-ეკლესიურად ეგრისის განუყრელ ნაწილს წარმოადგენდა.

ასეთი დასკვნების ფონზე საჭირო გახდა გარკვეულიყო „ეკთეზისების“ შედგენის თარიღი. ს. ყაუხჩიშვილის აზრით ისინი ორ ჯგუფად უნდა გაიყოს. პირველი უფრო ძველია და შედგენილია VII საუკუნეში (გვ. 182), მეორე კი, შედარებით გვიანდელი, IX საუკუნისაა (გვ. 186). პირველი წყების „ეკთეზისებში“ მოხსენებულნი არიან: ფასისის მიტროპოლიტი და მასზე დაქვემდებარებული ოთხი ეპისკოპოსი (როდოპოლისის, ცაიშის, პეტრასი და ზიგანევისა), აფხაზეთის (სებასტოპოლისის) ავტოკეფალური არქიეპისკოპოსი და ჯიქეთის (ნიკოფსიის) ავტოკეფალური არქიეპისკოპოსი.

კონსტანტინე პორფიროგენეტი (ძოწითმოსილი) ბიზანტიის იმპერატორი იყო 912—959 წლებში. მას რამდენიმე ორიგინალური და კომპილაციური თხზულება დარჩა. „გეორგიკაში“ შესული მისი თხზულებები ყურადღებას იქცევენ იმითაც, რომ ცნობებს გვაწვდიან ქვეყნის ეკონომიური განვითარების შესახებაც. რაც შეეხება პოლიტიკურ ისტორიას, კონსტანტინე პორფიროგენეტის მასალა

იმდენად ბევრ საკითხს აღძრავს და მათგან ისე ბევრი აქვს კომენტირებული სიმონ ყაუხჩიშვილს, რომ მათი ჩამოთვლისაგანაც კი თავს ვიკავებთ.

დასახელებული ორი ავტორის გარდა, „გეორგიკის“ მეოთხე ტომის მეორე ნაკვეთში გამოქვეყნებულია ნიკიფორე კონსტანტინოპოლელის, ნიკოლოზ მისტიკოსის, იოსებ გენესიოსის და სხვათა თხზულებათა ექსცერპტები. ყოველ მათგანს მოეპოვება ისეთი ცნობა, რომელსაც საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის გაშუქებისათვის უნიკალური მნიშვნელობა აქვს.

ავიღოთ თუნდაც ნიკიფორე კონსტანტინოპოლელის მიერ თარიღის 532 წლიანი მოქცევის მიხედვით დასახელება (გვ. 205). ეს მეორე შემთხვევაა ბიზანტიურ მწერლობაში ე. წ. „ქართული ქრონიკონით“ დროის აღრიცხვისა[1]. აქ ჩვენ აღარ შევუდგებით გარკვევას, საიდან შეეძლო სცოდნოდა ნიკიფორეს 532 წლიანი მოქცევის არსებობა, მაგრამ იმას კი შევნიშნავთ, რომ იგი 5604 წლიან „ქართულ დასაბამითგანთან“ კი არ არის თანხმობაში მიყვანილი, არამედ ბიზანტიურ 5508 წლიან ინდიქტიონთან.

„გეორგიკის“ IV ტომს აქვს ორი დამატება: „ცნობა „ზიგანევის“ შესახებ ძვ. ქართულ მწერლობაში“ და „ნიკიფორე კონსტანტინოპოლელის „ისტორიის“ კვალი ძველ ქართულ მწერლობაში“.

**„გეორგიკის“ მეხუთე ტომი** 1963 წელს გამოიცა. მასში შევიდა: ლეონ გრამატიკოსი, გიორგი კედრენე, ნიკიფორე ვრიენიოსი, კევკამენოსი და პეტრიწონის წესდება.

გიორგი კედრენეს „ქრონოგრაფიის“ ტექსტი ჯერჯერობით დადგენილი არ არის. მასში შესულია მეორე ისტორიკოსის იოანე სკილიცეს მიერ 811—1079 წლებში მომხდარი ამბების აღწერაც. ამ უკანასკნელის ნაშრომი ცალკე არ გამოცემულა, ამიტომ კედრენეს „ქრონოგრაფიის“ დამოწმებისას სამეცნიერო ლიტერატურაში ხმარობენ „კედნერე-სკილიცეს“.

კედნერე-სკილიცეს მონათხრობიდან ს. ყაუხჩიშვილმა საგანგებო ყურადღება მიაქცია ბიზანტიელი დიდებულის ბარდა სკლეროსის აჯანყებას 976 წელს. დასახელებული ავტორები ჩქმალავენ დავით კურაპალატისა და თორნიკე ერისთავის როლს ამ აჯანყების ჩაქრობაში. კედრენეზე დაყრდნობის

[1] პირველი შემთხვევა ეკუთვნის გიორგი სვინგელოზს, იხ. „გეორგიკა“, IV, I, გვ. 67—68.

გამო დასავლეთ ევროპასა და რუსეთში სპეციალისტებმა არ იციან სკლეროსის დამმარცხებელი მთავარი ძალის, ქართველთა 12 ათასიანი ლაშქრის, აჯანყებულ ფეოდალთა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

სიმონ ყაუხჩიშვილს ქართული ეპიგრაფიკული მასალის, ნარატიული წყაროებისა და სიგელ-გუჯრების გამოყენებით დამტკიცებული აქვს, რომ დავით კურაპალატმა ბიზანტიის ცენტრალურ ხელისუფლებას ბარდა სკლეროსის წინააღმდეგ საბრძოლველად თორმეტ ათასიანი ჯარი მიაშველა იოანე-თორნიკეს მეთაურობით. ამ ჯარმა დაამარცხა აჯანყებული ბიზანტიელი სარდალი. თორნიკემ უარი თქვა, ბიზანტიის კეისრის ტახტის მცირეწლოვანი მემკვიდრეების ბასილისა და კონსტანტინეს რეგენტის, დედოფალ თეოფანოს მიერ შეთავაზებულ საჩუქრებზე, ხოლო დიდძალი ნადავლი, რომელიც მას ბარდა სკლეროსის დამარცხების შემდეგ ერგო, ათონის ქართველთა ლავრის ასაგებად გამოიყენა (გვ. 32—42).

კედრენე-სკილიცეს მასალების მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილს საქართველოს და ბიზანტიის ისტორიის რამდენიმე სხვა საკითხიც აქვს განხილული.

„გეორგიკის“ V ტომის ძირითად ნაწილს „პეტრიწონის წესდება“ წარმოადგენს. ამ წესდებას ასეთი ისტორია აქვს: სპეციალისტებისათვის დიდი ხანია ცნობილია, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი პროვინციის ტაოს ერისთავთ-ერისთავის ბაკურიანის ძემ გრიგოლმა, რომელიც ბიზანტიის იმპერატორის ალექსი პირველი კომნენის (1081—1118) დასავლეთის მხარეთა დიდი დომესტიკოსი (მხედართუფროსი) იყო, 1083 წელს ფილიპოპოლის (ახლა პლოვდივი) მახლობლად, სოფელ პეტრიწონში, დააარსა ქართული მონასტერი, რომელსაც ტიპიკონი (წესდება) შეუდგინა.

როგორც ბევრი სხვა მონასტრის, ისე პეტრიწონის მონასტრის წესდების ქართული ტექსტი დიდხანს დაკარგულად ითვლებოდა. ცნობილი კი იყო ბერძნული ტექსტი, რომლის ახალბერძნული თარგმანი ბერძენმა მკვლევარმა გიორგი მუსეოსმა გამოაქვეყნა 1888 წელს. ხოლო XVIII ს-ში გადაწერილი ორიგინალი, საიდანაც ეს თარგმანი შესრულდა. ფრანგმა ლუი პტიმ გამოსცა 1904 წელს. 1949 წ. ქართველ მეცნიერთა დელეგაცია ეწვია

ბაჩკოვოს[1], მაგრამ ქართული ხელნაწერები ვეღარ აღმოაჩინა. დადგინდა, რომ რამდენიმე ქართული ხელნაწერი კუნძულ ქიოსში კორაის სახელობის ბიბლიოთეკაში ყოფილა დაცული. ეს ცნობილი გახდა სოფიის უნივერსიტეტის პროფესორის გ. ნ ი კ ო ლ ა ე ვ ი ს გამოკვლევებიდან. 1954 წ. მ. თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ მ ა გამოსცა „პეტრიწონის წესდების ძველქართული რედაქცია". აკად. აკ. შ ა ნ ი ძ ე მ კი მოახერხა ქიოსიდან მიეღო „ტიპიკონის" ძველი ქართული ხელნაწერის ფოტოპირები. ეს ხელნაწერი, ა. შანიძის ვარაუდით, XIII საუკუნისაა. ქართული ტექსტი, მისი თარგმანი რუსულ ენაზე, გამოკვლევები და დამატებანი მან გამოაქვეყნა 1971 წელს[2].

სიმონ ყაუხჩიშვილმა „გეორგიკაში" დაბეჭდა ბერძნული ტექსტი და მისი თარგმანი თანამედროვე ქართულ ენაზე. პეტრიწონის წესდების ეს ტექსტი სპეციალისტების წინაშე აყენებს მრავალ ისტორიულ-ფილოლოგიური მნიშვნელობის საკითხს. წესდების ტექსტში უაღრავი მასალა მოიპოვება სამონასტრო მიწათმფლობელობის ხასიათის, მამულების მოვლა-პატრონობისა და სათანადო თანამდებობის პირთა მოვალეობების შესახებ. აქვეა ცნობები გადასახადთა გადახდისა, მათგან განთავისუფლებისა და შეუვალობის უფლებათა თაობაზე. „ტიპიკონი" ზუსტად განსაზღვრავს პეტრიწონის მონასტრის ბერთა კონტინგენტს, თანამდებობის პირთა უფლება-მოვალეობებს. ბერთა კონტინგენტის შენარჩუნების მიზნით მონასტერთან არსებულა სემინარია. ჩანს, სემინარიაში მხოლოდ „საღვთო საქმეებს" არ ასწავლიდნენ. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მათს მორალურ სიწმინდესაც (გვ. 193—195).

ფილოლოგიურ პრობლემათაგან, რომლებიც „პეტრიწონის წესდების" გამო წამოიჭრება, ყველაზე საინტერესოა ბერძნულ-ქართული ტექსტების ურთიერთობის საკითხი. მისმა გარკვევამ საბოლოოდ უნდა დაადგინოს, რომელია პირველადი — ქართული თუ ბერძნული. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, მის ხელთ არსებული მასალები ამ მხრივ რაიმე გარკვეული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას არ იძლევა (გვ. 268). ერთი რამ კი დადგე-

---

[1] ამის შესახებ დაწვრ. იხ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნარკვევები, ტ. V, გვ. 1—57.

[2] ძველი ქართული ენის ძეგლები, 13. აკ. შ ა ნ ი ძ ე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ., 1971, გვ. 388.

ნილია: „მონასტრის მცხოვრებლები ქართულ ენაზე მეტყველებდნენ, ქართულ ენაზე ისმენდნენ ჟამის წირვას და, მაშასადამე, სემინარიის მოსწავლეებიც ქართულ ენაზე სწავლობდნენ სამეცნიერო დისციპლინებს“ (გვ. 88).

**„გეორგიკის“ მეექვსე ტომი** 1966 წ. გამოქვეყნდა. ისევე, როგორც მეხუთე ტომში, აქაც XI—XII საუკუნეთა მასალა შევიდა, სახელდობრ, მიქელ პსელოსის, მიხეილ ატალიატეს, ანნა კომნენეს, ნიკიტა ხონიატეს, იოანე კინამოსის, გიორგი კოდინეს და კიდევ სამი ქრონოგრაფის ცნობები საქართველოს შესახებ.

VI ტომს აქვს ორი დამატება. ერთი მათგანია „იოანე ზონარა“, რას დასაბეჭდად ამზადებდა ს. ყაუხჩიშვილის მოწაფე მ ი ხ ე ი ლ კ ა ხ ა ძ ე, მაგრამ იგი გარდაიცვალა. ს. ყაუხჩიშვილმა, როგორც თვითონ წერს, შეძლებისდაგვარად შეამოწმა მთარგმნელის მიერ ამიებზე გაკეთებული შენიშვნების მიხედვით ზონარას ქართული ტექსტი, შეავსო, შეასწორა და, როგორც ეს წინასწარ გათვალისწინებული ჰქონდა, დასახელებულ ტომში დაბეჭდა.

მეორე დამატებაა მიქელ პსელოსის ორი ტრაქტატი: „განმარტებაჲ დღესასწაულთათჳს“ და „პირმშოჲსათჳს“. ამ ტრაქტატთა მიქელ პსელოსისათვის მიკუთვნება საცილობელია. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს აზრით, მეორე ნაშრომი იოანე პეტრიწის თხზულებაა. შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე კი მის ავტორად არსენ იყალთოელს თვლიდა. ძეგლის ხელნაწერზე არსებული წარწერის მიხედვით, იგი არის ნაწარმოები „დიდისა ფილოსოფოსის ფსელოსისა“. ს. ყაუხჩიშვილს ეს წარწერა საეჭვოდ არ მიაჩნია.

VI ტომში გამოქვეყნებულ თხზულებათაგან ცნობების სიუხვით გამოირჩევა ანნა კომნენეს „ალექსიადას“ ნაწყვეტები. ანნა კომნენე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბაგრატ IV-ის ასულის მ ა რ ი ა მ დ ე დ ო ფ ლ ი ს როლს ბიზანტიის სამეფო კარზე. მარიამის შესახებ კომნენეს ცნობები ავსებენ ქართულ წყაროთა მონაცემებს. ამ მასალის მნიშვნელობას ისიც ზრდის, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში მარიამი ძლიერ ხშირად ალანად (ოსად) არის გამოყვანილი. გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი ნ დ ე ლ ი მოგვითხრობს, რომ ბიზანტიის დედოფალმა თ ე ო დ ო რ ა მ სთხოვა ბაგრატ IV-ს თავისი ასული შვილობილად გაეგზავნა მისთვის კონსტანტინოპოლში.

ბაგრატი მზად იყო დათანხმებოდა ამ წინადადებას, მაგრამ თეოდორა მოულოდნელად გარდაიცვალა. მალე კეისარმა კონსტანტინე დუკამ (1059 — 1071) შვილის, ტახტის მემკვიდრე მიხეილ VII პარაპინაკისათვის (1071 — 1078) საცოლედ მოითხოვა მარიამი, რომელსაც საქართველოში მართას ეძახდნენ. ეს ქორწინება შედგა. როცა პირველი ქმარი ბერად აღიკვეცა, მარიამი ახალი კეისრის ნიკიფორე III ბოტანიატეს (1078 — 1081) მეუღლე გახდა. მესამე ქმრად გათვალისწინებული ალექსი კომნენი მხოლოდ მისი, მარიამის, წყალობით ავიდა სამეფო ტახტზე. თვითონ მარიამი კი იმის ცდაში იყო, რომ სამეფო ტახტი შეენარჩუნებინა თავისი ვაჟისათვის, კონსტანტინესათვის, რომელიც მან ალექსის თანაკეისრად დასვა.

ანნა კომნენე მარიამის შესახებ ყველა ზემოთქმულ ფაქტს ადასტურებს. მისი ცნობებით ქართველთა მეფის ასული XI საუკუნის სამოცდაათიანსა და ოთხმოციან წლებში ბიზანტიის სამეფო კარზე ქარდინალურ სახელმწიფო საკითხებს წყვეტდა. ამასვე იმეორებენ „გეორგიკის“ VI ტომში დაბეჭდილი სხვა ავტორებიც (მიქელ პსელოსი, გიორგი კოდინე, იოველი, სკილიცეს გამგრძელებელი, კონსტანტინე მანასე და იოანე ზონარა). ცხადია, მარიამ-მართას წარმატებანი დაკავშირებულია საქართველოს სამეფოს პოლიტიკური ძლიერების ზრდასთან. თუმცა ანნა კომნენეს ეს ახსნილი აქვს თვით მარიამის ნიჭით და მომხიბვლელი გარეგნობით.

როგორც ყოველთვის, მეექვსე ტომში სიმონ ყაუხჩიშვილი გამოსაცემ მასალას კრიტიკულად ეპყრობა. მაგალითისათვის ავიღებთ მიხეილ ატალიატეს ცნობას აბაზგთა აჯანყების შესახებ. ბიზანტინოლოგები (კრუმბახერი, მორავჩიკი) მიიჩნევენ, რომ ამ ისტორიკოსს გადმოცემული აქვს 1034 — 1079 წწ. ამბები. მაგრამ მის მიერ „აბაზგთა აჯანყების“ სახით აღწერილი ფაქტი, ყველა მონაცემით, ემთხვევა „მატიანე ქართლისაჲს“ მონათხრობს 1021 — 1022 წლებში ბიზანტიის კეისარ ბასილის წინააღმდეგ ქართველთა მეფის გიორგი პირველის ბრძოლის შესახებ. ამ დამთხვევათა (ქართველთა მეფეს ორივეგან გიორგი ჰქვია, იგი მარცხდება და კეისარს მძევლად აძლევს შვილს ბაგრატს) გათვალისწინებით სიმონ ყაუხჩიშვილი ასკვნის, რომ „მიხეილ ატალიატეს „ისტორია“ 1034 წლის წინანდელ ამბებსაც შეიცავს“ (გვ. 30).

ასეთივე კრიტიკული მიდგომით და ქართულ წყაროებთან შეჯერებით არის განხილული „გეორგიკის“ VI ტომში ბევრი სხვა მნიშვნელოვანი საკითხი.

„გეორგიკის“ მეშვიდე ტომი გამოქვეყნდა 1967 წელს. აქ ძირითადად მოთავსებულია XII — XIV საუკუნეთა ბიზანტიურ-ბერძნული მასალები საქართველოს შესახებ.

ტომი იხსნება კორიდეთის ოთხთავის ბერძნული მინაწერებით. ეს ძეგლი აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ნუსხა ოთხთავის ტექსტის დასადგენად. ხელნაწერის (IX საუკუნისა) ველებზე, ზოგჯერ ტექსტშიაც, ვხვდებით მინაწერებს ბერძნულ და ქართულ ენებზე. ბერძნული მინაწერები შეისწავლა და გამოსცა პროფ. გრიგოლ წერეთელმა 1937 წელს. მინაწერები ამ გამოცემით და მათი ქართული თარგმანი აქვს შეტანილი „გეორგიკაში“ სიმონ ყაუხჩიშვილს.

ზემოთ ვწერდით, რომ ისტორიკოსთა ერთი ნაწილი ბაგრატ IV-ის ასულს მარიამ დედოფალს ალანად მიიჩნევს. თუ როგორ გაჩნდა ასეთი წარმოდგენა, ამის ამოხსნაში გვეხმარება „გეორგიკის“ VII ტომში შეტანილი ავტორი იოანე ცეცე. იგი წერს: იბერები, აბაზგები და ალანები ერთი ტომისა არიანო (გვ. 23). ეს მათს იგივეობას კი არ ნიშნავს, არამედ იმას, რომ იბერთა ქვეყნის მეთაური აბაზგებისა და ალანების მეფუნებს მბრძანებლობს. ცეცეს თხზულებიდან ჩვენი ისტორიის ზოგიერთი სხვა საინტერესო ცნობაც შეიძლება ამოვკრიფოთ.

რაც შეეხება „გეორგიკაში“ წარმოდგენილ გიორგი აკროპოლიტეს, მის „ისტორიაში“ უშუალოდ საქართველოზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ საყურადღებო ცნობაა ტრაპიზონის იმპერიის დამაარსებლებზე.

საერთოდ „გეორგიკის“ VII ტომში შესული მასალის დიდი ნაწილი ტრაპიზონის იმპერიის ისტორიას გადმოგვცემს. ეს ისტორია მჭიდრო კავშირშია სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის, ქართული მოსახლეობის ბედთან. ტრაპიზონის იმპერიის დაარსების, მისი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის საკითხი სპეციალისტთა გაცხოველებული კამათის საგანია. ბევრი სადისკუსიო საკითხის გადაწყვეტა სწორედ გიორგი პახიმერეს, ნიკიფორე გრიგორასის და მიქელ პანარეტოსის მასალებზე დაყრდნობით მო-

ხერხდა. კერძოდ, არც ერთი მათგანისათვის საეჭვო არ არის, რომ ბათუმიდან პაფლაგონიამდე გადაჭიმული ტრაპიზუნტის სამეფოს ძირითადი მოსახლეობა ლაზები ა. მაგალითად, ნიკიფორე გრიგორასი ტრაპიზონის იმპერიის პირველ კეისარს ალექსი კომნენს (1204—1222) იხსენიებს როგორც — „კოლხეთის ქვეყნის მფლობელს“, „კოლხთა და ლაზთა ქვეყნის მფლობელს“, ან მარტივად, როგორც „ლაზს“. ირკვევა, რომ ბიზანტიელი კეისრებიც ასეთივე ტიტულით მიმართავდნენ ტრაპიზონის მეფეებს, რადგანაც ეს მათი ოფიციალური ტიტული იყო.

მიქელ პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკა“ ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა ამ სახელმწიფოს ისტორიის შესწავლისათვის. მასში გადმოცემულია ტრაპიზონის სამეფოს ისტორია მისი დაარსებიდან (1204 წ.) მეთხუთმეტე საუკუნის პირველ მეოთხედამდე. „ტრაპიზონის ქრონიკა“ ჩვენთვის ძვირფასია იმიტომაც, რომ ეს არის პირველი ნაწარმოები ბიზანტიური მწერლობისა, სადაც მოხსენებულია თამარ მეფე.

ტრაპიზონის ისტორიის ერთ-ერთი საჭირბოროტო საკითხია იმის გარკვევა, თუ როგორ შეძლო ამ სამეფომ დამოუკიდებლად არსებობის შენარჩუნება ბიზანტიის იმპერიის აღდგენიდან (1261 წ.) კიდევ ორი საუკუნის განმავლობაში. სიმონ ყაუხჩიშვილს მიქელ პანარეტოსის მასალების შესწავლის საფუძველზე ამ საკითხის ასეთი ახსნა აქვს წარმოდგენილი: „ერთ-ერთი შესაძლებელი ახსნა ის იქნება, რომ ჩვენ ვაღიაროთ: „ტრაპიზონის სამეფოს“ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქართული ტომისაგან, ჰანებისაგან, შედგებოდა და ეს სამეფო პოლიტიკურადაც საქართველოს სახელმწიფოებრიობასთან იყო დაკავშირებული. და მიქელ პანარეტოსის „ქრონიკაში“ უხვად არის მასალა ბიზანტიის მთავრობის ბრძოლის შესახებ ტრაპიზონის სამეფოს წინააღმდეგ მის ჩამოსაშორებლად საქართველოს სახელმწიფოებრიობისაგან“ (გვ. 164).

ამ სავსებით საღ აზრს გვინდა დავუმატოთ, რომ საქართველოს სამეფოც, თავისი ღონისძიებებით, ხელს უწყობდა ტრაპიზონის ქვეყანას დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში და მონღოლთა ბატონობის მძიმე წლებშიც კი არ შეუწყვეტია ეკონომიური კავშირი და პოლიტიკური მხარდაჭერა ქართული ტომებით დასახლებული ამ სახელმწიფოსათვის.

„გეორგიკის“ VII ტომს დამატებად აქვს დართული „ბიზანტიურ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი“, შედგენილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ.

**„გეორგიკის“ მერვე ტომი** 1970 წელს გამოიცა. ამ ტომში გამოქვეყნებული მასალა უმთავრესად დოკუმენტური ხასიათისაა. „ათონის ივერთა მონასტრის აქტებს (ხრისობულები, სიგელ-გუჯრები, პრაქტიკონები)“ 122 — 270 გვერდები უჭირავს, ხოლო „ბიზანტიურ-ქართულ დოკუმენტირებულ ლექსიკონს — 271-დან 310 გვერდამდე. ტომში წარმოდგენილი არიან ისტორიკოსები და ქრონოგრაფოსებიც.

ტომი იხსნება თესალონიკის მიტროპოლიტის ევსტათის კომენტარებით. ისინი უმთავრესად ძველ წყაროებს ეყრდნობიან (ევმელიოს კორინთელს, ჰეროდოტეს, იოანე ლიდეს და სხვა.). მათში ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ა ი ა ს გაიგივება კ ო ლ ხ ე თ თ ა ნ. ს. ყაუხჩიშვილი ევსტათის ამ ცნობის გამო შეგვახსენებს „გეორგიკის“ წინა ტომებში მის მიერ არაერთხელ გამოთქმულ აზრს, რომ „აიაიე“ ჰომეროსის მიერ არის „ნახმარი კოლხეთის ნაცვლად“. რომ, იოანე ლიდეს ცნობით, „კოლხებს ამჟამად ლაზებს ეძახიან ჰეგემონობისათვის“ და რომ მომდევნო ხანაში ასეთი რამ ტრადიციად იქცა, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომთა პრიორიტეტული მდგომარეობის მიხედვით ქვეყნის (რეგიონის) სახელიც იცვლებოდა. ასე გაჩნდა: კოლხთა მიხედვით — კოლხეთი, ეგრთა მეთაურობით — ეგრისი, ქართთა პრიორიტეტით — ქართლი, აბაზგთა ჰეგემონობით — აფხაზეთი და ა. შ.

ამ ახსნას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ძველი სახელწოდებების შესწავლისათვის. რამდენადაც ზოგიერთ მეცნიერს დასავლეთში და, სამწუხაროდ, ჩვენშიც ეს არ ესმის, სწორად არა აქვს გაგებული აია-კოლხეთის ურთიერთმიმართება. უფრო მეტიც, აიას არსებობას საერთოდ უარყოფენ და, თუ აღიარებენ, მიაჩნიათ, რომ ეს კოლხეთი არ იყო.

მომდევნო ავტორი, რომელსაც სიმონ ყაუხჩიშვილი მკითხველს აცნობს, ანტიოქიის პატრიარქი თეოდორე ბელსამონია. მისი ცნობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას ეხება. საქართველოს ეკლესიური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ვ ა ხ ტ ა ნ გ გ ო რ გ ა ს ა ლ მ ა დაიწყო. 680 წელს ქართლის კათალიკოსმა დამოუკი-

დებლობა მიიღო. XI ს-ის შუა ხანებში კვლავ აღძრულა საკითხი საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის თაობაზე და იგი დადებითად გადაწყვეტილა ანტიოქიის პატრიარქის პეტრე III-ის დროს (1053—1057 წწ.). თეოდორე ბალსამონის ცნობა (გვ. 18) კარგად ადასტურებს ამ ფაქტის სისწორეს. თეოდორეს კი, როგორც ანტიოქიის პატრიარქს (1185—1191 წწ.), უნდობლობას ამ საკითხში ვერ გამოვუცხადებთ. ყურადღებას იპყრობს ს. ყაუხჩიშვილის შენიშვნა: 1906 წ., როცა პეტერბურგში სინოდის სხდომაზე ირჩეოდა „კავკასიაში ეკლესიის საქმეთა მოწყობის საკითხი“, მოშველიებულ იქნა ბალსამონის ცნობაც, საიდანაც, როგორც იქ ითქვა, „არავითარ შემთხვევაში არ გამომდინარეობს უარყოფითი პასუხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე“. (გვ. 20).

საფუძვლიანი განმარტებები აქვს დართული XV ს-ის ბიზანტიელი მწერლისა და სახელმწიფო მოღვაწის გიორგი სფრანძესის საისტორიო ნაშრომებს. უკანასკნელ ხანებამდე მას აკუთვნებდნენ ორ თხზულებას „ხრონონიკონ მონუს“ და „ხრონონიკონ მაიუსს“. მაგრამ უკანასკნელი სფრანძესის არ აღმოჩნდა, პირველს კი, რადგან იგი დღიურების სახითაა ჩაწერილი, ჩვეულებრივ „მემუარებს“ უწოდებენ.

„მემუარებში“ საქართველოს შესახებ დაცული მასალის ღირსება ისაა, რომ ავტორი თვითმხილველი და თავისი დროის ბრწყინვალე ლიტერატორია. გიორგი სფრანძესი 1449 წელს გამოგზავნილი იყო ბიზანტიის კეისრის მიერ „იბერიის მეფე“ გიორგი VIII-სთან იმპერატორ კონსტანტინე XI-ისათვის საცოლის შესარჩევად. სიმონ ყაუხჩიშვილი განმარტავს, რომ ეს გარეგნული საბაბი იყო. ნამდვილი მიზეზის გამოსაცნობად კი საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოებანი: საქორწინო-დიპლომატიური მისია შედგა იმ დროს, როცა ოსმალო-თურქები ზედ კონსტანტინოპოლის ზღურბლთან არიან მომდგარი და იმპერიის მდგომარეობა კატასტროფული გახდა. ამ დროს რეალურად არ მოჩანს, რომ ტახტზე ახალასულ კონსტანტინე XI-ს საქართველოში გამოეგზავნოს სფრანძესი საცოლეს შერჩევისათვის. მას საქართველო უფრო პოლიტიკურ მოკავშირედ ესაჭიროებოდა. დიპლომატიურ-საქორწინო მისიის ძირითადი მიზანიც ეს იყო. ამას

ადასტურებს „მემუარების“ ზოგიერთი ადგილიც, რომელთაც სფრანძესის თემასთან უშუალო კავშირი არა აქვს, მაგრამ მათზე ავტორი მაინც ჩერდება.

ამავე ტომში მოთავსებულია „ათონის ივერიის მონასტრის ბერძნული სიგელები“ ქართული თარგმანით და განმარტებებით. ყველა ბერძნული სიგელი შედარებულია ქართულ წყაროებში მოძიებულ მასალებთან.

აქ მკითხველი ეცნობა ბიზახტია-საქართველოს კულტურულ-მეცნიერული ურთიერთობის საკითხებს. ვეცნობით იმ ქართველ მოღვაწეებს, რომელთაც არა მარტო კავშირი ჰქონდათ ბიზანტიის კულტურულ ცხოვრებასთან, არამედ მთელი სიცოცხლე ბიზანტიაში გაატარეს და იქ დიდად ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდნენ.

სიმონ ყაუხჩიშვილი ნარკვევში, რომელიც თან ერთვის გამოქვეყნებულ მასალას, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მთაწმინდაზე მოთავსებული 20 მონასტრიდან ათონის ივერთა მონასტერი ყველაზე მდიდარი იყო ხელნაწერებით. „ათონის ივერთა მონასტრის საბუთებს“ ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვთ სამონასტრო მიწათმფლობელობის საკითხების გარკვევისათვის. მათში ბევრი ისეთი ცნობაც მოიპოვება, რომლებიც საქართველოს ისტორიის სპეციალისტებს აუცილებლად დააინტერესებთ.

„გეორგიკის“ მერვე ტომში გრძელდება „ბიზანტიურ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონის“ ბეჭდვა. როგორც ს. ყაუხჩიშვილი შენიშნავს: ლექსიკონში, მართალია, „გეორგიკის“ კრებულებში შესული მასალების „მსგავსი არაფერია, მაგრამ რამდენადაც ეს „ლექსიკონი“ ასახავს ბიზანტია-საქართველოს ენობრივი (და, ვიტყოდი, ლიტერატურული) პარალელების შესასწავლად საჭირო მასალას“ (ტ. VII, გვ. VIII), ავტორმა შესაძლებლად ცნო იგი „გეორგიკაში“ დაებეჭდა. „ბიზანტიურ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი“ მხოლოდ ნიმუშია იმ დიდი მუშაობის შედეგად შექმნილი შრომისა, რომელსაც „მასალები ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონისათვის“ ეწოდება და რომელზეც ს. ყაუხჩიშვილი 1915 წლიდან მუშაობს.

როგორც „გეორგიკის“ ზოგადმა მიმოხილვამ გვიჩვენა, ამ სერიაში განხილულია მხოლოდ ბიზანტიური ეპოქის მასალა. რაც შეეხება ანტიკური ხანის ბერძენ მწერლებს, მათი ცნობების მოკლე

მიმოხილვა ს. ყაუხჩიშვილს მოცემული აქვს წიგნში „რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ“ (1964 წ.). ამ წიგნში აღძრულ საკითხებზე მკითხველის ყურადღებას აღარ შევაჩერებთ, რამდენადაც ბევრი მათგანის შესახებ ზემოთ უკვე იყო საუბარი.

## „ქართლის ცხოვრება“

საგანგებო კვლევის საგანია ს. ყაუხჩიშვილის, ვითარცა საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნისა და პუბლიკატორის, ნაღვაწი. მისი მაღალი ხელოვნება ტექსტოლოგიაში განსაკუთრებული რელიეფურობით გამოჩნდა „ქართლის ცხოვრების“ გამოცემებით.

ძველი ქართული ტექსტების გამოცემა ძნელი და რთული საქმეა. ამისათვის საჭიროა ძეგლის ენის საფუძვლიანი ცოდნა, სპეციალური ფილოლოგიური მომზადება, ტექსტოლოგიური მეცნიერების ხერხებისა და მეთოდების დაუფლება, ფართო ლიტერატურული განათლება, განსაკუთრებული დაკვირვების უნარი და დიდი შრომისმოყვარეობა. ყველაფერი ეს უხვად აქვს მინიჭებული სიმონ ყაუხჩიშვილს. მაგრამ „ქართლის ცხოვრების“ გამოცემისათვის საჭირო იყო უფრო მეტიც: საქართველოს ისტორიის და ამ ისტორიის შესახებ არსებული ლიტერატურის პრეციზიული ცოდნა. სიძნელეთა შორის მცირე ადგილი როდი ეჭირა გამოსაცემი ძეგლის სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქართული აზროვნების, ერის ფსიქოლოგიური შეგნების გამომუშავების საქმეში.

სამართლიანად წერდა აკად. ნ. ბერძენიშვილი: „იდეურ-პოლიტიკურად ფეოდალური საქართველოს ცივილიზაცია სამ სვეტს ემყარებოდა. სახარება, „ვეფხისტყაოსანი“ და „ქართლის ცხოვრება“ იყო გამარჯვებული ფეოდალური ურთიერთობის სამი „წმინდა წიგნი“. სახარებას (ქრისტიანობას) იმდენი წილი ედო ქართული ფეოდალური კულტურის განმტკიცების საქმეში, რომ „ქართველი“ ქრისტიანობის (ქალკედონურის) სინონიმად იქცა. არანაკლები მნიშვნელობისა იყო ფეოდალური საქართველოს კულტურული სახის გამოკვეთის საქმეში „ვეფხისტყაოსანი“, ფეოდალური სა-

ქართველოს ეს ჰიმნი, ქართული ფეოდალური ზნეობის ეს კოდექსი. „ქართლის ცხოვრება“ კი ფეოდალური საქართველოს მეცნიერულ-ისტორიულ დასაფუძვლებას ემსახურებოდა (ქართლის წარმოშობა, ზრდა-განვითარება, საქართველოს ეროვნული დადგინება, აყვავება)“[1].

ს. ყაუხჩიშვილს, როცა იგი „ქართლის ცხოვრების“ გამოცემას შეუდგა, კარგად ჰქონდა გათვალისწინებული ამ ძეგლის სრულიად განსაკუთრებული ადგილი „ქართული ცივილიზაციისათვის“. ეს საუცხოოდ ჩანს მისივე გამონათქვამიდან: „ქართლის ცხოვრება“ წმინდა წიგნად იყო მიჩნეული, რადგან იგი შეიცავდა ქართველთა წარსული ცხოვრების ისეთ მიმოხილვას, რომელსაც უნდა აღეზარდა ახალგაზრდობა მაღალი მორალის მცნებებზე. „ქართლის ცხოვრების“ ცალკეულ ავტორთა ამოსავალ წერტილს... წარმოადგენდა ის უპყევი დებულება, რომ „ქამთააღმწერლობა ჭეშმარიტის მეტყველება არს“ (ტ. II, გვ. 955). ამიტომაც იყო, „რომ ქართული ფეოდალური საზოგადოება ყოვლად დაჯერებული იყო „ქართლის ცხოვრების“ ცნობათა სანდოობაში და ამდენადვე „ქართლის ცხოვრება“ ამ საზოგადოებისათვის მეცნიერული ისტორია იყო“[2].

ასეთი საღი მსჯელობისას ს. ყაუხჩიშვილი არ ივიწყებს ილია ჭავჭავაძის, დ. ბაქრაძის და სხვა ქართველ სამოციანელთა საყვედურებს „ქართლის ცხოვრების“ არსებითი ნაკლის შესახებ. ამ ნაკლის შემჩნევა XIX საუკუნეში ან ჩვენს დროში ძნელი არ არის, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ „ქართლის ცხოვრება“ თანამედროვე იდეების საქადაგოდ კი არ არის შექმნილი, არამედ იგი ფეოდალურ ურთიერთობათა გამარჯვების იდეოლოგიური უკუფენაა და მაშინდელი თვალსაზრისით სრულიად მართალ სურათს ასახავს.

ეს სრულიად მარტივი ფაქტი დღემდე იწვევს გაუგებრობას. ახლაც ხშირად გაიგონებთ „ქართლის ცხოვრების“ მისამართით მრავალგვარ საყვედურს. იშვიათია ისეთი მეცნიერი, პოლიტიკური მოღვაწე თუ მწერალი, რომელიც საისტორიო თხზულებათა ამ კრებულს მის საკადრის სამართლიან ფასს სდებდეს. აძის საუკეთესო

[1] იხ. აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, სტატიების კრებული, 1966, გვ. 7.

[2] იქვე, გვ. 8.



მაგალითი იყო ის შეტევა, რაც ს. ყაუხჩიშვილის წინააღმდეგ „ქართლის ცხოვრების“ პირველი ტომის გამოცემისათვის წამოიწყეს. გაუგებრობა იქამდეც კი მივიდა, რომ ლეონტი მროველის

ზოგიერთი მოსაზრება მას მიაწერეს და ლეონტის მაგივრად აკრიტიკებდნენ კიდეც[1].

ს. ყაუხჩიშვილი ჩვეული სიმშვიდით შეხვდა ამ გაუგებრობას. მას კარგად ესმოდა, რა დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებდა. მთავარი ის კი არ არის, ნაკლი აღმოვაჩინოთ „ქართლის ცხოვრებაში“, არამედ საჭიროა ღრმად შევისწავლოთ იგი, მეცნიერულად მივუდგეთ მის ცნობებს; „ქართლის ცხოვრებაში“ ფეოდალური საქართველოს „იდეოლოგიური შენამოქმედი“ დავინახოთ და იგი იმით დავძლიოთ, რომ ჩვენი დროის შესაფერი „ქართლის ცხოვრება“ შევქმნათ:

ეს რომ გავაკეთოთ, ამისათვის აუცილებელი იყო ხელთ გვქონოდა „ქართლის ცხოვრების“ კრიტიკული, მეცნიერული გამოცემა. ს. ყაუხჩიშვილიც დიდი ცოდნით, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით და სიფრთხილით შეუდგა ამ დიდებული ეროვნული საქმის განხორციელებას. და თუ დღეს ქართველი კაცის კულტურულ მაგიდაზე უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ გვერდით „ქართლის ცხოვრების“ ბუმბერაზი ტომებიც დევს, ეს მხოლოდ აკადემიკოს ს. ყაუხჩიშვილის მიერ გიგანტური შრომით ხორცშესხმული მეცნიერული გმირობის წყალობაა. ქართველი კაცი უკვდავების შარავანდედით მოსავს ამ დიდი მეცნიერული გმირობის შემოქმედს. „ქართლის ცხოვრების“ გამოცემის საქმეში ს. ყაუხჩიშვილის დამსახურების აღსანიშნავად უპრიანი იქნება მოვიგონოთ გიორგი ათონელის სიტყვები, თქმული ექვთიმე მთაწმინდელის მიმართ: „ეგევითარი... არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩვენსა დავჰგონებ, თუ არცაღა გამოჩინებად არს“.

„ქართლის ცხოვრებამ“, როგორც მეცნიერულმა ნაშრომმა, ჯერ კიდევ ვახტანგ VI ყურადღება მიიპყრო. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ქართული ფეოდალური კულტურის ეს დიდი მოამაგე „სახარებით“, „ვეფხისტყაოსნით“ და „ქართლის ცხოვრებით“ ერთდროულად დაინტერესდა. „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელება-რედაქტირების მიზნით გატარებული მისი ღონისძიებანი ამ „პატიოსანი წიგნის“ დიდი ღირსებების, ფეოდალური საზოგადოებისათვის მისი აუცილებლობის საყოველთაო აღიარება იყო.

[1] იხ. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 2 მარტი, 1957 წ.

„ქართლის ცხოვრების“ მეცნიერული შესწავლა პირველმა ქართველმა აკადემიკოსმა თეიმურაზ ბაგრატიონმა წამოიწყო, მისი დახმარებით და ხელმძღვანელობით ამ საქმეს შემდგომში აგრძელებს პარიზიდან პეტერბურგში გადმოსახლებული, მაშინ (1837 წ.) ახალგაზრდა მეცნიერი მარი ბროსე. ქართული კულტურის ამ დიდმა მოამაგემ გამოსაცემად მოამზადა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის განკარგულებით საისტორიო თხზულებათა ეს კრებული პირველად დაიბეჭდა პეტერბურგში 1848 წელს. მარი ბროსემ „ქართლის ცხოვრება“ ფრანგულ ენაზედაც თარგმნა და იმავე წელს გამოსცა კიდეც. ამით მან ეს ძეგლი ევროპის სამეცნიერო წრეებისათვის ხელმისაწვდომი გახადა.

გამოქვეყნებულ ტექსტს ბროსემ ორივე გამოცემის (განსაკუთრებით კი ფრანგული თარგმანის) სქოლიოებში მრავალი საგულისხმო კომენტარი გაუკეთა. ზოგიერთ მათგანს თავისი სამეცნიერო მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს.

მუშაობა პეტერბურგში „ქართლის ცხოვრების“ ირგვლივ ამის შემდეგ კიდევ უფრო გაფართოვდა. დავით ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით და რედაქციით 1854 წ. გამოქვეყნდა „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომი. მასში შევიდა ვახუშტი ბატონიშვილის თხზულების საისტორიო ნაწილი და XVIII ს-ის სხვა ავტორთა თხზულებანი.

აკადემიკოსმა მარი ბროსემ გამოავლინა და შეისწავლა მრავალი საარქივო მასალა, რომელთაც, მისი აზრით, ერთგვარი კავშირი ჰქონდათ „ქართლის ცხოვრებასთან“. ეს მასალები და ფრანგული სრული ტექსტი „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანისა ბროსემ 1851 წელს გამოსცა სახელწოდებით „დამატებანი და განმარტებანი „ქართლის ცხოვრებისა“. „ქართლის ცხოვრების“ ბროსესეული გამოცემა მალე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, თანაც ძვირად ფასობდა. მისი შეძენის გაიოლების მიზნით იგი ნაკვეთ-ნაკვეთად და უცვლელად გადმობეჭდა ზ. ჭიჭინაძემ 1897—1908 წლებში.

პირველი გამოცემის განსაკუთრებული სამეცნიერო ღირებულების გამო საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ მიზანშეწო-

ნილად მიიჩნია მისი განმეორებით გამოცემა. 1923 წელს ნიკო მარის თვალმიდევნებით პეტროგრადში დაიბეჭდა ბროსესეული „ქართლის ცხოვრების“ პირველი ნაკვეთი.

1884 წ. დ. ბაქრაძემ მოიკვლია XVII ს-ის ხელნაწერი „ქართლის ცხოვრების“ ე. წ. მარიამისეული ნუსხა, რომელიც 1906 წელს თბილისში გამოსცა ექვთიმე თაყაიშვილმა.

1923 წ. ივანე ჯავახიშვილმა აღმოაჩინა „ქართლის ცხოვრების“ აწა დედოფლისეული ხელნაწერი, 1476—1495 წლებისა. „ქართლის ცხოვრების“ ეს ვარიანტი 1942 წელს გამოკვლევით და კომენტარებით გამოაქვეყნა ს. ყაუხჩიშვილმა.

„ქართლის ცხოვრების“ ყველა ზემონახსენები გამოცემა მხოლოდ თითო ხელნაწერს ეყრდნობოდა, თანაც ბროსეს გამოცემიდან ას წელზე მეტი გავიდა, ჩვენი ცოდნა ქართულ წყაროთმცოდნეობასა და საქართველოს ისტორიაში დიდად წავიდა წინ. მოპოვებულ იქნა „ქართლის ცხოვრების“ ახალი, ვახტანგ VI-ის წინადროინდელი ხელნაწერები.

„ქართლის ცხოვრების“ კრიტიკული გამოცემა დღის წესრიგში დადგა.

1945 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ფილოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელს ს. ყაუხჩიშვილს დაევალა „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერთა შესწავლა და ტექსტის გამზადება გამოსაცემად ყველა ძირითადი ნუსხის მიხედვით. სხვადასხვა ნუსხათა ტექსტებზე 1945—1950 წწ. იმუშავეს ფილოლოგიის განყოფილების მუშაკებმა მ. კახაძემ, ნ. ჯავახიშვილმა, ნ. საბაშვილმა, თ. ბრეგაძემ, უმთავრესი სამუშაო კი სიმონ ყაუხჩიშვილმა შეასრულა.

1955 წელს გამოქვეყნდა **„ქართლის ცხოვრების“ პირველი ტომი,** ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ.

გამოცემას წინ უძღვის რედაქტორის შესავალი წერილი, სადაც განხილულია საკითხები: 1. „ქართლის ცხოვრების“ კრებულის მოცულობა და მისი შედგენილობის თანდათან ზრდა, 2. „ქართლის ცხოვრების“ ნუსხების მოპოვების ისტორია, 3. „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის ისტორია, 4. „ქართლის ცხოვრების“ ძეგლთა წყაროებისათვის, 5. „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის კო-

ნიექტურები, 6. „ქართლის ცხოვრების“ ძეგლთა ენა და 7. „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერები. ტექსტს თან ერთვის საძიებლები და ლექსიკონები.

„ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს“ ე ს გ ა მ ო ც ე მ ა ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ა: დადგენილ ტექტს, როგორც წესი, თან ახლავს დაწვრილებით შედგენილი კითხვა-სხვაობანიც ყველა ძირითადი ხელნაწერიდან. აქ მაქსიმალური სისრულითაა წარმოდგენილი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტზე საუკუნეთა განმავლობაში წარმოებული რედაქციულ მუშაობათა სურათი, გამოვლენილია გვიანდელი ნამატი ადგილები, მოცემულია თავდაპირველი ტექსტის აღდგენა-დადგენის ცდა.

შესრულებულ მუშაობას პროფ. კ. გ რ ი გ ო ლ ი ა ასე აფასებს: „თავისი მოცულობითა და მნიშვნელობით ეს უდიდესი და ურთულესია იმ სამუშაოთა შორის, რომელიც ამ ძეგლის გარშემო შესაძლებელია ადამიანმა წარმოიდგინოს. რედაქციის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მან ამ მიმართულებით დიდი წარმატებები მოიპოვა“[1].

„ქართლის ცხოვრების“ პირველ ტომში შევიდა ის საისტორიო თხზულებანი, რომლებშიც გადმოცემულია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XII საუკუნემდე. ტექსტი აქ დაყოფილი და დასათაურებულია მეფეთა ზეობის მიხედვით, სწორედ ისე, როგორც ამას ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებში აქვს ადგილი. თანაც ყოველ ცალკე შემთხვევაში სქოლიოებში მითითებულია ის ხელნაწერები, რომლებშიც ასეთი დასათაურება არსებობს.

შესავალ წერილში დიდი ადგილი აქვს დათმობილი „ქართლის ცხოვრების“ ძეგლთა წყაროების დადგენის საკითხს. კერძოდ, გარკვეულია, რომ სუმბატის „ქრონიკის“ მეორე ნაწილი დაწერილია „მატიანე ქართლისაჲს“ შესაბამისი ადგილის მიხედვით. ასევე სიმონ ყაუხჩიშვილს მიგნებული აქვს ტექსტუალური დამთხვევანი „მატიანე ქართლისაჲსა“ და გიორგი კედრენეს „ისტორიას“ შორის. ამ მიგნებით ისახება შესაძლებლობა პირველი მათგანის უფრო ზუსტად დათარიღებისათვის.

---

[1] ჟურნ. „მნათობი“, 1956, № 4, გვ. 186.

1957 წ. ცნობილი გერმანული ბიზანტინოლოგიური ჟურნალის „ბიზანტინიშე ცაიტშრიფტის“ 50-ე ტომში გამოქვეყნდა უპსალის (შვეცია) უნივერსიტეტის პროფესორის ე. გრენის რეცენზია „ქართლის ცხოვრების“ პირველი ტომისა. რეცენზენტის თქმით, სიმონ ყაუხჩიშვილისეული გამოცემა მეცნიერთა დიდი ხნის ნატვრის ასრულებაა, რადგან ყველა ხელნაწერის მიხედვით დადგენილ ტექსტს სრული კრიტიკული აპარატი და აგრეთვე შენიშვნებიც ახლავს. ე. გრენის საჭიროდ და სასურველად მიაჩნია „ქართლის ცხოვრების“ ამ გამოცემის რუსული თარგმანის რაც შეიძლება სწრაფად გამოცემა.

ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **სიმონ ყაუხჩიშვილის** მიერ დადგენილი **„ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომი** გამოვიდა 1959 წელს. „წინამდებარე მეორე ტომში, — ვკითხულობთ წინასიტყვაობაში, — შევიდა XII საუკუნიდან დაწყებული ყველა დანარჩენი თხზულება, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ შედიოდა და რომლებიც ეხება XII—XVII საუკუნეთა ისტორიას, სახელდობრ: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, მონღოლთადროინდელი ისტორია“ და XIV—XVII საუკუნეთა ისტორიის შემცველი სამი თხზულება“.

ამ ტომსაც წინ უძღვის ვრცელი შესავალი წერილი, რომელშიც განხილულია შემდეგი საკითხები: 1. „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალი თხზულებები, 2. „ქართლის ცხოვრების“ ნუსხათა ურთიერთდამოკიდებულება, 3. „ქართლის ცხოვრების“ ძეგლთა წყაროებისათვის, 4. „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის კონიექტურები, 5. „ქართლის ცხოვრების“ ცნობები, 6. „ქართლის ცხოვრების“ ძეგლთა ენა. აქაც ისევე, როგორც პირველ ტომში, ტექტს თან ერთვის სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონი და საძიებლები. აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ ორივე ტომი დაბეჭდილია საგანგებოდ შერჩეული, სასიამოვნოდ საკითხავი შრიფტით. საერთოდ, მთელი გამოცემა განსაკუთრებული მზრუნველობითა და სიყვარულით არის შესრულებული.

როგორც ჩამოთვლიდან ჩანს, შესავალ წერილში სიმონ ყაუხჩიშვილი საკითხთა ფართო წრეს იხილავს. დასაწყისშივე ავტორი

გადმოგვცემს „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომში შესულ თხზულებათა მოპოვებისა და გამოცემის ისტორიას. აქვეა სპეციალისტთა შეხედულებანი ცალკეული თხზულების ავტორთა შესახებ, თანაც მთელი მასალა დახასიათებულია მისი სანდოობა-ვარგისობის მიხედვით.

შესავლის მესამე თავში სიმონ ყაუხჩიშვილი იკვლევს „ქართლის ცხოვრების“ ძეგლთა წყაროებს. საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული ჟამთააღმწერლის მონღოლურ წყაროთა შესახებ.

ორიგინალურ შეხედულებას ავითარებს სიმონ ყაუხჩიშვილი ლეონტი მროველის გამონათქვამის — „ქართლოსიანთა ენა სომხური იყოს“ — გაგების. მისი აზრით, აქ საუბარია ქართული ენის იმ დიალექტზე, რომელზედაც ქართულ პროვინცია სომხითში ლაპარაკობდნენ. ამ რაიონის მეზობლად შემდეგში ბოსტურ-ანდრეევროპელ არმენებს ქართველებმა სომხები უწოდეს და „ქართლოსიანთა ენა სომხური იყო“ არასწორად იქნა გაგებული (გვ. 057).

შესავლის ყველაზე ვრცელი და, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული საბუთიანობით დაწერილი თავია „ქართლის ცხოვრების“ ძეგლთა ენა“. აქ გარკვეულია ბევრი სპეციალური, ფილოლოგიური საკითხი.

„ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს“ მესამე ტომი სიმონ ყაუხჩიშვილს დიდი ხანია გამზადებული აქვს დასაბეჭდად, მაგრამ ჯერჯერობით მისი გამოქვეყნება ვერ მოხერხდა. ამ ტომში თავმოყრილია შემდეგი მასალა: 1156 — 1213 წლების ისტორია, შედგენილი ვახტანგის „სწავლულ კაცთა“ კომისიის მიერ, ზოგიერთი ის წვრილი თხზულება, რომელიც ხელთ ჰქონდა ვახუშტის (მაგ., „მესხური დავითნის მატიანე“) და „ქართლის ცხოვრების“ გადამუშავებული ვარიანტის ავტორს (მაგ., ე. წ. „პარიზის ქრონიკა“) და, რომელთაც შემოუნახავთ ძველი მატიანეებიდან ამოღებული ვრცელი ამონაწერები. ტომისათვის რედაქციას შედგენილი აქვს ვრცელი გამოკვლევა: „ქართლის ცხოვრების“ ნუსხათა შესახებ“.

**„ქართლის ცხოვრების“ მეოთხე ტომი** 1973 წელს გამოიცა. ეს ტომი შეადგინა ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს ნაშრომმა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ტექსტი აქაც ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით დადგენილია ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თავდაპირველად ვახუშტის თხზულების „ქართლის ცხოვრებაში“

შეტანა არ ყოფილა გადაწყვეტილი[1]. მეცნიერი ბატონიშვილის შრომის „ქართლის ცხოვრების" სახელწოდებით გამოცემას წინ უძღოდა სიმონ ყაუხჩიშვილის ხანგრძლივი ძიება ვახუშტის თხზულების შესწავლის მიზნით. ამ ძიების შედეგები გადმოცემულია IV ტომის შესავალ წერილში.

უპირველეს ყოვლისა შევჩერდეთ სიმონ ყაუხჩიშვილის უმთავრეს დებულებაზე. ეს დებულება ავტორს შემდეგნაირად აქვს გადმოცემული: „ვახუშტის ძირითადი მიზანი იყო შეექმნა საქართველოს მთლიანი ისტორია დასაბამიდან XVII—XVIII საუკუნეებამდე," მან „არსებული ნუსხების მიხედვით წარმოადგინა შემოკლებული ისტორია XIV საუკუნემდე... რაც შეეხება „საქართველოს ისტორიის ახალ ნაწილს, XIV — XVIII საუკუნეების ისტორიას, ეს მთლიანად ორიგინალურია და დაწერილია საკუთრივ ვახუშტის გეგმით. „საქართველოს ისტორიის" ახალი ნაწილის ორიგინალურობა მარტო იმაში კი არ გამოიხატება, რომ ამ პერიოდის ისტორიული ფაქტები თვით ვახუშტის მიერ არის მოპოვებული და გაანალიზებული, არამედ იმაში, რომ სრულებით ახლებურად წარმოადგინა ისტორიული გეოგრაფიის მნიშვნელობა ფაქტების დასადგენად... ვახუშტის ვერ წარმოედგინა ისტორია უგეოგრაფიოდ. ისტორიული პროცესების ჰეშმარიტი აღწერა შესაძლებელია მხოლოდ საისტორიო გეოგრაფიის გათვალისწინებით... ამგვარად, ჩვენს წინაშეა საქართველოს მთლიანი „ისტორია", რომელშიც გადმოცემულია ერის თავგადასავალი დასაბამიდან XVIII საუკუნემდე. ვახუშტის ამ ნაშრომს, ჩვენის აზრით, ეწოდება „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" (გვ. 07 — 08).

შემდეგ სიმონ ყაუხჩიშვილი ვრცლად ჩერდება სიტყვა „აღწერის" მნიშვნელობაზე ქართულში და მიდის დასკვნამდე, რომ „აღწერა" ნიშნავს ისტორიას, ხოლო აღმწერელი — ისტორიკოსს" (გვ. 011). ასეთ დასკვნას მხარს უჭერენ ვახუშტის შრომის ხელნაწერები. ჩვენამდე მოღწეულია ვახუშტის თხზულების ორ ათეულზე მეტი ნუსხა (მათ შორის ერთი ავტოგრაფი). არც ერთ მათგანში ისტორია და გეოგრაფია ერთმანეთისაგან არაა განცალკევებული. ყველა ხელნაწერში შრომა მთლიანადაა წარმოდგენილი.

[1] ამის შესახებ იხ. „ქ. ცხ-ის" II ტომის წინასიტყვაობა.

მაშ საიდან წარმოდგა შეხედულება, რომ ვახუშტის თითქოს საქართველოს გეოგრაფია დაეწეროს? ამ აზრის განმტკიცებაც დიდად შეუწყო ხელი ვახუშტის შრომების პირველმა გამოცემებმა. გამოცემათა ისტორია ასეთია:

1842 წ. მარი ბროსე პეტერბურგში გამოაქვეყნა ვახუშტის თხზულების ერთი ნაწილი (ქართულ და ფრანგულ ენებზე), რომელსაც უწოდა „ღეოღრაფიული აღწერა საქართველოსა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ“.

1854 წ. იქვე დ. ჩუბინაშვილის მიერ გამოცემულ „ქართლის ცხოვრების“ II ტომში დაიბეჭდა ვახუშტის ისტორიის XIV — XVIII საუკუნეთა შემცველი ნაწილი. ეს გამოცემა „საქართველოს ცხოვრების“ სახელწოდებით გაიმეორა ზ. ჭიჭინაძემ 1913 წელს.

1885 წ. ვახუშტის მიმოხილვა საქართველოს ძველი ისტორიისა (დასაბამიდან XIV საუკუნემდე), თბილისში, გამოაქვეყნა დ. ბაქრაძემ.

1903 წ. მ. ჯანაშვილმა გაიმეორა მ. ბროსეს გამოცემა „საქართველოს გეოგრაფიის“ სახელწოდებით. 1904 წელს კი მანვე დაბეჭდა ამ „გეოგრაფიის“ რუსული თარგმანი.

1941 წ. იგივე „გეოგრაფია“, გამოსცეს ნ. ბერძენიშვილმა და თ. ლომოურმა სახელწოდებით — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.

როგორც ეხედავთ, ვახუშტის თხზულება ყოველთვის იცემოდა ცალ-ცალკე, ნაწილების მიხედვით. არც ერთი წინა გამოცემა კრიტიკული არ ყოფილა. ამან შექმნა შთაბეჭდილება, თითქოს ვახუშტის დაეწეროს ორი თხზულება („ისტორია“ და „გეოგრაფია“). სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ „ქართლის ცხოვრების“ IV ტომის სახით გამოქვეყნებული ვახუშტის თხზულება შესრულებულია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, მაშასადამე იგი აკადემიური გამოცემაა, თანაც აღდგენილია ისტორიული სამართლიანობა ვახუშტის თხზულების მიმართ — იგი გამოცემულია მთლიანი სახით, ე. ი. ისე, როგორც ავტორმა დაწერა. ამით ნაწარმოების კომპოზიციური მთლიანობის შენარჩუნებასთან ერთად ვახუშტის, როგორც მოაზროვნის, თვალსაზრისიც, მისი ისტორიული კონცეფციაც დაცული

აღმოჩნდა. მეცნიერი ბატონიშვილი კი გარკვევით წერდა: „მატიანე (ისტორია — გ. მ.) განიყოფების ოთხ წილად: ადგილის აღწერად, ნათესავმეტყუელებად, წლისმრიცხუელობად და მოქმედების აღწერად" (გვ. 4).

შესავალ ნაწილში სიმონ ყაუხჩიშვილს ვახუშტის შრომასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხები აქვს განხილული. გარდა ნათქვამისა, მისი მსჯელობის სფეროში შემოდის ვახუშტის შრომის ავტოგრაფის დახასიათება, ვახუშტის მიმართება „ძველ ქართლის ცხოვრებასთან", ვახუშტის ცნობები „ახალი ქართლის ცხოვრებისათვის" და ვახუშტის მიმართ სრულიად უნიკალური გამოკვლევა „შენიშვნები ვახუშტის ენის შესახებ".

ცალკეა განხილული ვახუშტის კონცეფცია, როგორც ისტორიკოსისა. ივ. ჯავახიშვილი ვახუშტის ძლიერ მაღალ შეფასებას აძლევდა. „ვახუშტი XVIII საუკუნის ქართულ მწერლობაში უეპრო ბუმბერაზად წარმოგვიდგება" — წერდა იგი.

ს. ყაუხჩიშვილი ეთანხმება ამ შეფასებას და არკვევს ვახუშტის ადგილს ქართულ ისტორიოგრაფიაში. მისი აზრით, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის პირველ ოცეულში საქართველოში მეცნიერული აზრი განვითარების ისეთ საფეხურზე ავიდა, როცა შეიქმნა ნიადაგი ვახუშტის მაღალმეცნიერულ დონეზე შესრულებული საისტორიო თხზულებების წარმოშობისათვის. მართლაც, ამის დასტურად შეიძლება მოვიგონოთ სულხან-საბა ორბელიანის, ვახტანგ VI-ისა და დავით გურამიშვილის მოღვაწეობა, მათი დოქტრინები, დოგმები, დიდაქტიკური შეგონებანი, პოლიტიკური და ესთეტიკური შეხედულებები.

ამასთან მცირე მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა იმასაც, რომ „სრულ იქმნა შრომა ესე (ვახუშტის თხზულება — გ. მ.) ქრისტესაქეთსა ქორონიკონსა წლისასა 1745, ქართულსა 433, ოკდონბერს... მოსკოვის პრესნას" (გვ. 12). არ შეიძლებოდა რუსეთის კულტურულ წრეებთან კავშირს კეთილისმყოფელი გავლენა არ მოეხდინა ვახუშტიზე.

მიუხედავად ამისა, როცა ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემულ ვახუშტისეულ ვეებერთლა ფოლიანტს (1100 გვერდი) ხელებით და თვალებით მოეფერები, არ შეიძლება უნებურად არ გაიფიქ-

რო: კაცი, რომელიც სამშობლოში ყოფნისას პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობდა, ხან ყიზილბაშს ეომებოდა, ხან ურუმს უქნევდა ხმალს, ხან ლეკს ებრძოდა და, როცა გადამთიელთაგან მოიცლიდა ურჩი ფეოდალის მოთვინიერებაზე ზრუნავდა, როდისღა ნახულობდა დროს მეცნიერული მუშაობისა და თვითგანვითარებისათვის? ანდა: სამშობლოდან გადახვეწილს, სხვის კარზე სამოწყალოდ მყოფს რა აძლევდა ძალას და ენერგიას შორეული სამშობლოს შორეული წარსულის შესწავლა-გადმოცემაზე ასე თავდადებით ემუშავნა?

ამ კითხვებზე პასუხი პროფ. დ. გვრიტიშვილმა ასე ჩამოაყალიბა: „ვახუშტის ძალას და ენერგიას სამშობლოს სიყვარული აძლევდა. სამშობლოს სიყვარული კი ყველაფრის შემძლეა“[1].

ვახუშტის შრომასთან დაკავშირებით კითხვა სხვაგვარადაც შეიძლება დაისვას: რატომ მოხდა, რომ ვახუშტის შრომა 230 წელია არ კარგავს თავის დიდად აქტუალურ მნიშვნელობას? ასეთ შემთხვევაში აკად. ივ. ჯავახიშვილის შემდეგი სიტყვები უნდა მოვიგონოთ: „ვახუშტის შრომა საისტორიო წყაროების ეგოდენ საფუძვლიანი შესწავლისა და იმდროინდელი საქართველოს ყოფა-ცხოვრებისა და მდგომარეობის ღრმა დაკვირვების ნაყოფია, რომ შემდეგშიაც იგი მუდამ უკვდავ შარავანდედით იქნება მოსილი და ეროვნული მნიშვნელობა არ დაეკარგება“[2].

ვახუშტის მატიანე ქართული ისტორიოგრაფიის უბრწყინვალესი ძეგლია, ვრცელი პატრიოტული მოთხრობაა ქართველ ხალხზე, საქართველოზე, მის თავგადასავალზე. სიმონ ყაუხჩიშვილის გამოცემით იგი გიგანტური ტომი გამოვიდა, მაგრამ, როგორც გიორგი ნატროშვილი წერს: „მისმა სიდიდემ არ უნდა გაგვაკვირვოს, მასში მთელი საქართველოა ჩატეული დროსა და სივრცეში, თავისი ურიცხვი ომებით, ვაჟკაცობით, სიქველით, ავით და კარგით. დაწყებული უხსოვარი დროიდან XVIII ს-ის 50 წლებამდე, ჩატეულია თავისი მთებით, მდელოებით, ქალაქებით, სოფლებით,

---

[1] დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, III, 1968, გვ. 199.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 331.

ტყეებით, ისე რომ ერთი პატარა ხევიც კი არ დავიწყებია ავტორს და არც თვით ჩიტნი და სირნი, მშვენიერი — ჰრელნი და მომღერალნი. ვერც ერთმა ავტორმა ვერც ვახუშტის დრომდე და ვერც მერე ვერ შესძლო ასე ხილულად, ასე ცოცხლად დაენახა საქართველო, ასე დიდი შუქი მიენათებინა და ეჩვენებინა მარტო მიწა-წყალი კი არა, თვით მისი ადამიანები — კაცნი და ქალნი... ამიტომ პირდაპირ უნდა ითქვას: საბჭოთა საქართველო ვახუშტის ამაზე უკეთეს ძეგლს ვერ დაუდგამდა; თუმცა რატომ მარტო ვახუშტის — მთელ თავის ისტორიას"[1].

საბჭოთა საქართველოს მიერ ვახუშტისათვის დადგმული ამ დიდებული ძეგლის გამომჩუქურთმებელი აკად ს. ყაუხჩიშვილი ბრძანდება.

„ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს" გამოცემებზე გაწეული ტიტანური შრომა შესაფერისად დაუფასდა სიმონ ყაუხჩიშვილს. პირველი და მეორე ტომების გამოცემისათვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა მას თავისი უმაღლესი ჯილდო აკად. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს პ რ ე მ ი ა მიანიჭა. ხოლო ვახუშტის თხზულების გამოქვეყნებისათვის („ქართლის ცხოვრება", ტ. IV) სიმონ ყაუხჩიშვილი დაჯილდოებულ იქნა თბილისის უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდოთი — ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს პ რ ე მ ი ი თ.

სიმონ ყაუხჩიშვილის სამეცნიერო საქმიანობის დახასიათებისათვის აუცილებელია რამდენიმე სტრიქონით მაინც ვთქვათ იმ ღვაწლის შესახებ, რომელიც მან ივ. ჯავახიშვილის შრომების პუბლიკაციას დასდო. „საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, — წერდა პროფ. დ. გვრიტიშვილი, — პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილის დიდი ღვაწლი ივ. ჯავახიშვილის გამოუქვეყნებელი შრომების გამოცემის საქმეში. ჭეშმარიტად მის მხრებზე გადაიარა (და ამ საქმეს აგრძელებს დღესაც) იმ მძიმე შრომამ, რომელიც მათ გამოცემასთან არის დაკავშირებული"[2]

უნდა შევნიშნოთ, რომ სიმონ ყაუხჩიშვილმა არა მარტო ივ. ჯავახიშვილის გამოუქვეყნებელი შრომების გამოცემას დასდო დიდი

[1] გაზეთი „ლიტერატურული საქართველო", 1974 წ., 1 მარტი.

[2] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ივანე ჯავახიშვილი, 1968, გვ. 116.



თბილისის უნივერსიტეტის საჭეცნიერო კონფერენციაზე. 1936 წ. აპრილი.

ამაგი. საერთოდ მან ორჯერ გამოსცა „ქართველი ერის ისტორიის“ 4 წიგნი. თითოჯერ „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ (1945), „ქართველი ერის ისტორიის“ მეხუთე წიგნი (1953) და ივ. ჯავახიშვილის ზოგიერთი სხვა ნაშრომი.

პროფ. ს. ჯორბენაძე სიმონ ყაუხჩიშვილისათვის ივ. ჯავახიშვილის სახელობის პრემიის მინიჭების გამო გამოქვეყნებულ წერილში ასე ახასიათებდა ლაურეატის მიერ გაწეულ საქმიანობას:

„გადაჭარბება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ, მიუხედავად ივ. ჯავახიშვილის მოუცლელობისა მეცნიერულ-ორგანიზატორული მოღვაწეობის გამო, თუ ოციან წლებში მის ნაშრომთა ასე უხვად გამოცემა მოხერხდა — ამაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის სიმონ ყაუხჩიშვილს. თავის მხრივ ივანე ჯავახიშვილს თითქმის

არც ერთი წიგნი არ გამოუქვეყნებია იმ დროს, რომ გულითადი მადლობა არ გადაეხადოს ს. ყაუხჩიშვილისათვის. ქართული პალეოგრაფიის პირველი გამოცემისას, 1926 წელს, ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ჩემ მოვალეობად ვრაცხ მხურვალე, გულითადი მადლობა მოვახსენო ბ-ნ სვ. ყაუხჩიშვილს იმ დიდი დახმარებისათვის, რომელიც მან ამ წიგნის ბეჭდვის დროს გამიწია და ბეჭდვის მძიმე ტვირთის განაწილებით მის სათანადო გამოცემას ხელი შეუწყო“[1].

თვითონ სიმონ ყაუხჩიშვილი უსაზღვროდ ბედნიერად თელის თავს იმის გამო, რომ მას წილად ხვდა დიდი მასწავლებლის და უფროსი მეგობრის — ივანე ჯავახიშვილის მთელი რიგი ნაშრომების პირველად გამოქვეყნება, ან ხელახლა გამოცემა.

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომთა გამოცემაზე სიმონ ყაუხჩიშვილის მუდმივი ზრუნვა მადლიერი მოწაფის მიერ მასწავლებლის ამაგის დაფასების უჭკნობი ნიმუშია.

1976 წელს სრულდება დიდი ივანეს დაბადების 100 წელი. გადაწყვეტილია მისი თხზულებები 15 ტომად გამოიცეს. ამ გამოცემის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრია ივ. ჯავახიშვილის შრომათა პუბლიკაციის დიდი მოჭირნახულე აკად. სიმონ ყაუხჩიშვილი.

## 7. თხრობის დასასრულისათვის

ასეთია დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის სიმონ ყაუხჩიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მოკლე და ზოგადი მიმოხილვა.

ამ მიმოხილვიდანაც ჩანს, რომ სიმონ ყაუხჩიშვილს თავისი ხანგრძლივი, დაუცხრომელი კვლევა-ძიებითი მუშაობის შედეგად მეცნიერების მრავალ დარგში შეუტანია თავისი წვლილი, ფუძემდებლური შრომებით გაუმდიდრებია კლასიკური ფილოლოგია და ქართველოლოგია.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ სრულიად ვერაფერი ვთქვით ან ძლიერ მცირე ვთქვით ს. ყაუხჩიშვილის მეცნიერული ნაღვაწის ისეთ სფეროზე, როგორიცაა: ლექსიკოლოგია, რუსთველოლოგია,

[1] გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, 1974 წ. 8 თებერვალი.

მთარგმნელობითი მუშაობა, ენათმეცნიერული შრომები, ეტიძოლოგიური ნარკვევები, პალეოგრაფიული კვლევა-ძიება და ლიტერატურული კრიტიკა. ყველა აქ ჩამოთვლილ დარგში სიმონ ყაუხჩიშვილს ისე დიდი წვლილი აქვს შეტანილი, რომ მათი ზოგადი განხილვაც კი ერთი კაცის მიერ და ერთ ნარკვევში წარმოუდგენლად ძნელ საქმედ მიგვაჩნია.

ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა სიმონ ყაუხჩიშვილი — ბერძნული ლიტერატურის ისტორიის მარქსისტული სახელმძღვანელოს პირველ შემოქმედი, რამდენადაც, პირველ ყოვლისა, იგი კლასიკოს-ფილოლოგოსია, ბერძნული ენისა და ლიტერატურის დიდი მოტრფიალე და მესაიდუმლე.

ვცადეთ დაგვეხასიათებინა სიმონ ყაუხჩიშვილი — საქართველოს ისტორიის დაუცხრომელი მკვლევარი, მშობლიური ისტორიის წყაროთა მჩხრეკელი და განმაზოგადებელი.

**გვინდოდა მკითხველისათვის წარგვედგინა სიმონ ყაუხჩიშვილი —„ქართლის ცხოვრების“ პუბლიკაციის უანგარო მოამაგე, საქართველოს ისტორიის დიდი მესაიდუმლის** ივანე ჯავახიშვილის **თხზულებათა გამომცემელი.**

დაგვრჩა, ორიოდე სიტყვა ვთქვათ მისი პიროვნების შესახებაც.

სიმონ ყაუხჩიშვილში განსახიერებულია ქართველი კაცის ყველა საუკეთესო ღირსება. იგი არის სპეტაკი, თავაზიანი, გულმეამტკივარი, ალერსიანი, თავმდაბალი, კეთილი, პირდაპირი, კაცთმოყვარე და ქედმოუხრელი. მისი ინდივიდუალურობის ყველაზე უფრო დამახასიათებელი თვისებებია: მაღალნიჭიერება, შრომისმოყვარეობა და პუნქტუალობა. „ამ გარეგნულად სადა, უბრალოებითა და დიდი შინაგანი სიმდიდრით, უღრმესი ცოდნითა და ინტერესით აღჭურვილ ადამიანში განსახიერებულია ფუტკარივით ფუსფუსა, მშრომელი და დაუცხრომელი კაცის იდეალი“ (ა. ურუშაძე).

სამაგალითოა სიმონ ყაუხჩიშვილი, როგორც ოჯახის მამა და „მიწყივ მუშაკი“. მიუხედავად მეცნიერული მუშაობით გადატვირთვისა და ხანდაზმულობისა, ბევრი საოჯახო საქმის გაკეთება მას პირადად უხდება. იგი აქაც დაუზარებელი და დაუცხრომელია.

მის არც თუ ისე მრავალრიცხოვან ოჯახს შეიძლება მეცნიერთა ოჯახი ეწოდოს. ქალიშვილი თინათინი ცნობილი მეცნიერი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორია. სიძე დოცენტი ოთარ ჯინორია გოეთეს სამშობლოშიც კი ამ დიდი გერმანელი პოეტის შემოქმედების ავტორიტეტულ მკვლევარადაა მიჩნეული, შვილიშვილი დოც. გიორგი გელაშვილი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატია, მეორე შვილიშვილი ლია ჯინორია ფილოლოგია, ხოლო მისი მეუღლე რისმაგ გორდეზიანი — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

ფასდაუდებელია სიმონ ყაუხჩიშვილის დამსახურება საბჭოურ მეცნიერთა კადრების მომზადებაში. იგი საუცხოო პედაგოგი, ახალგაზრდობის სანიმუშო აღმზრდელია. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა ქართველ ელინისტთა, ბიზანტინოლოგთა, ისტორიკოსთა და ფილოლოგთა რამდენიმე თაობა. დღეს ქართველოლოგიაში იშვიათად თუ მუშაობს ისეთი კაცი, რომელსაც სიმონ ყაუხჩიშვილის კეთილი რჩევა და კონსულტაცია არ მიეღოს. უამრავი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია მომზადებულია მისი ხელმძღვანელობით ან გატანილია საპაექროდ მისი ოპონენტობით. კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტინოლოგიის ქართველი სპეციალისტები კი თითქმის ყველანი მისი აღზრდილნი არიან.

ამ დარგებში მისი დამსახურება ისე დიდია, რომ ახლა სამეცნიერო წრეებში ხშირად ლაპარაკობენ კლასიკოს-ფილოლოგთა ქართული სკოლის შესახებ, რომლის აღიარებული ხელმძღვანელი სწორედ აკად. სიმონ ყაუხჩიშვილია. მეცნიერების რომელიმე დარგში ეროვნული სკოლის შექმნა კი ერთეულების ხვედრია. ასეთი წილხვდომა პროფ. სიმონ ყაუხჩიშვილს ქართული მეცნიერების უპირველეს წარმომადგენელთა გვერდით აყენებს.

სიმონ ყაუხჩიშვილის მეცნიერულმა ღვაწლმა, მის მიერ შექმნილი კლასიკოს-ფილოლოგთა სკოლის წარმატებებმა უკვე საერთაშორისო აღიარება ჰპოვეს. ამის საუკეთესო დადასტურება იყო სამი (1965, 1971, 1975 წწ.) საკავშირო და საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა თბილისში, სწორედ აკად. სიმონ ყაუხჩიშვილის ხელმძღვანელობით. ამაზეც მიუთითებს ის ფაქტიც, რომ კლასიკურ მეცნიერებათა სხვადასხვა საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე ს. ყაუხჩიშვილის აღზრდილი ქარ-

თველი მეცნიერები ხშირად გამოდიან მოხსენებებით და მეცნიერული ინფორმაციებით. მათვე იწვევენ ხოლმე ლექციების კურსის წასაკითხავად ევროპის უნივერსიტეტებსა და სხვა სახის უმაღლეს სასწავლებლებში.

სიმონ ყაუხჩიშვილი ქართველი მწერლობის დიდი მეგობარი, მათი ნაწარმოებების გატაცებით მკითხველი და ხშირად პირველი შემფასებელია. მას, ჰომეროსისა და რუსთაველის საუცხოო მცოდნეს, უტყუარი ესთეტიკური ალღოს მქონე სწავლულს, მეცნიერული თარგმანის მხატვრულობამდე აღმამაღლებელს ქართველი მწერლები დიდი სიყვარულით და მოწიწებით ეპყრობიან. ერთ წერილში სულმნათი კონსტანტინე გამსახურდია მას ასე სწერდა: „ფრიად მასიამოვნა თქვენი ღია წერილის გადაკითხვამ. ჩემთვის დიაღაც სასიხარულოა, რომ ბერძნული ენისა და მწერლობის ასეთ დიდ სპეციალისტს ჩემი უპრეტენზიო და მცირე ნაშრომი მოგეწონათ“[1]. ეს მცირე ამონაწერიც ბევრ რამეზე მეტყველებს.

პროფ. ს. ყაუხჩიშვილი არა მარტო ერუდიტი მეცნიერია, არამედ ბრწყინვალე ლექტორიც. 55 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მან პირველი ლექცია წაიკითხა სტუდენტურ აუდიტორიაში. ამ ხნის მანძილზე დაიხვეწა საუბრის მანერა, მაგრამ სიმონ ყაუხჩიშვილი მაინც დარჩა მშვიდად მოუბარ ორატორად. კაცმა რომ თქვას, მას ორატორს ვერც დაარქმევ. კათედრიდან იგი სრულიად სადად, მარტივად და გასაგებად მოუთხრობს მსმენელს სასაუბრო თემა მას უწვრილმანეს დეტალებამდე აქვს შესწავლილი და ამიტომ ურთულეს ამბებზე სრულიად უბრალოდ მსჯელობს. უცხოურ ენათა საუკეთესო მცოდნე-მეცნიერი მეტყველების დროს უცხო სიტყვათა ხმარებას ერიდება და სათქმელს მხოლოდ „ტკბილი ქართულით“ ამბობს. მიუხედავად გარეგნული ორატორული ხერხების უარყოფისა, ტრიბუნაზე მდგომი სიმონ ყაუხჩიშვილი უაღრესად მომხიბვლელ ლექტორად რჩება, რადგან მის ბაგეთაგან ყოველთვის ჰეშმარიტება სჩქეფს.

1965 წ. 14 ოქტომბერს ქუთაისში და 27 ნოემბერს თბილისში ძალიერმა ქართველმა საზოგადოებრიობამ სიმონ ყაუხჩიშვილის დაბადების 70 და სამეცნიერო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წლისთავი იზეიმა. ამ იუბილესთან დაკავშირებით საქართველოს

[1] გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1966 წ. 18 თებერვალი.

სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა იგი საპატიო სიგელით დაჯილდოვა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა კი — „საპატიო ნიშნის“ ორდენით. უფრო ადრე (1961 წ. მაისი) სიმონ ყაუხჩიშვილს საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა.

სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ განვლილი ხანგრძლივი ცხოვრების გზა, მრავალმხრივი და დაუღალავი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა მეცნიერებისათვის უანგარო სამსახურის ნათელ მაგალითს წარმოადგენს.

სიმონ ყაუხჩიშვილი დღესაც ჩვეული ენერგიით, მხნეობით, არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობით და დიდი მეცნიერული გეგმებით ეგებება სიცოცხლის მეოთხმოცე წელს. კვლავინდებური გატაცებით განაგრძობს თავის სანუკვარ საქმეს. მისი საწერი მაგიდა კვლავ სავსეა დასაბეჭდად გამზადებული, თუ უკვე ჩასწორებული სასტამბო ამონაბეჭდებით. სრული იმედია, იგი მომავალშიც ახალ-ახალი გამოკვლევებით გაამდიდრებს მშობლიურ მეცნიერებას.

## შინაარსი


1. ბავშვობა და ყრმობა . . . . . 4
2. ელადასა და ბერლინში. პირველი გამოკვლევები . . . . 11
3. თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი . . . . 19
4. ქუთაისი, გელათი . . . . . 30
5. შემოქმედებითი ჰარმაგობა . . . . . 36
6. მეცნიერული შედევრები . . . . . 39
   „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“ . . . . . 39
   „გეორგიკა“ . . . . . 62
   „ქართლის ცხოვრება“ . . . . . 81
7. თხრობის დასასრულისათვის . . . . . 96

რედაქტორი პროფ. ლ. სანიკიძე
გამომცემლობის რედაქტორი ბ. ბუაჩიძე
მხატვრული რედაქტორი ლ. სულთანიშვილი
ტექრედაქტორი ნ. ძნელაძე
კორექტორი ლ. სინაურიძე

გადაეცა წარმოებას 12/VIII-75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/X-75 წ.
ქაღალდის ზომა 60×84¹/₁₆ საბეჭდი ქაღალდი № 1 პირობითი ნაბეჭდი
თაბახი 6,5 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3
ტირაჟი 3 000 უე 09301 შეკვეთა 10708

ფასი 28 კაპ.

გამომცემლობა „განათლება, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.
1975

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა,
პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა
სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 5
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი 11.
Типография № 5 Государственного комитета
Совета Министров Грузинской ССР по делам издательств,
полиграфии и книжной торговли.
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 11.

Мчедлидзе Георгий Леонидович

# НЕУТОМИМЫЙ ГРУЗИНОВЕД